საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი

მალხაზ (სოსო) ვახტანგაშვილი

ოსთა განსახლების საკითხისათვის
XIX საუკუნესა და XX საუკუნის პირველ მეოთხედში

სადოქტორო პროგრამა: საქართველოს ისტორია

სადოქტორო ნაშრომი შესრულებულია ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი

ვახტანგ გურული, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2017

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი..... 3

თავი I

ოსთა უძველესი განსახლების საკითხისათვის საქართველოში

§1. საქართველო–ოსების ურთიერთობის საკითხისთვის
უძველეს დროში 5
§2. საქართველო–ოსების ურთიერთობა XIII-XIV სს–ში 12
§3. დვალებისა და ოსების ისტორიული ურთიერთობის
საკითხისთვის 28
§4. ოსთა განსახლება შიდა ქართლში XVII-XVIII საუკუნეებში 38
§5. შიდა ქართლის მთიანეთის ეპიგრაფია 51
§6. შიდა ქართლის მთიანეთის ტოპონიმიკა 64

თავი II

ოსთა განსახლება შიდა ქართლში XIX ს–ში

§1. ოსთა განსახლება შიდა ქართლში XIX ს–ის პირველ ნახევარში 70

§2. ოსთა განსახლება შიდა ქართლში XIX ს–ის მეორე ნახევარში 80

თავი III

ოსთა განსახლება შიდა ქართლში XX ს–ის პირველ მეოთხედში

§1ოსთა განსახლება შიდა ქართლში XX ს–ის პირველ მეოთხედში.....101

დასკვნა.....143

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

ა) წყაროები 149

ბ) ლიტერატურა 150

საარქივო მასალა 154

ანოტაცია

სადოქტორო-სადისერტაციო ნაშრომი „ოსთა განსახლების საკითხისათვის XIX საუკუნესა და XX საუკუნის პირველ მეოთხედში“ წარმოადგენს ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად შესრულებულ სამეცნიერო ნაშრომს.

ჩვენი გამოკვლევის აქტუალობას განსაკუთრებული მნიშვნელობა შესძინა იმ ფაქტობრივმა გარემოებამ და მოვლენებმა, რომლებიც ვითარდებოდა 90-იანი წლების დასაწყისში. საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე შიდა ქართლის მხარეში დაიწყო აჯანყება, რომელიც ცნობილია ოსური სეპარატისტული მოძრაობის სახელწოდებით. ოსთა უკანასკნელი ამბოხი საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს წინააღმდეგ დაგვირგვინდა ე.წ. „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის“ გამოცხადებით, ხოლო 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, რუსეთის ფედერაციამ აღიარა სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, რამაც საქართველო დააყენა უძველესი ქართული მიწის, შიდა ქართლის მნიშვნელოვანი ტერიტორიის, საქართველოსგან ჩამოშორებისა და დაკარგვის წინაშე. მთელი რიგი რუსი და ოსი, როგორც პოლიტიკური ასევე სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები, ცდილობენ დაასაბუთონ ოსების უფლება აღნიშნულ ტერიტორიაზე კანონიერი სახელმწიფოს წარმოქმნის შესახებ. ამ მიზნის მისაღწევად მათი ძირითადი ამოცანა მდგომარეობს ოსების, როგორც ავტოქტონი მოსახლეობის წარმოჩინებაში. ამ განზრახვის მიღწევის შემდგომ, ვარაუდობენ ე.წ. „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის“ საერთაშორისო აღიარების მოსაპოვებლად წარმოებული კამპანიის წარმატებით დასრულებას.

ჩვენი ნაშრომის მიზანი გახლავთ ობიექტური სამეცნიერო კვლევის მეშვეობით წარმოვადგინოთ ისტორიული რეალობა, რომელიც უკავშირდება ოსთა საქართველოში მიგრაციის საკითხს უძველესი დროიდან მე-20 საუკუნის პირველი მეოთხედის ჩათვლით, რადგან სწორედ 1922 წლის 20 აპრილს ბოლშევიკური

რუსეთის ძალისხმევით ისტორიულ ქართულ მხარეში შიდა ქართლში, შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. ამ ფაქტმა დაუდო საფუძველი ოსური სეპარატისტული მოძრაობის განსაკუთრებული მასშტაბის ზრდას, რამაც მიგვიყვანა ყოველგვარი ისტორიული საფუძვლის გარეშე, უძველეს ქართულ ტერიტორიაზე, სადაც მხოლოდ ქართული კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშებია და თითქმის ასი პროცენტი ტოპონიმებისა, ეპიგრაფიკული წარწერებისა მხოლოდ ქართული წარმომავლობისაა, ე. წ."სამხრეთ ოსეთის",-გაურკვეველი უკანონო სახელმწიფო წარმონაქმნის შექმნამდე. ამ ისტორიული გარემოებების ობიექტური, მიუკერძოებელი კვლევისა და ანალიზის წარმოდგენა დავისახეთ მიზნად, ხოლო ამ მიზნის მისაღწევად აუცილებლად მივიჩნიეთ ოსების საქართველოში განსახლების პროცესის ქრონოლოგიურად წარმოჩენა და რაც მთავარია მისი ხასიათის განსაზღვრა.

აღსანიშნავია, რომ ოსები საქართველოში საუკუნეების განმავლობაში მიგრირდებოდნენ. ეს მოვლენა მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიკური და სოციალური ხასიათის მოვლენა იყო. ჩვენი მთავარი ამოცანა გახლავთ ფაქტობრივი გარემოებების ჩვენება თუ როგორ შეიცვალა ოსთა საქართველოში განსახლების ხასიათი ეკონომიკურიდან პოლიტიკურით. ეს ცვლილება განსაკუთრებით თვალშისაცემი ხდება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნის შემდგომ, რომელიც ყოველგვარ ისტორიულ კანონზომიერებას იყო მოკლებული.

ცალკე აღნიშნვის ღირსია რუსეთის ფაქტორი და პოლიტიკური ინტერესი ოსთა ცენტრალურ საქართველოში მიგრაციის საკითხთან დაკავშირებით. რუსები ყველნაირად ხელს უწყობდნენ ცენტრალურ საქართველოში ოსების მიგრაციას და ეს პროცესი დაიწყო ჯერ მეფის რუსეთის კრიზისის პერიოდში, ხოლო განსაკუთრებული მასშტაბი შეიძინა ბოლშევიკური რუსეთის ეპოქის დასაწყისში. ცხინვალის რეგიონის ტერიტორიაზე ერთი ეთნიკური ჯგუფის (ოსების) მკვეთრი დაწინაურება სხვა ეროვნების მოსახლეობასთან შედარებით აიხსნება მხოლოდ

არაბუნებრივი ანუ ხელოვნური ჩარევით. სახეზეა პოლიტიკური ინტერესით განპირობებული საბჭოთა რუსეთის განსაკუთრებული მხარდაჭერა საქართველოში ჩამოსახლებული ოსური მოსახლეობისადმი. ე. წ. სამხრეთ ოსეთში ხელოვნურად შეიქმნა ოსური ანკლავი, რომლის უპირველესი დატვირთვა საქართველოზე სამხედრო-პოლიტიკური ზეგავლენის მოხდენა გახდა. სამხრეთ ოსეთის გეოგრაფიული მდებარეობა და მისი კონტროლი უმნიშვნელოვანესი უპირატესობის მომტანი იყო რუსეთის პოლიტიკური ინტერესებისათვის. აღნიშნული რეგიონის გაკონტროლების მეშვეობით, რუსეთს ეძლეოდა საქართველოზე სერიოზული ზეგავლენის მოხდენის საშუალება. სამხრეთ ოსეთის რეგიონის კონტროლით რუსეთს შეეძლო საქართველოს გაკონტოროლებაც. საქართველოში ოსთა მიგრაცია მხოლოდ ბუნებრივ მოვლენას აღარ წარმოადგენდა და შეაბამისად პოლიტიკურ მიზნებსაც ექვემდებარებოდა.

გამოკვლევაში წარმოდგენილია არაერთი ავტორიტეტული, როგორც ქართველი ასევე უცხოელი, მეცნიერ-მკვლევარების ნააზრევი და მათი შეხედულებები ოსთა საქართველოში განსახლების საკითხის გარშემო.

Annotation

The PhD Thesis "Resettlement of Ossetians in Georgia In The XIX Century And In The First Quarter Of The XX Century" is a scientific work done to obtain PhD degree of history.

The actuality of our examination made a special significance to the factual developments and developments that developed after the independence of Georgia in the historical Shida Kartli region and which we can call the Ossetian separatist movement. The modern rebellion of Ossetians against the independent state of Georgia was crowned After the declaration of the "Republic of South Ossetia" and the Russian-Georgian war in 2008, the Russian Federation recognized the independence of South Ossetia, which caused Georgia to endanger the removal and loss of ancient Georgian land - Shida Kartli Georgia. In addition, representatives of a number of Russian and Ossetian political as well as scientific circles are trying their best to justify the legitimate right of Ossetians to establish a formation of the formation of the territory.Their main task for achieving this goal lies in the presence of Ossetians as an autonomous population, and after achieving this goal, Successful continuation of the campaign to gain "international recognition of the Republic of South Ossetia" and, in their opinion, the "logical" end.

The aim of our work is to provide historical reality with the objective research of the migration issue of Ossetians in Georgia from the earliest times of the 20th century to the first quarter of the 20th century, as the Bolshevik Russia on April 20, 1922, in the Shida Kartli region, was created by Autonomous District of South Ossetia.

It is noteworthy that Ossetians migrated in Georgia for centuries and this event was only an economic and social kind. Our main task was to demonstrate the factual circumstances on the nature of resettlement of Ossetians in Georgia from economic to politics. This change is particularly visible after the creation of the South Ossetian Autonomous District, which is lacking in any historical legislation. It is worth mentioning the Russian factor and political

interest in the issue of migration in the central Georgia of the Ossetians. The Russians have contributed immensely to the migration of Ossetians in central Georgia and this process has begun in Tsarism, the Russian Russian crisis, and has acquired a special scale in the Bolshevik Russian era.The sharp promotion of one ethnic group (Ossetians) in Tskhinvali region will be explained only by the unnatural or artificial intervention compared with the population of other nationalities. There is a special support for Soviet Russia, which is based on political interests in the Central Georgia, or Ossetian population settled in Shida Kartli.In South Ossetia artificially created Ossetian enclave, whose primary load has become a military-political influence on Georgia. The geographical position of South Ossetia and its control was of utmost importance to Russia's military-political interests by means of South Ossetia's control of Russia's ability to make serious leverage on Georgia. The migration of Ossetians in Georgia was not only a natural phenomenon, and consequently was subject to political objectives.

The research contains many authoritative, both Georgian and foreign researchers, and their views around the issue of resettlement of Ossetians in Georgia.

შესავალი

საქართველო–ოსეთის ურთიერთობა ისეთ საკითხთა რიგს მიეკუთვნება, რომელიც განსაკუთრებულ მიდგომასა და სიღრმისეულ შესწავლას მოითხოვს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი შეხედულებები აქვს გამოქვეყნებული არაერთ მეცნიერ–მკვლევარს, რომელიც გაზიარებულია სამეცნიერო საზოგადოების მიერ. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ საკითხი მთლიანობაში მაინც არ არის სათანადოდ დამუშავებული. განსაკუთრებით ეს ეხება საქართველო–ოსეთის ურთიერთობას მე–19 საუკუნესა და მე–20 საუკუნის დასაწყისში. ეს პერიოდი აუცილებლად საჭიროებს მეცნიერულ ანალიზს, რადგან საქართველოს ახლანდელი მდგომარეობა, მრავალი ასპექტით არის დაკავშრებული ხსენებულ ისტორიულ მონაკვეთთან. ამიტომ მნიშვნელოვნად და საჭიროდ მიგვაჩნია, გავაღრმავოთ კვლევა აღნიშნული თემატიკის გარშემო.

ჩვენი კვლევის მიზანია სიღრმისეულად შევისწავლოთ ოსთა განსახლების საკითხი შიდა ქართლში, სრული ობიექტურობით წარმოვადგინოთ შექმნილი გარემოებები და ამ ფონზე გავაანალიზოთ ქართველი და ოსი ხალხის ურთიერთობის განმაპირობებელი ფაქტორები. სამეცნიერო წრეებში არაერთგვაროვანი შეხედულებებია გავრცელებული საქართველოში ოსთა ჩამოსახლების დათარიღებისა, მის მასშტაბთან და საკითხთან დაკავშირებული სხვა გარემოებების გამო. საქართველო–ოსეთის ურთიერთობის და კერძოდ, ოსთა საქართველოში ჩამოსახლების საკითხს ეხებიან ისტორიკოსები: ზ. ჭიჭინაძე, (ოსთა ჩამოსახლება ქართლში და ქართველების ღვაწლი და ამაგი მათზე. თფილისი, 1931.) დ. გვრიტიშვილი, (დვალთა ვინაობა და ოსთა ჩამოსახლების საკითხისათვის. - მიმოხილველი I, თბ., 1949.) გ. თოგოშვილი, (საქართველო–ოსეთის ურთიერთობის

ისტორიიდან. სტალინირი, 1958.) რ. თოფჩიშვილი, (საქართველოში ოსთა ჩამოსახლების და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხი. თბ., 1997.) ვ. ითონიშვილი, (ქართულ-ოსური ურთიერთობის ისტორიიდან. თბ., 1995.) ზ. ვანეევი, (З. Ванеев, к вопросу о времени заселения Юго-осетий. Извю ЮОСНИ Ш, Сталинир, 1963.) მ. ცოტნიაშვილი და სხვა მკვლევარები. ცალკე აღნიშვნის ღირსია გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, ვახუშტი ბაგრატიონის ფასდაუდებელი ნაშრომი და მასალები, რომლებიც საშუალებას იძლევა თითქმის სრულყოფილი ისტორიული რეალობის წარმოჩინებისა. მასთან მრავალი, ჩვენთვის საინტერესო ობიექტურ ინფორმაციას ვხვდებით, რომლებიც სხვა წყაროებითაც დასტურდება.

ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობების საკითხებზე მნიშვნელოვანი სამუშაო შესრულდა საქართველოს უზენაესი საბჭოს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტატუსის შემსწავლელი კომისიის მიერ, რომლის შემადგენლობაში ცნობილ ქართველ მეცნიერებთან ერთად ოსი მეცნიერებიც მონაწილეობდნენ (ნ.ჯუსიითი. ბ.ტეხოვი). აღნიშნული კომისიის დასკვნაში ობიექტურად აისახა საქართველო–ოსეთის ურთიერთობის მრავალი ასპექტი.

ჩვენს ნაშრომში ასევე ვიყენებთ 1996 წელს გამოცემულ კრებულს ,,ოსთა საკითხი“ ა.ბაქრაძისა და ო.ჩუბინიძის რედაქტორობით, სადაც ცნობილმა ისტორიკოსებმა მაღალ მეცნიერეულ დონეზე განიხილეს რიგი საკითხები, მათ შორის ოსთა შიდა ქართლში განსახლების საკითხიც.

ოსთა მიგრციას საქართველოში და მათ მცდელობას შიდა ქართლის ტერიტორიაზე დასამკვიდრებლად ასახავს გ. სოსიაშვილი სადისერტაციო ნაშრომში, ,,ქართლის სათავადოების ისტორიიდან, სამაჩაბლო XV-XIX ს.ს.“. (გ. სოსიაშვილი. ქართლის სათავადოების ისტორიიდან. სამაჩაბლო, XV – XIX ს.ს. საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 2005.)

ძალზედ ყურადსაღებია ნ. ოთინაშვილის (ნ. ოთინაშვილი. ლიახვის ხეობის ონომასტიკა. გორი, 2002.) ნაშრომი ,,ლიახვის ხეობის ონომასტიკა“. მან უამრავი მასალა წარმოადგინა, რომელიც ლიახვის ხეობის ტოპონიმიკური შესწავლის

თვალსაზრისით სერიოზულ სამეცნიერო ფასეულობას წარმოადგენს, მითუმეტეს გასათვალისწინებელია დღეს შიდა ქართლში მიმდინარე მოვლენების აქტუალურობა, რაც მეტად საჭირო საქმედ აქცევს ამ რეგიონის ტოპონიმიკის დაწვრილებით აღწერასა და მეცნიერულ შესწავლას.

ჩვენს ნაშრომში ვეყრდნობით საარქივო მასალას, რომელიც დაცულია საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში. (სცსსა (საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი) ფონდები, 284, 254, 1244 და ა.შ.) ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს ე.წ. აქტების მრავალტომეულში (Акты кавказской графический комиссией, ред. А. Берже, Т. I-XII, Тифлис, 1866-1904.) გამოქვეყნებულ დოკუმენტებს. ნაშრომში გვერდი არ აგვივლია 1994 წელს სანკტ–პეტერბურგში გამოსული ყაზბეგ ჩელეხსათის (Челехсаты, Осетия и Осетины, Владикавказ-Санкт-петербург, 1994.) 30 ათასიანი ტირაჟით გამოცემული ნაშრომისათვის ,,ოსეთი და ოსები“, რომელიც ქართველთა მიმართ დაუფარავი ზიზღით არის გაჟღენთილი. საინტერესო ის გახლავთ, რომ კრებულის პასუხისმგებელი რედაქტორის ტვირთი იკისრა პროფესორმა ლ.ჩიბიროვმა. თუ ყ. ჩელეხსათის გვარი და სახელი სამეცნიერო წრეებისათვის არაფრისმთქმელია, ქართველი იატორიკოსებისათვის ლ. ჩიბიროვი კარგად არის ცნობილი, რომელიც სულ რაღაც ხუთ წელიწადში საოცარ ტრანსფორმაციას განიცდის და დასაშვებად მიიჩნევს კრებულში ავტორებად მოიხსენიოს: – << Ещё одно испытание выпало на долю осетин в начале XX в. К потерям, связанным с революцией и гражданской воиной на Тереке, добавился геноцид в отношении южных осетин, проводимый меньшевистким рправительством Грузий. Тысячи убитых и раненых , лишённых кровы , вынужденных покинуть радные очаги… >> (Челехсаты, Осетия и Осетины, Владикавказ-Санкт-петербург, 1994. с. 25.), ხოლო ხუთი წლით ადრე, 1989 წელს, პროფესორი ჩიბიროვი წერს: ,, – დიახ, ჩვენი ხალხები საუკუნეების განმავლობაში ბედმა დააკავშირა ერთმანეთს და ვფიქრობ, სანამ ვარსებობთ, ჩვენს ერთიანობას საფრთხე არ დაემუქრება... ზნაურის რაიონში მოსახლეობის 40 პროცენტს შერეული ქორწინებით აქვს ოჯახი შექმნილი. აქ ვეღარც

გაიგებ, ვინ ქართველია და ვინ - ოსი. ან რაში გვჭირდება, როცა წესჩვეულება, ქცევები, ხასიათი, ჩვენს ხალხებს თითქმის ერთნაირი აქვთ... დღეისათვის სამხრეთ–ოსეთის ავტონომიურ ოლქში 100–ზე მეტი დოქტორი და მეცნიერებათა კანდიდატია, რომელთა უმრავლესობამ თბილისის ასპირანტურაში შეიძინა ცოდნა“. (ჟურნალი ,,პარტიული სიტყვა“, 1989, გვ. 4–5.) საინტერესო მეტამორფოზაა, თუმცა მიზეზს ისტორიულ ფაქტებთან საერთო არაფერი აქვს, საქმე იმპერიული რუსეთის შორსმიმავალი ზრახვების გამოვლინებასთან გვაქვს, რაზეც წიგნის ტირაჟიც მიუთითებს. სხვა მხრივ, მეცნიერული ფასეულობა დასახელებულ ნაშრომს არ გააჩნია. ოსთა რელიგიური მდგომარეობის შესახებ საინტერესო მოსაზრებები გამოთქვა კ. ტოლიაშვილმა სადისერტაციო ნაშრომში ,,რუსეთის სინოდის საეკლესიო პოლიტიკა აფხაზეთსა და შიდა ქართლში (XIX ს. 80-იანი – 1917 წ.წ.)“ რომლის მიხედვით, ჩანს, რომ ჯერ კიდევ XVIII საუკუნიდან, საქართველოს მართმადიდებლური ეკლესია, მიუხედავად ქვეყნის მძიმე მდგომარეობისა, კვლავ ძველებურად ცდილობდა სამისიონერო საქმიანობის განვითარებას კავკასიის მთიანეთში, კერძოდ, შიდა ქართლსა და ჩრდილოეთ ოსეთში. აღნიშნულ ნაშრომში ბევრ საინტერესო სიახლეს ვხვდებით.

ამ და სხვა ისტორიული მასალების მეცნიერული ანალიზის შედეგად, შევეცადეთ წარმოგვეჩინა ოსთა საქართველოში ჩამოსახლების ძირითადი ეტაპები, მათი განსახლების არეალი, ასევე მიგრაციის ხასიათისა და ფორმის დამახასიათებელი ნიშნები.

თავი I

ოსთა უძველესი განსახლების საკითხისათვის საქართველოში

§1. საქართველო–ოსების ურთიერთობის საკითხისათვის უძველეს დროში

საქართველოს ცენტრალურ მთიანეთში ანუ შიდა ქართლის რაიონებში, გვიან შუა საუკუნეებში ოსური კომპაქტური დასახლებები წარმოიშვა არა ერთდროული ჩამოსახლების შედეგად, არამედ თანდათანობით, როდესაც საქართველოსა და ცენტრალური კავკასიონის მთის რაიონების ბუნებრივი პირობები თავისებური პოლიტიკურ–ეკონომიკური სიტუაციის გამო, მიგრაციული პროცესებისათვის ხელსაყრელ ვითარებას ქმნიდა.

შიდა ქართლის მთიანეთში ოსთა გადმოსახლებას, რასაკვირველია, თავისი მიზეზები ჰქონდა. მეტოქე და დაპირისპირებულმა ტომებმა გაანადგურეს ჩრდილოეთ კავკასიის ველებზე მცხოვრები ოსები. გადარჩენილ ოსთა ნაწილმა მოახერხა ცენტრალური კავკასიის მთიან ხეობებში შეხიზვნა.

ჩვენი მიზანია წარმოვადგინოთ ოსთა განსახლება შიდა ქართლის ტერიტორიაზე, რასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქართველო–ოსეთის ურთიერთობაში.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სათანადო შეხედულებები გამოთქვა არაერთმა მკვლევარმა, მათ შორის პროფესორმა გ. თოგოშვილმა, კერძოდ: ,,საქართველოს ტერიტორიაზე ოსთა გადმოსახლებისა და აქ მუდმივი ოსური

მოსახლეობის გაჩენის საკითხი იმ მნიშვნელობის მიუხედავად, რაც მას საქართველო–ოსეთის ურთიერთობის ისტორიისათვის აქვს, სათანადოდ დამუშავებული არაა. ეს აღნიშნული საკითხის ირგვლივ წყაროთა ცნობების სიმცირისა და მათდამი მკვლევართა უყურადღებო დამოკიდებულების შედეგია. სინამდვილეში, ეს საკითხი ფრიად საინტერესო და ყოველმხრივი დამუშავების ღირსია". (გ.თოგოშვილი. საქართველო–ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან. სტალინირი, 1958 წ, გვ.172.) მკვლევარი აქვე დასძენს: – ,,არც ერთ ისროტიკოსს საქართველოში ოსთა გადმოსახლების ფაქტი სადაოდ არ გაუხდია. აზრთა სხვადასხვაობა მათ შორის თავს იჩენს ამ გადმოსახლების დათარიღების საკითხზე. ზოგ მკვლევარს ამ მოვლენის დათარიღება შეუძლებლადაც კი მიჩნია". (იქვე, გვ.172.)

საქართველოში ოსთა გადმოსახლების თარიღთან დაკავშირებით დაინტერესებული მკვლევარები რამდენიმე ჯგუფად შეიძლება დავყოთ:

- **პირველ ჯგუფს** შეადგენენ ის მკვლევარები, რომლებიც საქართველოში ოსთა გადმოსახლებას უძველესი დროიდან მე–13 საუკუნემდე ვარაუდობს.
- **მეორე ჯგუფს** განეკუთვნებიან მკვლევარები, რომელთა აზრით, ოსთა გადმოსახლება მოხდა ჩრდილოეთ კავკასიის ველზე თათარ–მონღოლთა შეჭრის დროს მე–13–14 საუკუნეების მიჯნაზე.
- **მესამე ჯგუფს** წარმოადგენენ ის მეცნიერები, რომლებიც საქართველოში ოსთა გადმოსახლებას მე–13–14 საუკუნეებზე ბევრად უფრო გვიანდელ მოვლენად მიიჩნევენ.

მეცნიერთა პირველი ჯგუფი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ოსთა საქართველოში გადმოსახლებას უძველეს დროიდან ვარაუდობს, მაგ. ბ.სკიტსკი, რომლის აზრით, ოსთა გადმოსახლება საქართველოში ძველი წელთაღრიცხვის მე–3–4 ასწლეულიდან უნდა ვივარაუდოთ. (Б. Скитский , Очерки по историй осетинского народа древнейших времён до 1867 года, Владикавказ Изв. - ЮОСНИИ, т. XI, 1947.) მკვლევარი თვლის, რომ

საბოლოოოდ დადგენილია დვალი ოსების ,,სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიაზე უძველესი დროიდან დასახლება. სკიტსკი ერთიმეორეში აიგივებს დვალებსა და ოსებს, ისინი მას ერთ ეთნიკურ შემადგენლობად მიაჩნია, რაც შემდგომში ავტორიტეტულ მკვლევართა მიერ საფუძვლიანდაა უარყოფილი (ამაზე დაწვრილებით ქვემოთ მ.ვ.). ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ოს ისტორიკოსსა და მკვლევარს ზ.ვანეევს დვალები – რომლებიც კავკასიონის ცენტრალური ქედის მიდამოებში სახლობდნენ – თანამედროვე სამხრეთელი ოსების წინაპრებად არ მიაჩნია. მისი ვარაუდით ოსები ამ ადგილებში შედარებით გვიანდელ პერიოდში გადმოსახლდნენ, ხოლო თითქოს დვალი–ოსები ოსთა მოწოლის გამო ბარის მიმართულებით მიგრირდებიან და ქართველების მიერ ასიმილირდებიან. (З. Ванеев, К вопросу о времени заселения Юго-осетий. - Изв. ЮОСНИ Ш, Сталинир, 1936, с. 271-273.)

ზ.ვანეევის მოსაზრება საკმაოდ წინააღმდეგობრივი და ბუნდოვანია. მასში კონკრეტულად არ არის მინიშნებული და ნაჩვენები თუ ვინ არიან ,,დვალი–ოსები“ ან ვის გულისხმობს მკვლევარი, ,,დვალი–ოსების“ ბარში ჩამოსახლების მიზეზად. მეცნიერი ხშირ შემთხვევაში აიგივებს დვალებსა და ოსებს, რაც ჰიპოთეზური და ძირშივე მცდარი აზრია.

XIX საუკუნის ბოლოს დ.ლავროვი წერდა: ,,ოსებს ჩრდილოეთიდან რომაელთა, გოთთა, ჰუნთა მუდმივი თავდასხმები ახევინებდა კავკასიის ქედის სიღრმეში, რაც გახდა მათი კავკასიის ჩრდილო კალთებიდან სამხრეთ კალთებზე – საქართველოს ფარგლებში გადმოდსახლების მიზეზი ახ.წ. III საუკუნის დასწყისიდან“ (Д. Лавров, Заметки об осетии и осетинах, вып Щ, Тифлис, 1883, с. 200.) – რაც აგრეთვე ფანტაზიის ნაყოფია.

ოსთა საქართველოში გადმოსახლების ისტორიკოსი გ.კოკიევი ჰუნებს უკავშირებს (IV საუკუნე) (Г. Кокиев, Очерки по истории т. I, Владикавказ, 1926, с. 22.), ხოლო ე.გ პჩელინას მიაჩნია, რომ ოსთა სამხრეთით მოძრაობას ადგილი ჰქონდა VI-VII ს.ს.–ში, რაც შემდგომში თათარ–მონღოლთა შემოსევის დროიდან განახლდა, (Е.

Пчелина , сбор. << Юго-Осетия>>, г. Владикавказ, стр. 238.) თუმცა აღნიშნული მკვლევარი შესაბამის წყაროს ვერ ასახელებს და ბრმად ეყრდნობა წინამორბედი მკვლევარების მცდარ ვრაუდებსა და შეხედულებებს.

ვ.ბ. პაფფის აზრით, კავკასიის მთიანეთის სამხრეთ კალთებზე ოსები ადრიდანვე ცხოვრობდნენ. მისივე თქმით, სამხრეთელ ოსებზე ქართველ ფეოდალთა შვილები თავდასხმებს აწყობდნენ და მათში ფეოდალიზმი გაავრცელეს (VIII-IX საუკუნეები).(В. Пфаф, Матерялы для древней истории Осетии, вып. IV-V , Тифлис, 1870-71 г. с.23.) აღნიშნული ავტორი სამხრეთ კალთებზე ოსების უშუალოდ დასახლების შესახებ არაფერს ამბობს, მაგრამ წმინდა ნინოს მიერ ქრისტიანობის ქადაგება IV საუკუნის სამხრეთელ ოსთა შორის მას უდაო ფაქტად მიაჩნია (იქვე, გვ.31.). იგი ნარ–მამისონის ხეობის სოფლებისა და მდინარეების სახელწოდებებზე დაყრდნონით ფიქრობს, რომ ვითომ ამ ხეობებში შეერივნენ ოსები ქართულ მოსახლეობას. (იქვე, გვ. 144.)

რუსი ისტორიკოსი ბ.სკიტსკი პირდაპირ აცხადებს, რომ ოსთა გადმოსახლების თარიღი ემთხვევა ჰუნთა ჩრდილოეთ კავკასიაში შემოსევას IV საუკუნეში. სკიტსკი სხვა მკვლევარებისგან განსხვავებით, ცდილობს კავკასიის სამხრეთ კალთებზე ოსთა არსებობა ისტორიული წყაროების მეშვეობით დაასაბუთოს და მოჰყავს პროკოპი კესარიელის შემდეგი ცნობა: ,,სადაც მარჯვნივ იბერთა საზღვრები არის, ხოლო პირდაპირ მთა თავდება... ბევრი სხვდასხვა ტომი ცხოვრობს, მათ შორის ალანები და აბაზგებიც, რომლებიც ქრისტიანები არიან და ძველთაგანვე რომაელათა მეგობრები“.) Б. Скитский, Очерки по истории осетинского народа с древнейших времён до 1867 года, Владикавказ. - Изв. СОНИИ, т. XI, 1947 г. Стр. 139.) სინამდვილეში აქ პროკოპი კესარიელი მარტო ალანებს, სხვადასხვა ტომთა კავშირს და აბაზგებს არ ასახლებს, ის ასახელებს აგრეთვე ზიქებს და ჰუნებს. ასევე საინტერესოა ის გარემოება, რომ პროკოპი კესარიელი ყველა ზემოთ ნახსენებ ტომებს მდინარე ფაზისს უკავშირებს, ეს მდინარე მისი მიხედვით, ჭანეთის მთებიდან გამოდის. (იქვე, გვ.41.)

ბ. სკიტსკის შეხედულება უარყო მკვლევარმა გ. თოგოშვილმა: ,,აშკარაა, რომ

ფაზისის პროკოპისეული ლოკალიზაცია შეცდომაა, ის სწორიც რომ იყოს, მაინც ალანთა კავკასიის ქედის სამხრეთ კალთებზე ცხოვრების დასადასტურებლად არ გამოდგება. რადგან ამ შემთხვევაში უნდა ვამტკიცოთ ზიქებისა და ჰუნების კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებზე ცხოვრება, რაც შეცდომა იქნებოდა“ (გ.თოგოშვილი. საქართველო–ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან. სტალინირი, 1958, გვ. 175.)

ამის შემდგომ გ. თოგოშვილს მოჰყავს პროკოპი კესარიელის სხვა ცნობები, რომლის მეშვეობით იგი საბოლოოდ აბათილებს ბ. სკიტსკის ჰიპოთეზას. – მკვლევარის განცხადებით, ,,პროკოპის მოეპოვება სხვა ცნობები, სადაც ალანები კავკასიის მთიანეთის ჩრდილოეთით მოსახლე ხალხად არიან წარმოდგენილნი. ,,ის ქვეყანა, რომელიც კავკასიონის მთიდან დაწყებული კასპიის კარამდეა გადაჭიმული (კასპიის კარი მასთან დარიალის კარს ნიშნავს, გ. თ.), ალანებს უჭირავთ, თავისთავად ტომს“ (ს.ყაუხჩიშვილი. ,, გეორგიკა“, ტომი II, თბ., 1934, გვ. 100.), ან კიდევ: ,, აბაზგების საზღვრებს შემდეგ კავკასიონის მთის გასწვრივ ცხოვრობენ ბრუქები, აბაზგებსა და ალანებს შუა, ხოლო ევქსინის პონტოს ნაპირას ზიქები არიან დამკვიდრებული“(იქვე, გვ. 105.), – ამასთან, დასძენს გ. თოგოშვილი – ,,ჟამთააღმწერელის, თეოფანეს, მენანდრეს, პროკოპის ცნობებით ბიზანტიას ალანებთან ურთიერთობის დასამყარებლად უხდებოდა კავკასიის მთიანეთის გადალახვა. ალანებს სამხრეთ კალთებზე რომ ეცხოვრათ, აღნიშნავს მკვლევარი, მაშინ მთიანი გადასასვლელების გავლა აღარ იქნებოდა საჭრო, რომლებიც ციხე–სიმაგრეებით იყვნენ გამაგრებული. მისივე განსჯით, ქართული წყაროები XIII ს–ის მეორე ნახევრამდე ამიერკავკასიაში ოსთა ცხოვრებაზე ერთ სიტყვასაც არ შეიცავენ და მათთან ურთიერთობას წარმოგვიდგენენ, როგორც ჩრდილო კავკასიში მცხოვრებ ხალხთან ურთიერთბას, რაც საუღელტეხილო გზებით ხორციელდებოდა“(გ.თოგოშვილი. საქართველო–ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან, სტალინირი, 1958 წ. გვ. 175.)

უნდა ღინიშნოს ის გარემოება, რომ ზოგიერთი ისტორიკოსი იზიარებს პროფ.

ბ. სკიტსკის მცდარ შეხედულებას, რომელიც აისახა ,,ოსეთის ისტორიაში“ (მაკეტი), სადაც აღნიშნულია, რომ თითქოს ჰუნების შემოსევის დროს ალანთა ნაწილი გადასულიყოს კავკასიის სამხრეთ კალთებზე. მეცნიერის აზრით, ამ დროს გადმოსახლებული ოსები არიან ე.წ. ,,სამხრეთელი ოსების“ შორეული წინაპრები, რაც თავისთავად საკითხის არამართებულად დაყენებაა. ამ ვითარებამ გვაიძულა ვრცლად შევჩერებულიყავით ბ. სკიტსკის მცდარ ვერსიაზე, რომელმაც თავისთავად მრავალი მკვლევარი შეიყვანა შეცდომაში. ცხადია, ამ გარემოებამ უარყოფითად იმოქმედა საქართველოში ოსთა გადმოსახლების საკითხის საფუძვლიანად შესწავლაზე.

ოსთა სამხრეთში გადმოსახლების პრობლემაზე საინტერესო აზრი გამოთქვა ანთროპოლოგმა მ. აბდუშელიშვილმა, რომელმაც ე.წ. ,,სამხრეთელი ოსების“ ანთროპოლოგიური შესწავლის ნიადაგზე დაასკვნა, რომ – ,,ჩრდილოური (ოსური) ელემენტების დაფენება ადგილობრივ ელემენტებზე შედარებით ახალი საქმეა, რომელსაც მოკლე ისტორია აქვს. წინააღმდეგ შემთხვევაში მათი დიფერენცირება შეუძლებელი იქნებოდა“(მ. აბდუშელიშვილი. ანთროპოლოგიური ნარკვევი ,,ოსები“. თბილისი, 1957, გვ. 312-323. - ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის შრომები, ტომი VI.)

სრულიად ვიზიარებთ მ. აბდუშელიშვილის შეხედულებას საკითხისადმი, რომელიც ამავდროულად მიღებულია სამეცნიერო საზოგადოებაში.

ძველი ისტორიული წყაროებისა და ფაქტების შეჯერებით ნათლად ჩანს, რომ უძველესი დროიდან შუა საუკუნეებამდე ოსთა მნიშვნელოვანი მასის არანაირ გადმოსახლებას არ ჰქონია ადგილი ცენტრალური საქართველოს მთიანეთში. ყველა ის მეცნიერი თუ მკვლევარი, რომელიც ამ საკითხთან დაკავშირებით საპირისპირო აზრს გამოთქვამს, მხოლოდ ცარიელ ვარაუდებს, ჰიპოთეზას ეყრდნობა, რადგან ისტორიას არავითარი წყარო არ შემოუნახავს, რომელიც ამ შეედულებას დაადასტურებდა.

მეცნიერ–მკვლევართა დიდმა ნაწილმა, რომლებმაც საფუძვლიანად შეისწავლა

ქართული ისტორიული წყაროები საქართველოში ოსთა გადმოსახლების შესახებ, სწორი მეცნიერული აზრი გამოთქვა და საკითხის გადაწყვეტას ობიექტური დასაბუთებაც მოუნახა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მეცნიერები, რომლებიც საქართველოში ოსთა ადრეულ საუკუნეებში გადმოსახლების დასაბუთებას ცდილობენ (სკიტსკი, პაფფი, ვანეევი, კოკიევი, პჩელინა და სხვ. მ.ვ.) ვერანაირად ვერ ამტკიცებენ თავის შეხედულებებს, რადგან საამისოდ არავითარი ისტორიული წყარო ანუ საფუძველი არ მოეპოვებათ. ამ მკვლევართა უმრავლესობა თავის ნააზრევს ბ. სკიტსკის ნაშრომიდან იღებს, რომელიც როგორც უკვე ავღნიშნეთ, არ წარმოადგენს სათანადო წყაროების საფუძველზე გამოტანილ ობიექტურ და დასაბუთებულ მეცნიერულ დასკვნას.

§2. საქართველო–ოსების ურთიერთბა XIII-XIV სს–ში

საქართველოში ოსთა ჩამოსახლების საკითხის შესასწავლად აუცილებელია გამოვიკვლიოთ საქართველო–ოსების ურთიერთობა XIII-XIV საუკუნეებში, როდესაც რუსული ფსევდომეცნიერული ისტორიოგრაფიული გამოკვლევების გავლენით თუ დიქტატით, ისეთი ვითარება შეიქმნა, რამაც ზოგიერთი მკვლევარი ძალაუნებურად აიძულა ოსების გადმოსახლება უძველესი პერიოდით დაეთარიღებინა.

სინამდვილეში ოსები X-XII საუკუნეებში ჯერ კიდევ იმიერკავკასიის ველებზე სახლობდნენ, სადაც ფაქტობრივად სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია არ გააჩნდათ, რაც მათ აიძულებდა მეზობელ ქვეყნებთან დაემყარებინათ ურთიერთბა. მათ განსაკუთრებული კონტაქტები ჰქონდათ დამყარებული საქართველოსთან, ოსები ზოგჯერ საქართველოს პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების აქტიური მონაწილენი ხდებოდნენ. საქართველოსა და ოსების მმართველ წრეებს შორის გახშირებული საქორწინო კავშირები, ქართველი და ოსი ხალხების შემდგომი დაახლოების საქმეში ახალ მიმართულებებს ქმნიდა. საქართველოც ცდილობდა კარგი ურთიერთობის განმტკიცებას, რათა თავისი გავლენა ჩრდილოეთ კავკასიაში უფრო გაეძლიერებინა. ქრისტიანული რელიგიის განმტკიცება, ქორწინებითი ანუ ნათესაური კავშირების დამყარება და ადგილობრივი მმართველობის მოზიდვა ჩრდილოეთ კავკასიის მიმართ საქართველოს დიდ ინტერესს გამოხატავდა.

საქართველო–ოსეთის ურთიერთობის შემდგომ მშვიდობიან განვითარებას, მათ კეთილმეზობლობას ბოლო მოუღო მონღოლ–თათართა გამოჩენამ კავკასიაში . XIII საუკუნიდან საქართველო და ოსეთი მათი განუწყვეტელი თავდასხმების ობიექტებად იქცნენ.

1239 წელს ბათო ყაენმა სხვა მრავალ ქვეყანასთან ერთად, ოსეთიც დაიპყრო. ამ ისტორიულ ფაქტთან დაკავშირებით მნიშვნელოვან ცნობას გვაწვდის ჟამთააღმწერელი: ,,მაშინ ყაენთა უპირატესობა ბათოს ყაენსა ეპყრა, რომელსა ჰქონდა

ოესეთი და დიდი ყივჩაყეთი, ხაზარეთი და რუსეთი, ვიდრე ბნელეთამდის, და ზღვადმდე დარუბანდისა“(ქართლის ცხოვრება, მ. ბროსეს გამოც., ტ. I, ს–პეტერბურგი, 1849. გვ. 365.)

ამავე დროს XIII საუკუნის მეორე ნახევარში ოქროს ურდოსა და ილხანთა სახელმწიფოს შორის უსასტიკესი ბრძოლა გაჩაღდა. ოსეთი ოქროს ურდოს ბატონობის ქვეშ იმყოფებოდა, საქართველო და ამიერკავკასია კი ილხანთა მბრძანებლობის ქვეშ იყო. 1263 წელა ყაენ ბერქასა და ჰულაგუს შორის მდინარე თერგთან დიდი ბრძოლა გაიმართა. ოსების ტერიტორიაზე მიმდინარე ომი ჰულაგუს დამარცხებით დასრულდა (Тизенгаузен, Сборник материалов , относящихся к историй золотой Орды , т. I, стр. 152.) როგორც ჩანს, ამ ბრძოლებში ოსებს ჰულაგუსათვის დაუჭერიათ მხარი, რაც არ გამოჰპარვია ბერქას და აღნიშნული გარემოება ოსების სასტიკად დარბევის მიზეზად იქცა.

მონღოლ–თათართაგან მომდინარე საფრთხე მხოლოდ გამანადგურებელი დარბევებით როდი ამოიწურებოდა. მათ სასტიკი ექსპლოატაციის ქვეშ მოაქციეს მწარმოებელი უბრალო მოსახლეობა. მონღოლები მათ ახალ–ახალ გადასახადებს უწესებდნენ, ამავე დროს აიძულებდნენ ოსეთის მოსახლეობას შორეულ ლაშქრობებში მიეღოთ მონაწილეობა. ამასვე ადასტურებს ელ ომარის ცნობაც, რომლის მიხედვით – ,,ამ სახელმწიფოს (იგულისხმება ოქროს ურდო – მ. ვ.) სულთანს ჰყავს ჩერქეზთა, რუსთა და ოსთაგან შემდგარი ჯარი“. (იქვე, გვ. 231.)

თითქმის ანალოგიურ ცნობას გვაწვდის შერეფ–ედ–დინ ალი იეზიდი – თოხთამიშის მიერ თემურ–ლენგის წინააღმდეგ შეკრებილ ლაშქარში 1391 წელს შედიოდნენ რუსები, ჩერქეზები, ბულგარები, ყივჩაღები, ალანები და სხვ (Тизенгаузен, т. II, стр. 156.). საინტერესო წყაროს წარმოადგენს უცნობი ისტორიკოსის – ჟამთააღმწერელის ცნობა, რომლის მიხედვით XIII საუკუნის მეორე ნახევარში მონღოლებმა ჩაატარეს აღწერა, რომელიც საქართველოსაც და ოსებსაც შეეხო: ,,წარავლინა ყოველსა საბრძანებელსა შინა მისს, რუსეთს, ხაზარეთს, ოვსეთს, ყივჩაყეთს, ვიდრე ბნელეთამდე, და აღმოსავლეთით ჩრდილოეთამდე და

ხატაეთამდე, რათა აღუთვალოს და განაჩინოს მხედარი და მეომარი ლაშქრად განმავალი ნოინთა თანა, დიდთა და მცირეთა, ღირსებისაებრ მათი ულუფაჲ, რომელ არს ძღვენი მომავალთა გზად, და ქირაჲ ცხენისა და საპალნისა“ (Тизенгаузен, т. II, стр. 156.). ამ საისტორიო დოკუმენტიდან ირკვევა, რომ აღწერას სამხედრო დანიშნულება ჰქონია, რომელსაც შემდგომში მოსახლეობის საშინლად დაბეგვრა მოჰყვა. ასეთივე მდგომარეობას სხვა ხალხებშიც ვხვდებით, რომლებიც მონღოლთა უღლის ქვეშ იმყოფებოდნენ.

მატერიალური მდგომარეობის მკვეთრად გაუარესება, მონღოლ–თათართა მძიმე უღელი, განუწყვეტელი დარბევები აიძულებდა ოსებს, დაეტოვებინა საცხოვრებელი ადგილები და შედარებით უსაფრთხო ადგილებში გახიზნულიყო. მათმა ერთმა ნაწილმა ჩრდილო კავკასიის ვიწრო ხეობებს შეაფარა თავი. აღნიშნულ საკითხტან დაკავშირებით აზრი გამოთქვა ოსეთის ისტორიის მკვლევარმა გ. თოგოშვილმა: – ,,XIII საუკუნის მეორე ნახევარში ოსი ხალხი იწყებს უთანასწორო ბრძოლას მონღოლთა ურდოების წინააღმდეგ. ბრძოლა სასტიკი და დაუნდობელი იყო ორივე მხრიდან. მტრის ჭარბი ძალების მოწოლის შედეგად ოსები თანდათანობით ტოვებენ ველებს, გადაინაცვლებენ მთების ვიწრო ხეობებში, სადაც თავდაცვის მეტი შესაძლებლობაა, მონღოლები იკავებენ ველზე მათ საცხოვრებელ ტერიტორიას და სამომთაბარო ადგილებად აქცევენ, ხოლო ამ ადგილებში თავის ჯოგების დასაცავად მთის ხეობებიდან გამომავალ ვიწროებს მნიშვნელოვანი სამხედრო ნაწილებით ამაგრებენ. ასეთ მძიმე პირობებში ჩაყენებული ოსები ადვილად არ თმობენ საუკუნეების მანძილზე შეჩვეულ სამოსახლო ადგილებს და თავგანწირულ წინააღმდეგობას უწევდნენ დამპყრობელთ. დამპყრობელი გრძნობდა მათი გმირული ბრძოლის ძალას და მათ გასატეხად საკუთარი ძალების გარდა მიმართავდა დაპყრობილი ხალხებისაგან გამოყვანილ ლაშქარსაც. რუსული მატიანის ცნობით, 6785 (1277) წელს წავიდნენ ურდოში მთავრები: ბორის როსტოველი, მისი ძმა გლები, იაროსლავლის მთავარი თევდორე როსტისლავის ძე, ყაენ მენგუთემირთან ერთად ისინი ლაშქრობენ ოსეთს, ალყას არტყამენ მათ სახელოვან

ქალაქს დედიაკოვს და იღებენ მას 8 თებერვალს, შოულობენ დიდ ნადავლსა და ტყვეებს, მოსახლეობას ჟლეტენ, ქალაქს კი ცეცხლს აძლევენ. აღნიშნული რუსი მთავრები მენგუთემირმა მადლობის ნიშნად დიდად დასაჩუქრებულნი გაისტუმრა თავის სამფლობელოებში... უფრო გვიან, XIV საუკუნის დასასრულს, ოსეთის ტერიტორიაზე გაიშალა თემურსა და თოხთამიშის შორის ამტყდარი სისხლისმღვრელი ომი. თემურმა ოსები სასტიკად გაანადგურა (ოსები– ასები თოხთამიშის ლაშქრის შემადგენლობაში იყვნენ) – 1395 და 1400 წლებში. იგი დიდი ძალებით შეიჭრა მათ საცხოვრებელ ტერიტორიაზე და ყველაფერი მიწასთან გაასწორა.“ (გ.თოგოშვილი. საქართველო–ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან, ტ. I, სტალინირი, 1958, გვ. 191-192.)

ოსების მძიმე პოლიტიკურ–ეკონომიკურმა მდგომარეობამ, ფეოდალიზაციის პროცესის განვითარებამ შინაგან არეულობასაც მისცა ბიძგი. დომინიკანელი ბერის იულიანეს ცნობით, – „ოსეთში რამდენი ხევიცაა იმდენი ბატონია, რომელთაგან არც ერთი არ ფიქრობს მეორის მორჩილი იყოს, მათ შორის მედმივი ომია. სახნავად მთელი სოფელი შეიარაღებული გამოდის.“ (იქვე, გვ. 192.)

შექმნილმა უმძიმესმა ვითარებამ ხელი შეუწყო ოსებში მიგრაციული პროცესების განვითარებას. ოსები სხვადასხვა მხარეს იფანტებიან, თანდათან ცარიელდება მათგან დაკავებული ტერიტორიები იმიერკავკასიის ველებზე, მათ ადგილს უცხო ელემენტი, მონღოლური წარმოშობის ტომები იკავებენ. ოსების დიდი მასები კავკასიის მთების ვიწრო ხეობებში ეძებენ თავშესაფარს, იქ უკეთესად იყო შესაძლებელი მცირერიცხოვანი ლაშქრით თავის დაცვა გარეშე მტრებისაგან, თუნდაც მრავალრიცხოვანი ყოფილიყო იგი. ამ ფუნქციას მიუდგომელი მთა ჩინებულად ასრულებდა, მაგრამ მალე მთის ზოლმა და მისთვის ჩვეულებრივად დამახასიათებელმა უარყოფითმა მოვლენებმაც იჩინეს თავი. მთის ბუნებრუვი რესურსების სიმწირე და მცირე მოსავლიანობა დიდი მასების გამოკვების საშუალებას ართმევდა ვიწრო ხეობებში შეხიზნულ ოსურ მოსახლეობას.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული თანდათანობით ქმნიდა წინაპირობას,

იმიერკავკასიის მთებში და ხეობებში შემოხიზნულ ოსურ მოსახლეობას გამოსავალი ეძებნა. საუკეთესო არჩევანი ოსებისათვის კვლავ ველზე დასახლება იქნებოდა, მაგრამ იმის გამო, რომ ჩრდილოეთ კავკასიის მიმდებარე ველზე ოსების დაბრუნება პრაქტიკულად შეუძლებელი იყო, ოსებმა თანდათანობით, ეტაპობრივად იწყეს ცენტრალური საქართველოს მთიანეთში გადმოსახლება, მოგვიანებით კი შიდა ქართლის ბარის რაიონებისაკენ მიგრირდებიან. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ საქართველოში ოსების ჩამოსახლება სწრაფი ხასიათის პროცესი არ შეიძლება ყოფილიყო. ეს პროცესი საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე გრძელდებოდა. თანამედროვე საქართველოს საზრვრებში ოსები XVII საუკუნიდა იწყებენ გადმოსახლებას (ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით ქვემოთ მ.ვ.).

საინტერესოა, როგორ მდგომარეობაში იმყოფებოდა საქართველო იმ პერიოდში – XIII ს–ის პირველ ნახევარში ჯერ ჯალალედინმა, ხოლო შემდგომ მონღოლებმა ააოხრეს და მიწასთან გაასწორეს აყვავებული ქვეყანა. განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში გლეხობა აღმოჩნდა, რადგან უამრავი ბეგარა–გადასახადების გამო მძიმე უღლის ქვეშ გმინავდა. დამპყრობთა სხვადასხვა სახის გადასახადს, ძველი ფეოდალური გადასახადებიც ემატებოდა და გლეხობის მდგომარეობას კიდევ უფრო აუტანელს ხდიდა. გარდა ამისა, ქართლის მოსახლეობის მდგომარეობას ამძიმებდა ოსთა მოულოდნელი თარეში და მოსახლეობის აწიოკება. დასახლებული ადგილები იცლებოდა ქართული მოსახლეობისაგან. ამ პროცესების შეფასებისას აკად. ნ. ბერძენიშვილი სამართლიანად აღნიშნავს: – ,,XIII საუკუნეში ოქროს ურდოს მონღოლებმა იმიერკავკასიის ველები დაიჭირეს და თავის სამომთაბარეოდ აქციეს. მთას შემოხიზნული ადგილობრივი მოსახლეობა – ჩერქეზ–აფხაზური მოდგმის ტომები, ოსები, ღუნძ–ღილღვები თანდათან ამიერკავკასიისაკენ მოიწევდნენ და პირაქეთა კავკასიის ტომებს – აფხაზებს, დვალებს, ფხოველებს ერეოდნენ. ეს პროცესი ზოგგან ნელა და შედარებით მშვიდად მიმდინარეობდა, ზოგგან კი, განსაკუთრებით ქართლში, ის სწრაფი და მტკივნეული აღმოჩნდა. შევიწროვებულმა ოსურ ტომთა ბელადებმა მარჯვედ ისარგებლეს ილხანთა ურდოს მხარდაჭერით და

აჯანყების ცეცხლში გახვეული ქართლის დასუსტებით... და შიდა ქართლს ძლიერად შემოუტიეს. სასტიკი ბრძოლა გაიმართა, ოსთა მთავარი ,,განასხმიდა მამულისაგან აზნაურთა და იყო ჭირი დიდი მკვიდრთა ქართლისათა“, ქართველ აზნაურთა მიწის მფლობელობა საფრთხის წინაშე დადგა და ისინიც თავდაუზოგავად იბრძოდნენ.“ (ნ. ბეძენიშვილი, საქართველოს ისტორია XII – XIV, კონსპექტი. - თსუ შრომები, ტ. VI , 1938, გვ. 245.)

როგორც ირკვევა მომხდური ოსები სასტიკად ძარცვავდნენ ქართულ მოსახლეობას. ამგვარი სიტუაცია გრძელდებოდა XIV საუკუნემდე, მანამდე, ვიდრე ტახტზე არ ავიდა გიორგი ბრწყინვალე, რომელმაც ენერგიული მოქმედებით განდევნა ოსები ქართლიდან.

ამგვარი სიტუაცია იყო საქართველოში მე–13–14 ს.ს.–ში.

ახლა მივყვეთ ისტორიულ წყაროებს და მათზე დაყრდნობით ვნახოთ საქართველოში და კერძოდ, შიდა ქართლში ოსთა გადმოსახლების ობიექტური სურათი.

ამ მხრივ უაღრესად საინტერესო ცნობას გვაწვდის ,,ჟამთააღმწერელი“: – ,,გამოვიდეს ბერქას ყაინისაგან ლტოლვილნი ორნი დედაკაცნი საკვირველნი, სახელით ლიმ აჩავ, და მან მიოტანნა შვილნი მცირენი... პირმშო ფარეჯან და უმრწემეესა ბაყათარ და სხვანი თავადნი მრავალნი გამოვლეს კარი დარუბანდისა, და მოვიდეს მეფის (დავით ულუ 1243–1269) წინაშე: ხოლო მან პატივით ისტუმრნა ფრიად, და უბოძა ხარაჯა, და მოლაშქრედ და თანამებრძოლელად განაჩინნა, და ესრეთ მეფეს თანავე წარმოავლინა; ხოლო მეფემან დასხნა რომელნიმე ქალაქსა, რომელნიმე დმანისსა , და სხვანი ჟინვანს“ (ქართლის ცხოვრება, მ.ბროსეს გამოც., ტ. I, ს–პეტერბურგი, 1849, გვ. 398.)

ეს ფაქტი XIII საუკუნის მეორე ნახევარში უნდა მომხდარიყო, რადგან ბერქას (1257-1266) და ჰულაგუს (1256-65) მოხსენება ამ ფაქტთან დაკავშირებით, ეჭვს არ ტოვებს, რომ ეს ამბავი 1257-1265 წ.წ. შორის არის საძიებელი. ჩვენი აზრით, აღნიშნული ფაქტი 1263 წელს უნდა მომხდარიყო, რადგან როგორც ზემოთ უკვე

აღვნიშნეთ, ამ წელს თერგზე მოხდა დიდი ბრძოლა, რომელიც სწორედ ამ ორ ყაენს შორის მიმდინარეობდა და ილხან ჰულაგუს დამარცხებით დამთავრდა. ამ ომში ოსებს ჰულაგუსათვის დაუჭერიათ მხარი, რაგდან ოქროს ურდოს უღლის ქვეშ იმყოფებოდნენ და ილხანებს, როგორც ჩანს, განმათავისუფლებლებად მიიჩნევდნენ. ოსების პოზიცია და შისაბამისად, მათი მოქმედება, ყაენ ბერქას არ გამოჰპარვია და ადეკვატური ზომებიც მიუღია. ,,ჟამთააღმწერელის“ ცნობაში დასახელებული ოსი დიდებულები სწორედ 1263 წ. თერგთან წაგებული ბრძოლის შემდეგ გახდნენ იძულებულნი ილხანთა მფარველობაში შესულიყვნენ. ანონიმური ისტორიკოსის მოცემული წყარო, მართლაც მნიშვნელოვანი გახლავთ, თუმცა მასში მაინც არის, ჩვენის აზრით, გარკვეული გაუგებრობა, რომელიც ისტორიკოსმა გ. თოგოშვილმა შემდეგნაირად ახსნა – ,,მოტანილი ცნობის ტექსტი დეფექტურია. მასში სწერია ,,ორნი“ ,,ოსის“ მაგივრად. ეს შეცდომა ადვილად შეიძლება აიხსნას გრაფიკულ ნიადაგზე, მაგრამ ერთ შეცდომას მოჰყვა მეორეც, კერძოდ ,,ოსის“ (ტექსტის ,,ოსიტ“) მრავლობით რიცხვში აღება, რის საფუძველიც მოცემული რთული სახელის ,,ლიმ აჩავ“ ორ სახელად გაგებამ შექმნა. რაკი გადამწერმა ის ორ სხვადასხვა სახელად ჩათვალა, ამიტომ მასთან დაკავშირებული მხსნელი სიტყვებიც მრავლობით რიცხვში აიღო (,,ლტოლვილნი“, ,,საკვირველნი“, ,,დედაკაცნი“), მაგრამ ბოლომდე ვერ დაიცვა ეს პრინციპი და როცა მიადგა ადგილს, სადაც მხოლობითი რიცხვი ტექსტისა უეჭველი იყო, მოულოდნელად გადავიდა მხოლობით რიცხვზე, რომლის იხედვითაც ორი დედაკაცი აღარ ჩანს, იგი ერთად იქცევა, რომელსაც ორი ძე ჰყავს; უფროსი – ფარეჯანი, უმცროსი – ბაყათარი, რომ ტექსტის ,,ორნი“ შეცდომაა და ,,ოსი“ უნდა იყოს მის ადგილზე, ამას მოწმობს ჟამთააღმწერელის თხზულებაში დაცული ცნობები, რომელთა თანახმად ფარეჯანი და ბაყათარი ოსებია.“ (გ. თოგოშვილი. საქართველო–ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან, სტალინირი, 1958, გვ. 196.)

ჟამთააღმწერლის ზემოთ აღნიშნული ცნობა, ოსთა საქართველოში დიდ ჯგუფებად დასახლების შესახებ პირველი წერილობითი წყაროა და ამ მხრივ იგი ძალზედ მნიშვნელოვანი დოკუმენტია.

როგორი ხასიათი ჰქონდა ოსთა საქართველოში გადმოსახლებას? გ. თოგოშვილი აღნიშნავს, რომ – ,,საქართველოში ოსთა ამ დიდი პარტიის დასახლების შემდეგ, მათი მონაწილეობა საქართველოს ისტორიის ასპარეზზე გაცილებით ფართო ხასიათის ხდება, ფარეჯან და ბაყათარი ამ ასპარეზზე დიდხანს და აქტიურად მონაწილეობენ".(იქვე გვ. 197.) ოსთა ეპიზოდურ გადმოსახლებას საქართველოში თავიდან მშვიდობიანი ხასიათი ჰქონდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მეფე დავით ულუმ გამჭრიახობა გამოავლინა და მეტი სიფრთხლისათვის ოსები საქართველოს სამ სხვადასხვა კუთხეში დაასახლა – ,,ხოლო მეფემან დასხნა რომელნიმე ქალაქსა, რომელნიმე დმანისსა, და სხვანი ჟინვანს". საქართველოს მეფემ კარგად იცოდა მონღოლთა პოლიტიკის ქვაკუთხედი, დაქუცმაცებულობის დაკანონება და ამ გზით მათი წინააღმდეგობის მინიმუმადე დაყვანა. მეფისათვის კონკურენტის გაჩენა მონღოლთა ხელში შანტაჟის უძლიერესი საშუალება იყო. სწორედ ამ პოლიტიკურ თამაშში აქტიურად ჩაებნენ ფარეჯანი და ბაყათარი. პირველი მეფის ბანაკში აღმოჩნდა, მეორე საპირისპირო პოლიტიკის გატარებას შეუდგა და ქართველ აზნაურებს დასახლებული ტერიტორიის მოსაპოვებლად ბრძოლა დაუწყო.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ საქართველოში ოსთა გადმოსახლების ხასიათი პირველ ხანებში მშვიდობიანი ბუნების გახლდათ, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ მდგომარეობა საპირისპიროდ იცვლება.

1291-1295 წ.წ. ილხანებს ომი ჰქონდათ ბიზანტიასთან. მეფე დავითი და ფარეჯანი ილხანთა ლაშქრის შემადგენლობაში იმყოფებოდნენ – ,,მუნ ყოფასა ფარეჯან ოვსთა მეფისა ძისასა, იწყეს ოვსთა ოხრებად, ხოცვად, და რბევად, და ტყვევნად ქართლისა, და ქალაქი გორი წარტყვენეს, და თვისად დაიჭირეს ოვსთა; მაშინ შეკრიბეს ქართლისა ერისთავისა ბეგას წინაშე, ძისა ამადასი, ყოველნი ქართველნი და მოადგეს გორსა, და მრავალგზის შეებნეს, და ქალაქსა შინა მრავალი კაცი მოკუდა ოსიცა და ქართველნიცა და დაწვეს გორი სრულიად, და ვითარ მისჭირდა ოვსთა, ციხიდამან გარდმოუშვეს საბლით კაცი და წარავლინეს მუხრანსა მდგომთა თათართა თანა, რათა შეეწივნენ, ვითარცა ესმათ, ჩამოდგეს შუა, შველა

ქმნეს და ზავი, და ამიერითგან შეიქმნა მტერობა შორის ქართველთა და ოვსთა, ვიდრემდის.... გიორგიმან (იგულისხმება გიორგი ბრწყინვალე – მ.ვ.) განასხმნა და აღფხურნა“. (ქართლის ცხოვრება, მ.ბროსეს გამოც., ტ. I, სანქტ-პეტერბურგი, 1849, გვ. 427-428.)

მოყვანილი ისტორიული დოკუმენტი ნათელყოფს იმდროინდელი დაპირისპირებას, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოს მკვიდრ ქართულ მოსახლეობასა და დროებით ოსურ მოსახლეობას შორის.

იმდროინდელი მდგომარეობის უფრო კარგად წარმოსადგენად მოვიყვანთ დიდი ქართველი ისტორიკოსის, აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის აზრს, რომელიც საქართველოში ოსთა დამკვიდრებისათვის ბრძოლის შესახებ წერს: – ,, საქართველოს აოხრებამ, ხვარაზმელების შემოსევამ, და მონღოლთა ბატონობამ მოსახლეობა ბევრგან შეათხელა და ქვეყანა გააუკაცურა, უმთავრესად ბარად და ქვეყნის სამხრეთ–აღმოსავლეთ სანაპიროებსა და შუაგულში. განთავისუფლებულ ადგილებზე მთებითგან ქართველი მთიულნი დასახლდნენ, ხოლო მათ მაგიერ თანდათანობით იმიერკავკასიითგან ოსები გადმოვიდნენ. თავის სამშობლოში თარეშს შეჩვეულნი, საქართველოში ისინი თავის ზნე–ჩვეულებებს ვერ დაიშლიდნენ და ძარცვა–გლეჯას ეტანებოდნენ. ამ ნიადაგზე ქართველთა და ოსთა შორის მტრობა ამოვარდა და ერთმანეთს დაუნდობლად ეპყრობოდნენ“. (ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, წ. III , თბ., 1951, გვ. 245.)

ამრიგად XIII საუკუნის ბოლოს ურთიერთობა შიდა ქართლში ადგილობრივ ქართულ მოსახლეობასა და ხიზან ოსებს შორის ძალზედ არამეგობრული გახდა.

ოსთა რაზმს სათავეში ედგა ბაყათარი, ფარეჯანის ომცროსი ძმა. იგი როგორც ჩანს, უკმაყოფილო იყო საკუთარი მდგომარეობით საქართველოში, რაც გახდა მიზეზი მისი დაპირისპირებისა ქართველ დიდებულებთან. ბაყათარი მშვენივრად სარგებლობდა ქართლში შექმნილი მძიმე პოლიტიკური სიტუაციით, რომელიც მკვეთრი შინაგანი აშლილობითა და დაპირისპირებით ხასიათდებოდა. ამავე დროს ქართველთა მეფე დავითს მონღოლთა მიმართ საკმაოდ მტრული პოზიცია ეკავა, იგი

თავისი ლაშქრით მთიულეთში იყო გამაგრებული. ,, ვინათგან მეფე დავით არა მიენდო თათართა, ზაფხულს მთიულეთს იტყვის, და ზამთარს ქართლსა, ამისათვის იშლებოდა ქვეყანა ქართლსა, თრიალეთსა, და განასხმიდა მამულისაგან აზნაურთა და იყო ჭირი დიდი მკვიდრთა ქართლისათა“. (ქართლის ცხოვრება, მ.ბროსეს გამოც., ტ. I, სანქტ-პეტერბურგი, 1849, გვ. 441.)

ბაყათარის თარეში ქართლში საკმაო ხანს გაგრძელდა, თუმცა დავით VIII ცდილობდა, მისი ქვეყნისათვის დამღუპველი ვითარება უკეთესისაკენ შეეცვალა და გამოესწორებინა, მაგრამ ამისათვის საკმაო ძალები არ გააჩნდა. მეფის მდგომარეობა ძლიერ დაესუსტებინა მონღოლებთან ბრძოლას, ამავე დროს მას უპირისპირდებოდნენ საკუთარი ძმები, ჯერ ვახტანგი, ხოლო შემდეგ გიორგი, რაც მეფის ისედაც რთულ მდგომარეობას კიდევ უფრო აუარესებდა.

ოსთა მთავარი ბაყათარი კარგად სარგებლობდა შექმნილი სიტუაციით. იგი ერიდებოდა ძლიერ ქართველ ფეოდალებთან აშკარად დაპირისპირებას, ზოგ მათგანს უთანხმდებოდა, რომ მის სამფლობელოს არ შეეხებოდა და ამით თავს იზღვევდა მათი გამოსვლებისაგან. ოსი მთავარი ქსნის ერისთავს შალვა ქვენიფნეველს ,,მიუდგა მეფისაგან განდგომისას“. (ქართლის ცხოვრება, მ.ბროსეს გამოც., ტ. I, სანქტ-პეტერბურგი,1849, გვ. 434.) ბაყათარი ამავე დროს სამცხის ათაბაგ ბექას მამულსაც დაემუქრა, თუმცა ბრძოლაში დამარცხდა და ვალდებულება იკისრა მომავალში არ დასხმოდა ბექას სამფლობელოს – ,,იქმნა ომი ფიცხელი, და პირველსავე შებმასა გაიქცა ბაყათარ, და აღუთქვეს რა წყენა, ესრეთ მოვიდა ბექასა წინაშე გაუშავებელი, და უკანას მოკუდა ბაყათარ.“ (იქვე, გვ. 442.)

მიუხედავად იმისა, რომ ბაყათარმა სამცხის ათაბაგ ბექასთან მარცხი განიცადა, მან პოზიციები მაინც არ დათმო. რით შეიძლება აიხსნას ოსთა ასეთი წარმატება ქართლში? – ბუნებრივია იმ პოლიტიკური სიტუაციით, რომელიც შექმნილი იყო საქართველოში. ,,მონღოლთა შემოსევა–გაბატონებამ საქართველოში პოლიტიკური დაქუცმაცებულობა დააკანონა და ამით მისი ძლიერება საგრძნობლად დასცა. ცალკეული ქართველი ფეოდალები სავსებით დამოუკიდებელ პირებად გადაიქცნენ

და ყველა მოვლენას საკუთარი ინტერესების თვალსაზრისით აფასებდნენ. ასეთ პირობებში ქართველთა გაერთიანებული ძალების დაპირისპირება მტრისადმი შეუძლებელი იყო. ქართველი ფეოდალები მხოლოდ მაშნ ებმებოდნენ ოსებთან ბრძოლაში, როცა უშუალოდ მათ მამულს მოადგებოდნენ.“ (გ. თოგოშვილი. საქართველო–ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან. ტ. I, სტალინირი, 1958, გვ. 208.)

ასეთი მძიმე მდგომარეობა, როგორც ქართლში იყო, არ იძლეოდა საშუალებას ქართველები მტერს ერთიანი ძალებით დაპირისპირებოდნენ. ასე გრძელდებოდა იმ დრომდე, ვიდრე საქართველოს სამეფო ტახტზე არ ავიდა გიორგი ბრწყნვალე (1314-1346წ.წ.), რომელმაც, სხვებთან ერთად, ოსების თარეშიც ალაგმა ქართლში: ,,მეფემან განასხნა ძლიერებითა თვისითა, და წარუხუნა ციხენი და დაბნები, მერმე შევიდა და შემუსრნა კავკასსა შინა მყოფნი, ურჩნი მოსრნა და დაიმორჩილნა, მოხარკე ჰყუნა ყოველნი იგი, და დაამშვიდა ქართლი ოვსთაგან, ვინაიდან გზანი ყოველნი თვით დაიპყრნა.“ (გ. თოგოშვილი. საქართველო–ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან. ტ. I, სტალინირი, 1958, გვ. 208.)

ამ ცნობაში სრულიად ნათლად ჩანს, რომ გიორგი ბრწყინვალემ მოახერხა ოსთა რაზმების დამარცხება და განდევნა შიდა ქართლის ტერიტორიიდან, გარდა ამისა მან ,,შმუსრნა კავკასსა შინა მყოფნი“, და ქართლისაკენ გადმომავალი გზები თვითონ დაიჭირა. მან შეძლო საქართველოს გაერთიანება და გაძლიერება. მოსახლეობას ვეღარ აწიოკებდნენ მტრები, მათ შორის ოსური შიარაღებული რაზმები.

ზემოთ მოყვანილი ისტორიული ცნობები ცხადყოფენ, რომ გიროგი ბრწყინვალემ შესძლო აელაგმა ოსთა თარეში, განდევნა ისინი ქართლის ტერიტორიიდან და ,,გზანი ყოველნი თვით დაიპყრნა“. კიდევ მეტი, ჩრდილოელი ოსებიც დაიპყრო, დაიმორჩილა და დახარკა. ყოველივე ამის შემდეგ, გაკვირვებას იწვევს ზოგიერთი ისტორიკოსის მტკიცებულება, რომლის მიხედვითაც თითქოს ოსები შიდა ქართლში XIII საუკუნეში დამკვიდრებულიყვნენ. ამ მოსაზრებას ყველაზე უფრო აქტიურად პროფ. გიორგი თოგგოშვილი იცავს. მისი აზრით, ოსების

ჩამოსახლება ქართლის მთიანეთში სწორედ იმ პერიოდში უნდა მომხდარიყო. იგი წერს, რომ: „საქართველო–ოსეთის ფართო პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა XII-XIV ს.ს. დაგვირგვინდა შიდა ქართლის ტერიტორიაზე ოსთა დასახლებით. ამ ფაქტით საფუძველი ჩაეყარა თანამედროვე სამხრეთ–ოსურ მოსახლეობას, რომლის ბედი მჭიდროდ გადაეხლართა ქართველი ხალხის ისტორიულ ბედსო“, (გ. თოგოშვილი. საქართველო–ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან. ტ. I, სტალინირი, 1958, გვ.247.) ან კიდევ ,, გიროგი ბრწყინვალის მეფობის ჟამს (XIV ს–ის პირველი ნახევარი) გადმოსახლებული ოსები საქართველოს სახელმწიფოში შევიდნენ. ამ დროისათვის საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივი ოსური მოსახლეობა შეიქმნა, მაგრამ ოსთა შემდგომი გადმოსახლების პროცესი არც შემდეგში შეწყვეტილა. ამიერიდან ოსები ჩრდილოეთ კავკასიიდან კი აღარ გადმოდიოდნენ ქართლის ბარში, არამედ საქართველოს მთიანეთი რაიონებიდანო“, (იქვე, გვ. 224.) ხოლო გიორგი ბრწყინვალის მიერ ოსთა წინააღმდეგ გატარებული ღონისძიებების შესახებ მეცნიერი დასძენს – ,,გიორგი ბრწყინვალეს სამხედრო ღონისძიებათა შედეგად ოსთა ძირითადი მასა შეჩერებული იქნა ყოფილი დვალეთის ტერიტორიაზე, დიდი ლიახვის ხეობის სათავეებში, აგრეთვე ნარ–მამისონის ტაფობში. ამ ადგილებში მცხოვრები დვალები ასიმილირდებიან ოსთაგან და თანდათან თავის ეთნიკურ ინდივიდუალობას კარგავენ“, (გ. თოგოშვილი. დასახელებული ნაშრომი, გვ. 223.) ამ შემთხვევაშიც გ. თოგოშვილს დასაშვებად მიაჩნია შიდა ქართლის, კერძოდ ლიახვის ხეობის სათავეში ოსების კომპაქტური მოსახლეობის არსებობა. დავაკვირდეთ მეცნერის მტკიცებულებებს და ვნახოთ რის საფუძველზე ივარაუდა მან ოსების საბოლოოდ XIII-XIV საუკუნეებში შიდა ქართლის ტერიტორიაზე დამკვიდრება.

უმთავრესი, რასაც ეყრდნობა მეცნიერი, გახლავთ ,,ჟამთააღმწერელის“ ცნობა, რომელიც პირველი ვგამცნობს ოსების გარკვეული ნაწილის საქართველოში გადმოხიზვნას ჩრდილეოთ კავკასიიდან. აღნიშნული წყაროს შესახებ ჩვენ დაწვრილებით უკვე გვქონდა საუბარი, მაგრამ აქაც დავძენთ, რომ აღნიშნული ცნობა

საერთოდ არ იძლევა იმის საშუალებას, ვამტკიცოთ, თითქოს ტექსტში მოყვანილი ოსები, თანამედროვე ე.წ. სამხრეთელი ოსების წინაპრები იყვნენ. თანამედროვე ,,სამხრეთელი ოსები“ ცხოვრობენ მდინარეების დიდი და პატარა ლიახვის, ფრონეებისა და ქსნის ხეობების გასწვრივ, ჟამთააღმწერელის მიერ მოცემულ ცნობაში დასახელებული ოსები, დავით ულუმ საქართველოს სამ სხვადასხვა კუთხეში დაასახლა, ,,...ხოლო მეფემან დასხნა რომელნიმე ქალაქსა, რომელნიმე დმანისსა, და სხვანი ჟინვანს“, როგორც ვხედავთ დასახელებული ოსები ქართველთა მეფეს შიდა ქართლის და მით უმეტეს დიდი და პატარა ლიახვების ხეობებში არ დაუსახლებია, მდ. დიდი ლიახვის ხეობის არეალში ავტორის მიერ (იგულისხმება ჟამთააღმწერელი) ისტორიულ დვალეთში ჯერ კიდევ ისევ ქართველი დვალები ცხოვრებდნენ და ოსების მიერ დვალების არანაირ ასიმილაციაზე მე–13–14 საუკუნეებში არ შეიძლება ლაპარაკი, ვინაიდან ამ დროს არსად არ შერევიან ერთმანეთს ეს ორი სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფი, ოსები მხოლოდ დროებით ცხოვრობდნენ ბანაკებად, როგორც ლტოლვილები. მაშასადამე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ გიორგი თოგოშვილის შეხედულება მცდარია. ოსების რაიმე მნიშვნელოვან დასახლებას, რომც ჰქონოდა ადგილი შიდა ქართლში, ისინი მალე ასიმილირებული იქნებოდნენ ქართველებთან. ამ ფაქტს თვითონ მეცნიერიც არ უარჰყოფს – ,,ვვარაუდობთ, რომ ქართლიდან ოსების სრული გაძევება არ მომხდარა. ადრიდანვე დამორჩილებული ან ბრძოლის პროცესში ნებაყოფლობით დანებებული ოსური მოსახლეობა ადგილზე დარჩა და დროთა განმავლობაში ასიმილირებული იქნა ქართული ფეოდალური საზოგადოების მიერ, ამას უნდა მიგვანიშნებდეს ქართლის ზოგ რაიონში (მაგ.:ქარელის), სადაც XIII ს–ის ბოლოს თუ XIV ს–ის დამდეგს ოსების ყოფნა ივარაუდება, ოსური წარმომავლობის გვარ–სახელების დადასტურება: მაგ.: ბაღათარა ხოსაშვილი და ბოგანო ხაბელაშვილი, რომლებიც იხსენებიან კონსტანტინე მეფის 1467 წლის სიგელში ზაზა ფანასკერტელისადმი. ამათგან პირველს ორბოძლელისეული მამული სჭერია, ესენი უკვე ნაოსრები არიან“–ო! (გ. თოგოშვილი. ვახუშტი ბაგრატიონი ოსეთისა და ოსების შესახებ. თბ. 1977, გვ. 92.)

საინტერესოა, რომ მეცნიერი გრძნობს საკითხის სიღრმეს, მაგრამ ამის მიუხედავად არასწორ დასკვნას აკეთებს, რითაც შეცდომაში შეჰყავს ზოგიერთი ისტორიკოსი და ამ საკითხით დაინტერესებული საზოგადოება.

ზოგადად, ოსთა სამხრეთით მოძრაობის მიზეზებსა და მიმართულებებზე გ. თოგოშვილი წერს: ,,....მონღოლთაგან იმიერკავკასიის ველებზე განადგურებული ოსები სხვადასხვა მიმართულებით იფანტებიან. ოსთა ძირითადი ნაწილი შემოდის ჩრდილოეთის მთებში, იქიდან კი თანდათან დვალეთის რეტიროტიაზე, საიდანაც.... ქართლის ბარისაკენ მოიწევენ. ოსთა გადმოსვლა ძირითადად არდონის ხეობით ანუ როკის უღელტეხილით ხორციელდება. სწორედ ამ გზის დასასრულს (სამხრეთ ოსეთსა და გორ–ქარელის რაიონებში) გაიშალა ძირითადი ოპერაციები. ოსთა სამხრეთით მოძრაობისას მამისონის უღელტეხილი არ გამოყენებულა, რაც იმის შედეგი იყო, რომ მონღოლთაგან შედარებით მოსვენებული დასავლეთ საქართველოს ფეოდალურ წრეებს საკმაო ძალა გააჩნდათ გზის დასაცავად, რომ ამ გზის გამოყენებისაკენ მიმართული ცდები უნდა ყოფილიყო, ამას შეიძლება მოწმობდეს რაჭულ ხალხურ სიტყვიერებაში დაცული ერთი ლექსი, რომლის მიხედვით: ,, ჟღელეს ჩამოდგა დიდი ლაშქარი, დიდი ლაშქარი ოვსი და დვალი“. (გ. თოგოშვილი. საქართველო–ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან. ტ. I, სტალინირი, 1958, გვ. 221.)

მიუხედავად ოსთა მოძრაობის მიზეზების, მიმართულებებისა და მოძრაობის ჩვენებისა, გიორგი თოგოშვილი დიდ შეცდომას უშვებს ამ მოვლენის დათარიღებისას. სწორი მეცნიერული ანალიზი კი გვიჩვენებს, რომ ოსები საქართველოში და კერძოდ შიდა ქართლში გადმოსახლდნენ არა XIII-XIV საუკუნეებში, არამედ ბევრად უფრო გვიან XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე, ისიც მცირე რაოდენობით. ამავე დროს, აღნიშნული პროცესი არ წარმოადგენდა ერთჯერად მოვლენას. იგი საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა – ეპიზოდურად და პატარა ჟგუფებად – ხიზნობის წესით.

§3. დვალებისა და ოსების ისტორიული ურთიერთობის საკითხისათვის

ოსთა საქართველოში გადმოსახლების უკეთ წარმოსადგენად და შესაბამისად, უფრო ზუსტად დასათარიღებლად, აუცილებლად უნდა გავაანალიზოთ ისტორიულად როგორი ურთიერთკავშირი არსებობდა ოსებსა და დვალებს შორის. უნდა გავარკვიოთ თუ როგორი ისტორიული ასპექტით ივნენ ისინი ერთმანეთთან დაკავშირებულნი. აღნიშნული საკითხი მეტად მნიშვნელოვანია და უშუალოდ დაკავშირებულია საქართველოში ოსთა ჩამოსახლების თარიღთან: – ,,დვალთა ვინაობის საკითხთან მჭიდროდ არის დაკავშირებული სათანადო ლიტერატურაში ოსთა ჩამოსახლების საკითხი. თუ დვალებს ოსებად მივიჩნევთ ბუნებრივად უნდა ვაღიაროთ, რომ ოსები ძველთაგანვე ცხოვრობდნენ კავკასიის მთავარი ქედის პირაქეთა კალთებზე, ხოლო თუ დამტკიცდება , რომ დვალები და ოსები სხვადასხვანი არიან, მაშინ ოსთა ჩამოსახლების საკითხიც სხვანაირ გადაწყვეტას მოითხოვს“ (დ. გვრიტიშვილი. დვალთა ვინაობისა და ოსთა ჩამოსახლების საკითხისათვის. - მიმომხილველი I, თბილისი, 1949, გვ. 115.).

აღნიშნულთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა ისტორიკოსმა ვახტანგ ითონიშვილმა – ,,...დვალების ოსებად (ან მაინცდამაინც ,,სამხრეთელ ოსებად“), დვალეთის ქვეყნის კი ოსეთად (ან მაინცდამაინც ,,სამხრეთ ოსეთად“) მონათვლის ცდების გაბათილების შემთხვევაში დიდი და პატარა ლიახვის, ქსნის ჯეჯორის და თერგის ხეობაში ოსთა გადმოსახლების ზუსტი თარიღის დადგენა მთლიანად დამოკიდებული ხდება ჩვენს განკარგულებაში არსებული წერილობითი წყაროების ცნობებისა და თავად ოს მკვლევართა მიერ ფართოდ გამომზეურებული ეთნოგრაფიული მასალის მიუკერძოებელ ანალიზზე. ეს უკანასკნელნი კი ოს–ირონთა მასობრივ შემოსახლებას ,,ბუდე დვალეთის“ (ოს, ,,თუალგომის“) ხევებში მხოლოდ XV ს–ში დაწყებულ ეთნიკურ პროცესად სახავს, ხოლო ე.წ. სამხრეთელ

ოსთა წინაპრებს კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის გადმოღმა არა უადრეს XVI საუკუნეში დამკვიდრებულ მოახალშენეებად წამოაჩენს, თანაც ოსური ხალხური თქმულებების მიხედვით, შესაძლებელი ხდება ოსების ზოგიერთ მაღალმთიან ხეობაში ძალით დამაგრებისა და იქიდან მკვიდრი დვალური მოსახლეების ნაშთების განდევნის სურათის აღდგენაც, რასაც თვალნათლივ მოწმობს თუნდაც თრუსოელ ოსთა შორის დაფიქსირებული გადმოცემაც თერგის სათავეში ,,ყაბარდოელთა“ ან ,,ჩერქეზთა“ ოდინდელი ცხოვრებისა და აქ გვიან მოსულ ოსთა მიერ მათი ,,ჯოხებით გადალახვის“ შესახებ (ამ შემთხვევაში, ზოგადად ,,უცხოს“, ,,არათვისტომის“, ,,მტრის“ მნიშვნელობით ხმარებული და ქართული ,,თათრის“ ადექვატური შინაარსის მქონე ცნებების ,,ყაბარდოელის“ ან ,,ჩერქეზის“ ქვეშ იოლად ამოიცნობიან სწორედ თრუსოელი დვალები), ანდა ლიახველ ოსთა განმარტებები დიდი ლიახვის ხეობის სათავეებში ე.წ. ცარციათების ცხოვრების (სიტყვა ,,ცარციათ“ ოსებთან ტრადიციულად ,,უცხო“, იდუმალებით მოსილი, გადაშენებული ხალხის აღმნიშვნელ ტერმინად გამოიყენება) და შემდგომ მათ ნასახლარზე ოს–ირონთა დამკვიდრების შესახებ. ასე რომ ისტორიულ–ეთნოგრაფიული მასალის შუქზე ე.წ. ,,სამხრეთ ოსეთის ა.ო.“– ს ტერიტორიაზე და ზოგიერთ მიმდებარე მხარეში ოსების გადმოსახლების ქვედა ზღვრის XVI საუკუნე ჩაცილების შესაძლებლობა თავისთავად გამოირიცხება. ამასთან, ელემენტარული ლოგიკის ძალით, ოსები გვიან მოსულნი გამოდიან არა მარტო ყოფილი ავტონომიური წარმონაქმნის, არამედ საკუთრივ ე.წ. ,,ჩრდილეთ ოსეთის“ (ე.ი. აწინდელი ისტორიულ–ეთნოგრაფიული ოსეთის) ტერიტორიის განსაზღვრულ ნაწილზეც, რაც საბოლოოდ ააშკარავებს ცენტრალურ საქართველოში ოსებისა და ოსეთის ოდითგანვე არსებობის შესახებ გამოთქმულ შეხედულებათა სრულ უნიადაგობას“. (ვ. ითონიშვილი. ქართულ–ოსურ ურთიერთობათა ისტორიიდან. თბ., 1995, გვ. 71–72.)

მეცნიერი ასევე გამოთქვამს თავის შეხედულებას ისტორიულად დვალთა მიერ დასახლებული ტერიტორიების შესახებ. ეს საკითხი ძალზედ მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რადგან როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ზოგიერთი მკვლევარი XIII

საუკუნეში დიდი ლიახვის ხეობაში და მის სათავეებში დასახლებული მოსახლეობის წარმოჩენას ცდილობს, როგორც თანამედროვე ე.წ. ,,სამხრეთელი ოსების“ წინაპრებად. აღნიშნული ვერსიის გასაბათილებლად საჭიროა დეტალურად გავაანალიზოთ თუ სად იყვნენ დასახლებული და შესაბამისად, რომელ ტერიტორიებს მოიცავდნენ დვალები? – ყოველივე ამასთან დაკავშირებულ საკითხებზე დამაჯერებელ ცნობებს გვაწვდის ვახუშტი ბაგრატიონი. იგი დვალეთის შესახებ ფარნაოზ მეფის დროიდან მოგვითხრობს და გულისხმობს იმ ტერიტორიას, რომელიც წილად ხვდა ფარნაოზს – ,,...და იწოდების ხევნი ესრედ: კასრის ხევად, ზრამაგად, ჟღელედ, ნარად, ზროგოდ და ზახად, ხოლო რომელნ დაშთნენ მეფეთა ოვსთა, სახელნი მათნი არიან ესენი: ჩიმი, თაგაური, ქურთაული, ვალაგირი, ფაიქომი, დიგორი და ვასიანი... არამედ ხევი, არს დვალეთისავე... არამედ თრუსო კვალად არს დვალეთისავე“,(ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 633-634.) ბატონიშვილი ვახუშტი დვალეთთან აიგივებს დიდი ლიახვის სათავესაც – მაღრან დვალეთს, ,,არამედ ხეობანი ესენი, რომელნი აღვსწერეთ მაღრანდვალეთითურთ, არან დვალეთი“(იქვე, გვ. 644.)

მაშასადამე, ვახუშტი ბაგრატიონის ცნობის თანახმად, ფარნავაზის დროიდან ქართველ მეფეთა ხელში იყო და დარჩა ძველი დვალეთის შემდეგი რაიონები: კასრისხევი(ოსურად კასარაიქომ), ზრამაგა (ზარამაგ), ჟღელე (ზღილ), ნარა(ნარ), ზროგო (ზრუგ), ზახა (ზაყყა), თრუსო, ხევი დიდი პიახვის სათავე ანუ მაღრან–დვალეთი. ოსთა მთავრებს დარჩათ: ჩიმი (ცმი), თაგაური (თაგიათ), ქურთაული (ქურთათა), ვალაგირი (უალაგირ), დიგორი (დიგურ), ვასიანი (ასი).

ვახუშტი ბაგრატიონის გადმოცემის თანახმად, ეს სახელწოდებები მონღოლთა შემოსევების შემდეგდროინდელია. თუ ყურადღებით და საფუძვლიანად დავაკვირდებით ვახუშტის ცნობებს, მაშინ თვალნათლივ დავინახავთ, რომ მეცნიერის თანამედროვე დვალეთის ტერიტორია ბევრდა პატარა იყო იმასთან შედარებით, რაც ოს–ხაზართა შემოსევებამდე არსებობდა.

დვალეთისა და დვალების ლოკალიზაციის შესახებ ვაზტანგ ითონიშვილი აღნიშნავს: – ,,დვალები (ძველი ორთოგრაფიული ,,დუალი“ ან ,,დვალნი“) კავკასიონის მთავარი ქედის ცენტრალური ნაწილის ძველისძველ მკვიდრთ წამოადგენდნენ, რომელნიც თავისი ისტორიული ბედით ორი ათასწლეულის მანძილზე მჭიდროდ და ცალკერძ იყვნენ დაკავშირებულნი საქართველოსა და ქართველებთან, ხოლო XIV საუკუნის შემდგომ ხანაში უკვე კავკასიის მთიანეთში ინფილტრირებულ ოსებთანაც. ამ უაღრესად თვითმყოფადი და არც თუ მცირერიცხოვანი ტომის ძირითადი სამოსახლო მხარე – დვალეთი, ვითარცა შორეული წარსულიდან (ძვ. წ. IV საუკუნიდან) ქართული სახელმწიფოს ერთ–ერთი ,,ნაპირის ალაგად“ ქცეული და ეკლესიურად ნიქოზის საეპისკოპოში V საუკუნიდან შემავალი ისტორიულ–ეთნოგრაფიული ქვეყანა, თავდაპირველად კავკასიონის მთავარსა და გვერდით ქედებს შორის ლოკალიზდებოდა და ამჟამად ე.წ. ,,ჩრდილოეთ–ოსეთის ალანიის რესპუბლიკის“ საზრვრებში მოქცეულ 500 კმ^2–მდე ფართობის მიწა–წყალს მოიცავდა, რომელიც რუსულ ენაზე გადმოცემულ სამეცნიერო თუ პოპულარულ ლიტერატურაში არაიშვიათად ზოგადად ნარა–მამისონის ქვაბულის სახელწოდებითაც ფიგურირებს, მდინარე თერგის მარცხენა შენაკადის – არდონის სათავეებთან დაბა ბურუნამდე“. (ვ. ითონიშვილი. ქართულ–ოსურ ურთიერთობათა ისტორიიდან. თბილისი, 1995, გვ. 64; იხ. მისივე ნარკვევები კავკასიის ისტორიიდან, თბ., 2002, გვ. 280.) დვალეთისა და დვალების შესახებ მრავალ საყურადღებო ცნობას გვაწვდის ანტიკური ლიტერატურა. ცნობები მათ შესახებ ასევე შემონახულია ქართულ ისტორიოგრაფიაშიც, კერძოდ, აღსანიშნავია ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომები, რომელშიც დვალებსა და დვალეთზე დიდი ყურადღებაა გამახვილებული. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ის ცნობები, რომლებიც დვალებისა და ოსების ურთიერთობას, ამა თუ იმ ფორმით, ასახავს, გვაწვდის ინფორმაციას მათი მდგომარეობისა და ყოფა – ცხოვრების შესახებ ისტორიის სხვადასხვა ეტაპებზე.

ზოგი მეცნიერ–მკვლევარი დვალებსა და ოსებს ერთ ეთნოსად მიიჩნევს და ან

გზით ცდილობს ნიადაგი მოამზადოს იმ შეხედულების მხარდასაჭერად, რომელიც გულისხმობს, თითქოს ოსები საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ შიდა ქართლის მთიანეთში მრავალი საუკუნის წინ იყვნენ დასახლებულნი. ასეთი მკვლევარები ცდილობენ დვალებისა და ოსების ეთნიკურ იდენტიფიცირებას (რაც მხოლოდ ფანტაზიის ნაყოფია) ამით კი ფაქტის წინაშე გვაყენებენ. ასეთი ჰიპოთეზის გასაბათილებლად და სწორი მეცნიერული დასკვნების გასაკეთებლად, საჭიროა საკითხის სიღრმისეულად შესწავლა, ობიექტური ისტორიული წყაროების მეშვეობით რეალური სურათის წარმოჩენა.

როგორც ზემოთ ვახსენეთ, ერთ–ერთი ყველაზე ობიექტური ისტორიული წყარო დვალებისა და ოსების ურთიერთობის შესახებ, არის ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომი ,,აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, სადაც მრავალი საყურადღებო და ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანი ცნობები გვხვდება. ეხება რა, წინაისტორიულ ეპოქას, ვახუშტი ცდილობს წარმოადგინოს კავკასიისა და მიმდებარე ტერიტორიების დასახლების ზოგადი ეთნიკური სურათი:

,,კავკასოს დაიპყრა ქვეყანა ლეკანის საზღვრიდან ვიდრე პონტოს ზღვამდე კავკასიის მთის ჩრდილოეთი ველითურთ და ამისაგან ეწოდა მთასა კავკასი და ველსა ოსი, ბოლოს მონაწყვეტი კავკასოსი, ვითომ მის გადმოსვლამდე ხაზართა: არამედ ხაზართა მეფემან მისცა ქვეყანა კავკასოსი ძესათვისა ურბანოსს და ტყვენ ქართ – სომხეთისანი: ამან მოსწყვიტა ნათესავი კავკასოსი და დაეშენა აქ თვისით და ტყვეთა მით და უწოდა ოვსეთი... გახიზნული კავკასნი და ძურზუკოს შეეხიზნენ კავკასიის მთებს და ეწოდა არაგვს აღმოსავლეთს კერძს, ლეკეთის საზღვრამდე ძურძუკეთი; ხოლო არაგვს დასავლეთით რომელ არს მდინარე ლომეკი, და აწ თერგი, რომელი დის ხევიდამ, კავკასთა შინათა, დვალეთი“.(ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ნ. ბერძენიშვილის და თ. ლომოურის რედ., თბილისი, 1941, გვ. 105.)

მოტანილი ცნობიდან აღსანიშნავი გახლავთ ის გარემოება, რომ მართალია, ვახუშტი ამ წყაროს მთლიანად ლეონტი მროველს დაესესხა, მაგრამ აქ საინტერესოა არა უშუალოდ პირველწყაროს დადგენა, არამედ თვითონ ტექსტის შიგნით

მოცემული ერთი დეტალი – დვალეთი და ოსეთი ცალ-ცალკე სუბიექტებად არის მოხსენიებული. ისინი ერთი ეთნიკური ჯგუფი ან ტომი რომ ყოფილიყვნენ, მაშინ ერთი დასახელებით აღინიშნებოდნენ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი საპირისპირო მოვლენასთან გვაქვს საქმე.

აქვე ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავს: – ,,დარჩა ფარნავაზს ზურძუკი და დვალეთი და სხვანი ხევნი იგინი დაშთენ მეფეთა ოვსთა, და იწოდნენ ხევნი იგინი ოვსეთად, შემოსახლებითა და დამონებითა მათითა მათგანვე". (იქვე, გვ. 107.) როგორც ვხედავთ, აქაც ადგილი აქვს დვალებისა და ოსების დიფერენციაციას. ვახუშტი სამართლიანად ასხვავებს დვალებსა და ოსებს ერთმანეთისაგან. დვალები საქართველოს შემადგენლობაში შედიან ფარნავაზ მეფის დროს. ისინი აქტიურ მონაწილეობას იღებენ ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობის საქმეში. ამგვარი პოლიტიკური მდგომარეობა დიდხანს გაგრძელდა. სტაბილურობა რეგიონში მკვეთრად შეარყია მონღოლ–თათართა გამოჩენამ; – ,,ხოლო მოსვლასა თათართა ჩინგიზ ყაენთაგან და უმეტეს ბათოსა და ორხანისაგან მოისრა და მოოხრდა ოვსეთი და შემოილვტვოდნენ ოვსნი ამ კავკასიათა შინა... და კვალად შემდგომად მოსვლისა ლანგთემურისა და აღებისა კონსტანტინოპოლისა ემძლავრნენ ოვსთა, იქით თათარხანი და აქეთ ლანგთემურისელნი მაჰმადიანნი და შემოივლტონდნენ კავკასიათა შინა, და დაიპყრეს კავკასთა ნათესავნი, რომელნი არიან დვალნი". (ვახუშტი, გეოგრაფია, მ.ბროსეს გამოც., სანქტ-პეტერბურგი, 1842 წ, გვ. 460.)

ისტორიის ამ მონაკვეთის შემდგომ დაახლოებით XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე იწყება ოსების მიერ დვალების თანდათანობით ასიმილაცია, ამავე დროს უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ მონღოლების მიერ ოსების რბევა არ წარმოადგენდა ერთჯერადი ხასიათის მოვლენას. პირველად მონღოლებმა ოსები XIII საუკუნის შუალედში გამოდევნეს იმიერკავკასიის ველებიდან, რის გამოც ოსებმა თავი იმიერ კავკასიის მთიან ხეობებს შეაფარეს, ხოლო ერთმა დიდმა ნაწილმა საქართველოში მონახა თავშესაფარი – ,,....ხოლო მეფემან დასხნა რომელნიმე ქალაქსა, რომელნიმე დმანისსა, და სხვანი ჟინვანს".

ოსების მეორე შემოსვლა ,,კავკასიას შინა: განხორციელდა XIV საუკუნის ბოლოსა და XV საუკუნის პირველ ნახევარში: – ,,მოსვლასა ლანგთემურისა და აღებისა კონსტანტინოპოლისა“. მაშასადამე ნათელია, რომ ოსური მოსახლეობის მიგრაციის ორ დიდ ტალღას ჰქონია ადგილი კავკასიაში და კონკრეტულად დვალეთში. ამას შედეგად მოჰყვა ოსების მიერ დვალების დამორჩილება და მათი ასიმილაცია. ეს პროცესი XVII საუკუნის მეორე ნახევრამდე გაგარძელდა.

საქართველოს, რომელიც ასვე მონღოლების მძიმე უღლის ქვეშ იმყოფებოდა, არ გააჩნდა საკმარისი ძალა ქვეყნის განაპირა რაიონებისა და მათ შორის დვალეთის დაცვა გარეშე მტრებისაგან. დვალლეთი მხოლოდ საკუთარი ძალების ამარა დარჩა, რამაც განაპირობა მათი დამარცხება ოსებთან. დვალების გარკვეული ნაწილი იძულებული ხდებოდა ბარის რაიონებში გადმოსახლებულიყო. მათ სამოსახლო ადგილებს კი თანდათანობით ოსები იკავებდნენ.

საინტერესოა თუ როგორ გამოიყურებოდა შიდა ქართლის მთიანეთი ვახუშტი ბაგრატიონის მოღვაწეობის დროს (XVIII საუკუნის პირველი ნანხევარი) ეთნიკური თვალსაზრისით? – თავად ისტორიკოსი გადმოგცემს:

,,ქარჩოხის დასავლით არს ქსანსა ზედა ჟამური, აწ მსახლობელნი არიან ოსნი... მთიულეთსა და ამას შუა არს მთა.. ჟამურის მხარეს ამ მთასა ზედა არს კოშკნი წარიგებულნი მრავალნი მაღალნი და კეთილნაშენნი“ (ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედ. ტ. IV , თბ., 1973 წ. გვ. 360.) ამის შემდგომ ვახუშტი აღწერს გერის ხეობას – ,,ვანათს ერთვის დასავლეთიდამ ლიახვს ხევი გერისა... ამას ზედა მსახლობელნი არიან ოსნი.... ფოტრისას ხევს ზეით არს აწერის ხევი... მას ზეით მოერთვის ხევი შამბანისა ლიახვს აღმოსავლეთიდამ... ამ ხევს ზეით ერთვის ლიახვს ხევი ჩაბარუხეთისა... ამ ლიახვის შესართავს... არს ციხე ბეყჩოსი. ამ ციხეს ზეით არს ქნოღო სამ ხეობად, აწერის ხევის ზეით არიან მოსახლხენი ოსნი სრულიად“, (ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედ. ტ. IV , თბ., 1973 წ. გვ. 362-363.) ვახუშტი შემდგომ აღწერს დიდი ლიახვის სათავეს, – ,,ქნოღოს ჩრდილოთკენ არს მაღრან–დვალეთი... აქ აქ მაღრან–დვალეთს გამოსდის დიდი ლიახვი... არს მაღრან–

დვალეთის სამ–ხეობა, მოსავლით, ვითარცა ამ მხრის მთის ადგილნი დავსწერეთ. მსახლობელნი არიან ოსნი“. (იქვე, გვ. 363.) როგორც ვხედავთ მე–18 საუკუნის პირველ ნახევარში მაღრან–დვალეთში ოსური მოსახლეობა დომინირებს.

ვახუშტი ქსნის ხეობის შესახებაც გვაწვდის ინფორმაციას – ,,ხოლო ქსნის მამულნი, რომელნი დავსწერეთ, არიან მაგარნი მთითა, კლდითა და ტყითა. არს მთანი შემკობილნი ყუავილითა და ბალახითა... დიან წყარონი ფრიად ანკარანი, მომლაშონი, არამედ საჭმლის მომნდობნი და მომნებელნი და სმენ მუნებურნი; უწოდებენ ვეძას; პირუტყოთ შემრგო, გამასუქებელი. ხოლო რაოდენი ოვსნი დავსწერეთ ამ ადგილებთა შინა, პირველად სახლებულან ქართველნი გლეხნი. შემდგომად მეპატრონეთა მათთაგან გარდმოსახლებულან ოსნი, და ქართველნი ბარათა შინა ჩამოსულან, ვინაითგან მტერთაგან ბარს შინა კაცნი შემცირებულან, არამედ ჩვეულებას ამ ოსთასა დავსწერეთ მის ადგილას, ოსეთის აღწერასა შინა“. (ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედ. ტ. IV, თბ., 1973 წ. გვ. 363-364.)

როგორც აქ ნათლად ჩანს, ოსები ამ ადგილებშიც მოსულნი არიან და არ წარმოადგენენ აბორიგენ მოსახლეობას.

კიდევ ერთ მომენტზე შევჩერდებით ვახუშტის ნაშრომში – ,,სუერს ზეით, რომელი ლიახვს ხეობა აღვსწერეთ, არს უვენახო, უხილო, მსახლობელნი არან ოსნი, დუალნი... არამედ ხეობანი ესენი, რომელნი აღვსწერეთ მაღრან–დვალეთითურთ, არიან დუალეთი, და კუალად დიდის ლიახვსა, პატარა ლიახვსა, ქსნის ხევისა და კუდაროს მოსახლენიცა არიან დუალნივე, ამ დუალეთიდამ გარდასულნი, რჯულითა, წესითა და ზნითა ერთნი და დღესაც მონათესავენი ურთიერთთა“. (იქვე, გვ. 648) ვახუშტის ცნობები ცხადყოფენ, რომ XVIII საუკუნის პირველ ნახევარში, შიდა ქართლის მთიანეთში ოსების მცირე კომპაქტური დასახლებები არსებობდნენ. ამ ადგილებში ახალი ეთნიკური ერთეულის ან ჯგუფის გაჩენის მიუხედავად, ,,დვალეთი“ და ,,დვალი“ სახელწოდება რჩება და უკვე ეს ,,დვალი“ ვრცელდება ,,ოსზეც“, თუმცა ამ მოვლენას მხოლოდ ოსების გადმოსახლების საწყის ეტაპებზე ჰქონდა ადგილი. საბოლოო ჯამში, ოსების შედარებით დიდი ჯგუფების გაჩენას,

შედეგად მოჰყვა ის, რომ ტერმინი ,,ოსი“ და ,,ოსეთი“ იმარჯვებს ,,დვალზე“ და ,,დვალეთზე“ და საბოლოოდ გამოდევნის მას. XIX საუკუნეში ,,დვალი“ თითქმის ამოვარდნილია როგორც ეთნოსი, მას უკვე არავინ აღარ იყენებს . ამ შემთხვევაში პარალელის გავლება შეიძლება ,,აფხაზეთის“ და ,,აფსუას“–თან მიმართებაში, თუმცა ,,აფხაზი“ ვერ განდევნა. ე.ი. ეთნიკურმა ცვლილებამ ტერმინი ვერ შეცვალა, როგორც ეს მოხდა ,,დვალისა“ და ,,ოსის“ მიმართ. ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომი ,,აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, საშუალებას გვაძლევს შემდეგი დასკვნა გავაკეთოთ. ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით დვალები არ არიან ოსები, ისინი ადგილობრივ კავკასიურ ტომს წარმოადგენენ, დვალები სხვადასხვა დროს შემოსულ ოსთა მიერ იქნენ დაპყრობილნი, რის გამოც ოსებმა გვიან საუკუნეში პოლიტიკურად გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვეს; დვალები კი მათში გაითქვიფნენ შიდა ქართლის მთიან რაიონებში ეთნიკურმა ცვლილებამ ანუ ოსების მიერ დვალების ნაწილის ასიმილაციამ, შეცვალა ეთნიკური ტერმინი ,,დვალი“ – ,,ოსით“ და ,,დვალეთი“ – ,,ოსეთით“, რამაც ბევრი მკვლევარი შეიყვანა შეცდომაში, რის გამოც ისინი ვარაუდობენ დვალებს თანამედროვე ე.წ. ,,სამხრეთელ ოსთა“ უძველეს წინაპრებად, რაც ობიექტურად გამორიცხულია.

დვალების ოსთაგან ასიმილაციის საკითხის შესახებ პროფ. რ. თოფჩიშვილი აღნიშნავს: – ,,დვალთა გაოსების პროცესი ერთდროული აქტი არ ყოფილა. მათი ეთნიკური ასიმილაციის პროცესი ხანგრძლივი დროის განმავლობაში (რამდენიმე თაობის მანძილზე) მიმდინარეობდა და ის ძირითადად განხორციელდა XVI-XVII ს.ს. მიჯნაზე“. (რ. თოფჩიშვილი. საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები. თბილისი, 1997, გვ. 71.) უნდა აღინიშნოს, რომ ყველა მკვლევარი ვინც შეეხო დვალთა და ოსთა ისტორიული ურთიერთოობის საკითხს და ობიექტური კვლევა–ძიება აწარმოა, ანალოგიური აზრი ჩამოაყალიბა, რომელსაც ჩვენც ვიზიარებთ.

§4. ოსთა განსახლება შიდა ქართლში XVII-XVIII საუკუნეებში

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ოსთა საქართველოში ჩამოსახლება არ იყო ერთჯერადი პროცესი, იგი გვიან საშუალო საუკუნეებში გრძელდებოდა. არსებულ წყაროებზე დაყრდნობით ჩვენ მიმოვიხილეთ ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის ძირითადი მომენტები უძველესი დროიდან მე–15 საუკუნის ჩათვლით. ეს ისტორიული მონაკვეთი არის ორი ხალხის ურთიერთობის პირველი ეტაპი, რომელიც ხასიათდება როგორც კეთილმეზობლური დამოკიდებულებით, ასევე დროის სხვადასხვა მონაკვეთში ურთიერთმტრობით და აგრესიით. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ოსებმა საქართველოში და კერძოდ, ქართლში სწორედ ამ პერიოდში სცადეს პირველად დამკვიდრება. მონღოლებისაგან გამოდევნილმა ოსთა ლტოლვლებმა საქართველოში მონახეს თავშესაფარი. XIII ს–ში, ილხანთა მიერ წაქეზებულმა ოსებმა, ბაყათარის ხემძღვანელობით საქართველოს სამეფო კარის წინააღმდეგ გაილაშქრეს, ისარგებლეს რა რთული პოლიტიკური სიტუაციით, რომელიც საქართველოში იყო შექმნილი. მათ გარკვეული თავშესაფარი იპოვეს, მაგრამ საბოლოოოდ სასტიკად დამარცხდნენ და ქვეყანაში აღკვეთილ იქნა მათი თარეში. მაშასადამე, საქართველოში ოსთა დაფუძნების პირველი მცდელობა გიორგი ბრწყინვალეს ენერგიული მოქმედების შედეგად სრული კრახით დამთავრდა, მაგრამ ამით საქართველოსა და ოსეთის ურთიერთბა არ დასრულებულა.

ცენტრალურ კავკასიის მაღალმთიან რაიონებში შეხიზნული ოსებისთვის არსებობის პირობები ძალზედ არასახარბიელო იყო. მთის გარემო და მწირი სამეურნეო ბაზა მინიმუმსაც ვერ აკმაყოფილებდა, რამაც საბოლოოდ უბიძგა ოსებს საქართველოში ჩამოსახლებისაკენ.

ასეთი ვითარება იყო შექმნილი XVII საუკუნის დასაწყისისათვის, როდესაც იწყება საქართველო-ოსეთის ურთიერთობის მეორე ეტაპი. ამ დროიდან ხდება ოსური მოსახლეობის ინფილტრაცია და დამკვიდრება შიდაქართლის

ტერიტორიაზე, კერძოდ: ქსნის სათავეში, დიდი და პატარა ლიახვის ზემოწელზე და სხვა მთიან ადგილებში. „სარჩო-საბადებელის მაძებელი ოსები ქართველ მთიელთა სოფლებში იკვლევდნენ გზას და შეთანხმების საფუძველზე აქაურ ფეოდალთა კუთვნილ მიწებზე ხიზნბად სახლდნებოდნენ. ამას, ერთი მხრივ, ისიც უწყობდა ხელს, რომ ქართველი მოსახელეობა საგარეო მტრების შემოსევათა შედეგად ძალზედ შემცირებული იყო, ან კიდევ ბარის ეკონომიკური ზემოქმედების წყალობით ის დაბლობისაკენ ინაცვლებდა“. (გ. მელიქიშვილი. საქართველოს ისტორია. თბ ., წ., გვ. 238.)

როგორც უკვე ვთქვით, შიდა ქართლში ოსების განსახლების მეორე ეტაპი იწყება XVII ს.-ში და გრძელდება მეთვრამეტე საუკუნის ბოლომდე. ამ მონაკვეთში უკვე ჩნდება პირველი ოსური ახალშენები. ამ მოვლენის შესახებ, ისტორიული წყაროები უფრო მეტ ცნობას იძლევა იმისათვის, რომ უფრო კარგად წარმოვიდგინოთ მაშინდელი ისტორიული რეალობა, გადავხედოთ და მოკლედ გავაანალიზოთ ცენტრალურ კავკასიაში მომხდარი მოვლენები.

თემურ ლენგის მიერ განადგურებული ოსები ცენტალური კავკასიის მთებს შემოეხიზნენ ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, სწორედ მაშინ „დაიპყრეს კავკასთა ნათესავნი, რომელ არიან დუალნი“, ხოლო ტერიტორიას რომელზეც ოსები სახლობდნენ ეწოდა „ჩერქეზი ანუ ყაბარდი“ ამის შედეგად ოსთა ერთიანმა სახელმწიფომ არსებობა შეწყვიტა და იგი მრავალ სამთავროდ დაიშალა, „ხოლო ოსთა კომპაქტრუი მოსახელეობა „კავკასიათა შიანათა“, ე.ი. ისტორიულ დვალეთად მიჩნეულ ტერიტორიაზე, წარმოიქმნა მოღოლებისა და თემურლენგის შემოსევები შედეგად და საბოლოოდ გაფორმდა XVII ს-ში“.

ხსენებული მოვლენების შედეგად ოსეთი საქართველოს ჩრდილოეთით საზღვარზე უშუალო მეზობლად გადაიქცა. ამის შესახებ საინტერესო ცნობა მოეპოვება ვახუშტი ბატონიშვილს, რომელიც ოსეთის საზღვრებს აღგვიღწერს - „ხოლო აწინდელის ამის ოვესეთისა საზღვარი არის: აღმოსავლეთ თრუსოსა და პევის საზღვარი, მერვე მყინვარის კავკასი და ახოტის კავკასი, რომელნი ძენან სამხრიდან

ჩრდილოთ, დასწყდების პევის ბოლოს მდინარესა ზედა ლომეკსა, მერმე ლომეკის მდინარე, ვიდრე ხეთა ძე - ჩერქეზის მთამდე; სამპირით მზღვრის კავკაზი, პევის ყელიდან წასული დასავლეთად, რომელ არს ბლუტ საბრძელამდე, და ზეკარა, კედელა და რაჭა-დიდგორ-ბასიანსშორისნი კავკასნი; ხოლო ჩრდილოდ ჩერქეზსა და მას შორის მთა მაღალი, და ჩერქეზის კერძოდ ტყიანი და ოსეთის კერძოდ უტყეო, არამედ ღელეებთა შინა მცირე ტყიანი; და დასავლეთით მზღვრის კავკასივე რაჭასა და ჟღელეს შორისი, მერმე ბასიანსა და შუამეთის შორისი“ (გ.გოთოშვილი. ვახუშტი ბაგრატიონი ოსეთოსა და ოსების შესახებ. თბ., 1977, გვ 14-15.), ხოლო ამის შემდეგ ვახუშტი ბატონიშვილი საერთოდ განსაზღვრავს ოსეთის სიგრძე სიგანეს, - :“სიგრძე... ჰევიდან სვანეთის კავკასამდე და განი ქართლის კავკასიდან ჩერქეზთის მთამდე“ (ქართლის ცხოვრება, IV, ს. ყაუხჩიშვილის რედ. თბ., 1973 წ. გვ. 635.). ვახუშტის მიერ მოცემული სასაზღვრო კონცეფცია, მთლად მართებული არ გახლავთ, მაგრამ ძირითად ფარგლებში ემთხვევა ჭეშმარიტებას და სანდო დოკუმენტს წარმოადგეს. მთლიანობაში აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ვახუშტი ბაგრატიონი კარგად იცნობდა ოსეთსა და ოსებს, მას საკუთარი ფეხით ჰქონდა მოვლილი აღნიშნული ტერიტორიები, კარგად ერკვეოდა ვახუშტი ასევე ოსი ხალხის მატერიალურ-კულტურულ საკითხებშიც, რაც აშკარად ჩანს მის ნაშრომებშიც.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ოსთა მიგრაციას საქართველოში თავისი არსებითი გარემოებები განაპირობებდა. მათ შორის, უპირვლესი იყო ის, რომ ოსები ძალზედ მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში იყვნენ, რაც მთავარი მიზეზი ხდებოდა ოსთა საქართველოში გადმოსახლებისა. ვახუშტი კარგად ახასიათებს შექმნილ მდგომარეობას: „ნაყფიერება ამა ქვენისა არს მცირედი ვინაჲთგან არა რამე მარცვალნი ნაყოფირებდნენ თჳნიერ ხორბალისა, ქართლისა და შვრივისა, სიცივისა, გვიან გაზაფხულისა და ადრე შემოდგომისათვის გარნა ამასაც ვერ სთესვენ მრავლად უმიწობისა და კლდოვანობის გამო. გარნა რა იგი დათსონ, ფრიად ნაყოფიერებს და მრავლად, და უკეთუ მოვიდეს სეტყუა, რომელი ხშირობს მათ შინა, მოყმდებიან ძლიერად“ (იქვე. გვ. 635.)

ოსეთში არც მესაქონლეობა იყო მაინცდამაინც განვითარებული ეს ალბათ ლოგიკური უნდა ყოფილიყო, რადგან პოლიტიკური ვითარების გამო ოსები ზამთრის საძოვრებს, რომელიც ამიერ და იმიერ კავკასიის ბარის რაიონებში მდებარეობდა, ვერ იყენებდნენ. მეცხოველეობის შესახებ ვახუშტი წერს: - „პირუტყვნი არიან: ცხოვარი უდუმო-კუდიანი და მომცრო, ძროხა, ცხენი, თხა, ღორი, არამედ არამრავლად, გარნა არიან ფრიად გემოიანნი სხვათა ადგიელებთაგან უმეტეს, და ჯნაჲთგან აქუთ საძოვარნი და სათიბნი მცირედ, ამისთჳს ვერ ინახავენ ცხოვართა და თჳნიერ კ;მ და რ კიდე, ეგრეთვე ცხენთა და ძროხათა ი,კ და უფროსი არღარა“ .(ქართლის ცხოვრება, IV, ს. ყაუხჩიშვილის რედ. თბ., 1973, გვ.365-363.) როგროც ვხედავთ, ცუდი გეოგრაფიული მდგომარეობის გამო სათანადოდ ვერც მიწათმოქმედება განვითარდა და ვერც მეცხოველეობა, რომლებიც სოფლის მეურნეობის ძრითად დარგებად ითვლება. ყოველივე ეს უბიძგებდა ოს გლეხს სხვაგან ეძება თავშესაფარი და კერძოდ, შიდა ქართლში გადმოსახლებულიყო. ვახუშტი აგრძელებს ოსეთის დახასიათბას და წერს, რომ ოსებს არა აქვთ „ქუეყანათა მათთა შინა მარილი, სელი, კანაფი, და ბამბა და აბრეშუმი, რათაცა ყონ სამოსნი თვისნი, ამისათვის უმეტესნი სცხოვრობენ სცხოვართა ყტყავითა, გარნა ამათა ზიდვენ ქართლიდან, რაჭიდამ და ჩერქეზიდამ და ამისთვისა მორჩილებენ თვისთვისა მხარეთა და კუალად უმეტესთა საზრდელთათვისცა“. (ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ნ. ბერძენიშვილის და თ. ლომოურის რედ. თბ., 1941, გვ. 641.) მაშასადამე, ოსები იძულებულები ხდებოდნენ არასახარბიელო საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად აქტიური ეკონომიკური კავშირები დაემყარებინათ საქართველოსთან.

ოსებისათვის ძირითად სავაჭრო ცენტრებად იქცნენ: ონი, ახალგორი, დუშეთი და ცხინვალი. როგორც ვ. გარეკელი აღნიშნავს: - „აღმოსავლეთ საქართველოს ოსეთთან დამაკავშირებელი ძირითადი გზები დვალეთისა და მამისონის უღელტეხილებზე გადადიოდა. ჩეჩნეთ-ინგუშეთისაკენ მიმავალი გზები კი ხევსურეთზე და დუშეთზე გადაივლიდა. აღმოსავლეთ საქართველოდან ოსებისა და

ინგუშების ურთიერთობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საქართველოს სამხედრო გზა. ჩეჩნები აღმოსავლეთ საქართელოს დუშეთიდან უკავშირდნებოდნენ, ხოლო დაღესტნელები - მთავარი კავკასიონის სამხრეთ აღმოსავლეთ ნაწილიდან. გზა-ბილიკების არასახარბიელო მდგომარეობა გარკვეულ ჩარჩოებში აქცევდა სავაჭრო ურთიერთობას მაგრამ, მიუხედეავად ამისა, ჩრდილო კავკასიის მოსახლეობა უმთავრესად სასქართველოს ბაზრებით სარგებლობდა. ასეთი სავაჭრო ცენტრები იყო: ონი, ცხინვალი, ახალგორი, დუშეთი-ოსებისათვის; თელავი, შილდა, ყვარელი, გავაზი-დაღესტნის მოსაზღვრე რაიონებისათვის; ანანური, თელავი-ჩეჩნებისა და ინგუშებისათვის, და ყველა იმათთვის საერთო იყო ცენტრალური სავაჭრო ცენტრი თბილისი“. (ვ. გამრეკელი. სავაჭრო კავშირები აღმოსავლლეთ საქართველოსა და ჩრდ. კავკასიის შორის XVIII ს–ში, ტ. I, თბილისი, 1968, გვ. 21.)

აქედან გამომდინარე ჩანს, რომ ოსები ეკონომიკური პიროების გაუმჯობესებისათვის ერთ-ერთ გზას საქართველოში ხედავდნენ. მათ თანდათანობით დაიწყეს მიგრაციული მოძრაობა სამხრეთისაკენ, კერძოდ, შიდა ქართლისკენ, იმერეთისკენ და რაჭისაკენ. ამ მოვლენას შემდეგნაირად გადმოგვცემს ვახუშტი : „არამედ ჯეჯორის მდინარეზედ სამხრიდან ჩრდილოეთად დინებულზედ, არს დაბნები ვენახოვან-ხილიანი და მოსავლიანი. მას ზეით მოსახლენი არიან ოვსნი, და უვენახო უხილო, ვითარცა სხუანი მთისა ადგილნი. უწოდებენ ამას კუდაროს. გულოვანთას ერთვის ჯეჯორს აღმოსავლიდან სხვა ხევი, ხოლო ამ გულოვანთას აღმოსავლ-სამხრით, მცირეს მთას იქით, არს წონა, ადიგილი გარმუხუეული მთებითა და შინაგან ვაკე. აქა არს მცირე ტბა. ამას გამოსდის ყვირილა... არს წონა , ვითარცა სხუანი მთის ადგილნი, და მოსახლენი ოსნი“ (ქართლის ცხოვრება, IV, ს. ყაუხჩიშვილის რედ. თბ., 1973, გვ.767.) მაშასადამე, ოსები მცირე ჯგუფებად ცდილობენ დამკვიდრნენ, როგორც შიდა ქართლის სათავეებში, ასევე იმერეთისა და რაჭის მთებში.

ქართულ სამეცნიერო წრეებში გაბატონებულია აზრი, რომ ოსების მოძრაობა სამხრეთში თავდაპირველად მშვიდობიან ხასიათს ატარებდა და ეს ადვილად

ასახსნელიცაა, რადგან ოსებს იმ დროს არ გააჩნდათ არც ძალა და არც რაიმე სხვა შესაძლებლობა დაპირისპირებოდნენ საქართველოს, ეს მათი საბოლოო კატასტროფის ტოლფასი იქნებოდა. ამიტომ ოსები იძულებულნი იყვნენ მშვიდობიანი გზა აერჩიათ. XVII ს.-დან თანდათანობით მატულობს მცირერიცხოვანი ოსური ახალშენები ცენტრალური საქრთველოს ქართლის მთიანეთში. ოსების მიგრაციულ პროცესებთან დაკავშირებით ძალზედ საყურადღებო აზრი გამოთქვა ნ. ბერძენიშვილმა, რომელმაც გამოჰყო მიგრაციის ორი ტალღა. XIV ს.-ს დასაწყისში ქართლში ოსების მოძალებას მეცნიერი კლასთა ბრძოლად მიიჩნევს. როდესაც ისინი (ოსები - მ.ვ.) ტომური რჩებიან, არ ქართველდებიან და ქართულ ფეოდალურ საზოგადოებას საფრთხეს უქმნიან, ემუქრებიან, ქართული ფეოდალური საზოგადოება არ ინდობს მათ და აქედან განდევნის, ხოლო როდესაც მოდიან როგოც გლეხები, იგივე ფეოდალური საზოგადოება, მეფე და თავადაზნაურობა, მათ ხიზნებად ისვამს და ბატონყმობას სთავაზობს. (ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. თბ., 1990, გვ. 608.) მკველავარის მიერ გამოყოფილი მიგრაციის მეორე ეტაპი ანუ ოსი გლეხობის ხიზნებად დასმა, თავადაზნაურობისათვის სავსებით მისღები ფორმა გახდა, რადგან ამ გზით ისინი საკუთარი ძალაუფლების გაზრდას ცდილობდნენ. ამ მოვლენის ამსახველ მრავალ დოკუმენტს ფლობს ქართული საისტორიო ლიტერატურა, ჩვენ რამდენიე მათგანს აღვნიშნავთ, რომლებიც, ჩვენი აზრით, საინტერესოდ წრმოაჩენს დასმულ საკითხს.

სიგელში, რომელიც თეიმურაზ პირველის მიერ არის გამოცემული ნარის ხეობის ოსების მიმართ და თარიღდება 1611 წლით, ვკითხულობთ: „ესე წყალობის სიგელი გიბოძეთ თქვენ, ჩვენს სახასო ყმათ, ნარის ხეობის ოსებს ხეთაგურებს. ასე რომ ძველათაც სახასონი ყოფილიყავით, ახლაც ჩვენი სახასოდ უნდა იყვნეთ და როგორითაც თქვნს მამა-პაპათ ერთგულად ემსახურებინოთ და ერთგულნი ყოფილიყვნენ, ისრეთ თქვენ ჩვენი ერთგულები იყვნეთ და რაც იმათ ბატონებისაგან წყალობად ჯამაგირი ჰქონდათ, ისრე ჩვენ მწყალობელნი ვიქნბით: და ვისაც ჯამაგირი ქონია, ჩვენც ჯამაგირს მივცემთ“. (სსცსა, ფონდი 2, ანაწერი I, საქ. #322, ს.ფ. 5.)

ოსთა საქართველოში ჩამოსახლების აქტიურ ღონისძიებებს ერეკლე მეორეც მიმართავდა. იგი კავკასიონის გადაღმა ისტორიულ დვალეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ოსებს ასეთი შინაარსის წერილს უგზავნის: ,,ჩვენთანაც ჩამოდით, ქართლშიც იარეთ, ვერავინ რას გაწყენინებთ, ამ ჩვენს გამოგზავნილ კაცს, რომელიც თქვენი ბეგარა არის, ისიც სრულად მიეცით. ექვსი წელიწადი არის, ბეგარა, არ მოიგიციათ, უნდა მოგვცეთ, სხვა ოსნიც სულ დაგვიბარებია და თქვენც ჩამოდით". (კრებული ოსთა საკითხი, ა. ბაქრაძის, ო.ჩუბინიძის რედ., თბ., 1996 , გვ. 184-185.)

საინტერესოა 1780 წელს ალექსანდრე ბატონიშვილის მიერ ვინმე ,,ნარის ახნაურის" ეფხიშვილისადმი გაცემული სიგელიც, რომელშიც ვკითხულობთ: ,,ეს წყალობისა და ჯამაგირის წიგნი გიბოძეთ ამისთისა, რომ ჩვენის მამათათვის დიდად თავდადებულნი და ნამსახურნი ყოფილან შენი მამა–პაპანი და ჩვენი ოჯახი ახლაც თქვენის ერთგულებითა დგას, და ჩვენც ამის გულისათვის ეს ჯამაგირი გაგიჩინეთ..."(იქვე, გვ.186.)

უამრავი ანალოგიური საბუთის მოყვანა შეგვიძლია, რაც იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოს სამეფო კარს და თავადაზნაურობას შეგნებულად ჩამოჰყავდა და ქართულ მიწაზე ასახლებდა ,,ყმობისა სახით" ოს გლეხობას, რაც ჩვენ აუცულებელ და სწორ ნაბიჯად მიგვაჩნია, გამომდინარე მაშინდელი პოლიტიკურ და ეკონომიკური სიტუაციიდან. ამ ფორმით საქართველო ცდილობდა კეთილმეზობლური ურთიერთობა ჰქონოდა ვაკვასიის მთიელ ხალხთან და ამ შემთხვევაში ოსებთან და ისინი გამოეყენებინა, როგორც მებრძოლად, ასევე მუშა ძალად.

შიდა ქართლის მთიან ზოლში ოსების ჩამოსახლება დაიწყო XVII ს-ში და გრძელდებოდა მომდევნო საუკუნეებშიც. ოსების კომპაქტურად დასახლების შესახებ, საინტერესო ცნობას წარმოადგენს რუსი ელჩის მ.ი. ტატიშჩევის (1604-1615 წ.წ.) მონაცემებიც, რომლის მიხედვით მდინარე დიდი ლიახვის სათავეში 200–მდე ოსი მოახალშენე არის დაფიქსირებული. (С.А. Белокуров, Сношение росии с Кавказом, Москва, 1889, с. 508.) ეს წყარო ძალზედ დამაჯერებლად მიგვაჩნია, რადგან

ცნობილია, რომ XVII – XVIII სს–ში საქართველოში შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო მთის მოსახლეობა გაუკაცრიელებელი ბარის რაიონებისაკენ ეშვებოდა, მათ ადგილს კი სხვა იკავებდა.

ოსების მიგრაციის დროს ხშირად ხდებოდა შეტაკებები ოსებსა და ქართველებს შორის. ზოგ შემთხვევაში ეს ბრძოლები ძალზედ მწვავე შედეგებით მთავრდებოდა. შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ ბესარიონ ქართლის კათალიკოსის თხზულებაში ,,მარტვილობა ლუარსაბ მეფისა", ოსებს ასახელებს ქართველი ხალხის მტრად, ისეთი დიდი სახელმწიფოების გვერდით, როგორებიც ოსმალეთი და სპარსეთი იყვნენ: – ,,(ლუარსაბ მეფე)... ამისათვის მრავალთა ღუაწლთა შინა იყო, თუ ბოროტნი აღდგომილნ იყვნენ საქართველოსა ზედა. პირველად ოსმალთაგან, რომელთა დაეპყრა მეფობა ბერძენთა, მერმე სპარსთაგან და მერმე მახლობლად ჩუენთა მთიულთა ოვსთაგან, რომელნი დამკვიდრებულ იყვნეს მახლობლად ჩუენსა, რამეთ იგინიცა ფრიად აჭირვებდეს, რამეთუ მოწევნასა ზაფხულისასა ვიდრე ჟამამდე ზამთრისა ხოცდეს, ტყუეყოფდეს ცხადად და იდუმალ, და ესოდენთა ძვირთაგან მოცულ იყვნეს ქართველნი".(ს. ყუბანეიშვილი. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია. I, თბილისი, 1946, გვ. 408.)

ჩამოსახლებულ ოსებსა და მკვიდრ ქართველ მოსახლეობას შორის არსებულ უთანხმოებას ასახავს XVII ს–ის ერთი ნასყიდობის სიგელიც:,,გასათავებელი წიგნი და ნიშანი მოგახსენეთ ჩუენ ჭო...თია ივანემ და ზაქარიამა და ჩუენთა შვილთა შერმაზან, ინდომა, გარსევან და არაჯაბან თქუენ, მაჩაბელსა პატრონსა ქუაბულს და ზაალს და მისთა ძმათა მომავალსა სახლისა შენისათა ამოწყდა ზემო ჯავა და დაუკაცურდა ოსთაგან. ღმერთი იყოს მოწამე ასრე ამოწყდა, რომ კაცის ნანები აღარა იყო–რა. მოგყიდე ზემო ჯავას ზიგანიძის მამული მისითა სასაფლაოთა, სახნავითა, სათიბითა, წყლითა და გამოსავლითა, საძებრითა და უძებრითა. ძიგანიძე, მისი მემკვიდრე, დაკარგული იყო და ფასი იმისიც ავიღეთ. აწ მოგვიყიდია ჩვენი მკვიდრი მამული შემოუცილებელი ყოვლის მებატონსაგან, ვერც ბატონი ჩვენი მოგეცილოს და ვერც სხვა. ასეთს დროს მოგყიდეთ, რომ ორგან სამგან დედამ შვილი შეჭამა, კაცმა

ცოლი გაყიდოს და თავად დარჩის. ჩვენ თვით ასე დაგვემართა, რამე ათის სულის ჯალაბისაგან ხუთის მეტი აღარ მორჩა, ჩვენის მკვიდრის მამულის ნავაჭრის ფასი მოვასწარით და ღვთით დავრჩით, ღმერთმან დაგვიმადლოს, რომე ჩვენი მკვიდრი მამული იყიდეთ და დაგვარჩინეთ, თვარემ სრულობით ამოვსწყდით. აწ ქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან. ვინც ამა ნასყიდობას შემოგეცილოს, რისხვამცა ღმერთი. ამისნი მოწამენი არიან ეფენიაშვილი მოძღვარი სვიმონ, გურჯიშვილი ლომი“. (საქ. მეცნ. აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი Hd საბ. 1959, დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის რედ. I. თბ., 1940, გვ. 364.) როგორც ჩანს, ჯერ კიდევ XVII ს–ის შუა პერიოდში სოფ. ზემო ჯავა ქართველებით დასახლებული ადგილი ყოფილა, ხოლო მისი მიმდებარე ტერიტორია ეკუთვნოდა ვნმე ძიგანიძეს, – ,, მოგყიდე ზემო ჯავას ძიგანიძის მამული მისითა სასაფლაოთა, სახნავითა, სათიბითა წყლითა და გამოსავლითა, საზებრითა და უძებრითა“.

როგორც ტექსტიდან ირკვევა, სოფელი ზემო ჯავა ოსების განუწყვეტელი თავდასახმის ობიექტი ყოფილა, რის გამოც ის ჩრდილოეთიდან მიგრირებული აგრესორებისგან გაუკაცურებულა. ქართველი მოსახლეობა იძულებული გამხდარა გაეყიდა მამულ–დედული და გაშორებოდა მშობლიურ მიწა–წყალს. წინააღმდეგ შემთხვევაში დაღუპვა ელოდა. ,,ასეთს დროს მოგყიდეთ, რომ ორგან, სამგან დედამ შვილი შეჭამა, კაცმა ცოლი გაყიდოს და თავად დარჩის. ჩვენ თვით ასრე დაგვემართა, რამე ათის სულის ჯალაბისაგან ხუთის მეტი აღარ მორჩა, ჩვენის მკვიდრის მამულის ნავაწრის ფასი მოვასწარით და ღვთით დავრჩით, ღმერთმან დაგვიმადლოს, რომე ჩვენი მკვიდრი მამული იყიდეთ და დაგვარჩინეთ, თვარემ სრულობით ამოვსწყდით...“ ნასყიდობის სიგელით რკვევა, რომ თავად მაჩაბლებს ,, ქუაბულს და ზაალს და მისთა ძმათა“ შეუსყიდიათ აღნიშნული სოფელი. ამ დოკუმენტის სახით ჩვენ ძალზედ საინტერესო წყაროსთან გვაქვს საქმე. როგორც ირკვევა, შიდა ქართლის მთიანეთში მცხოვრები, მკვიდრი ქართველი მოსახლეობა, ოსთა ძლიერ თავდასხმებს განიცდის, რის გამოც იძულებულია გაყიდოს ან მიატოვოს საკუთარი მიწა–წყალი და

ბარის რაიონებისაკენ ჩამოსახლდეს. მათ მიერ მიტოვებულ მიწებს ყიდულობენ თავადები (ამ შემთხვევაში მაჩაბლები) და როგორც შუა საუკუნეების ისტორიიდან ვიცით, ასახლებენ ოსებს ,,ყმობისა სახით", ამგვარად, თავადები საკუთარი ძალაუფლების განმტკიცებას ცდილობდნენ. ასე თანმიმდევრობით და ეტაპობრივად ოსები მკვიდრდებიან ქართველთა ნასახლარებზე, ხოლო ქართველები, რომლებიც ამ კუთხის ავტოქტონურ მოსახლეობას წარმოადგენდნენ, თანდათანობით მთისწინა ადგილებში სახლდებიან. ასე იცვლებოდა დიდი და პატარა ლიახვის სათავეებში მცხოვრები მოსახლეობის ეთნიკური სახე XVIII ს. მეორე ნახევრიდან.

თავდაპირველად ოსების ახალშენები დიდი ლიახვის სათავეებში იქნა დაფიქსირებული. ამავე ადგილებში იმოგზაურა XVIII ს–ში ვახუშტი ბატონიშვილმა და ოსური ახალშენები თავის რუკებში შეიტანა, საიდანაც ირკვევა, რომ დიდი და პატარა ლიახვის ზემო წელი, ოსებით ყოფილა დასახლებული. როგორც ვახუშტის აღწერიდან ჩანს, სუერს ზემოთ ოსური მოსახლეობა ჭარბობს, – ,,სუერს ზეით, რომელი ლიახვს ხეობა აღვსწერეთ, არს უვენახო, უხილო მსახლობელნი არიან ოსნი, დუალნი; მოსავლით მთის ალაგებრი და პირუტყუათაცა ეგრეთი". (ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსი, ქართლის ცხოვრება , ტ. IV, ს. ყაუხჩიშვილის რედ., თბ., 1973, გვ. 372.) XVIII ს–ში ანალოგიური სურათია შექმნილი პატარა ლიახვის ხეობაშიც, „ვანათს ერთვის დასავლეთიდამ ლიახვს ხევი გერისა .... ამას ზედ მსახლობელნი არიან ოსნი... შუაცხვრის მსახლობელნი არიან ოსნი... ფოტრისას–ხევს ზეით არს აწერის ხევი... მას ზეით მოერთვის ხევი შამბიანისა ლიახვს აღმოსავლეთიდამ... ამ ხევს ზეით ერთვის ლიახვს ხევი ჩაბარუხეთისა... ამ ლიახვის შესართავს... არს ციხე ბეყჩოსი. ამ ციხეს ზეით არს ქნოღო სამ ხეობად, აწერის ხევს ზეით არიან მოსახლენი ოსნი სრულიად". (იქვე, გვ. 362-363.)

ოსური მოსახლეობა ვახუშტის დაფიქსირებული ჰყავს ასევე ქსნის ხეობის სათავეებშიც – ,,ხოლო ქსნის მამულნი, რომელნი დავსწერეთ, არიან მაგარნი მთითა, კლდითა და ტყითა... ხოლო რაოდენნი ოვსნი დავსწერეთა ამ ადგილებთა შინა, პირველად სახლებულან ქართველნი გლეხნი. შემდგომად მეპატრონეთა მათთაგან

გარდმოსახლებულან ოსნი და, ქართველნი ბართა შინა ჩამოსულან, ვინაჲთგან მტერთაგან ბარს შინა კაცნი შემცირებულან. არამედ ჩვეულბას ამ ოსთასა დავსწერეთ მის ადგილს, ოსეთის აღწერასა შინა“. (იქვე, გვ. 363-364.)

სავარაუდოა, რომ ქსნის ხეობაში ოსები შედარებით უფრო გვიან დასახლდნენ. ისინი აქ პატარა ლიახვის ხეობიდან უნდა გადმოსულიყვნენ XVIII ს–ში, რადგან ცნობილია, რომ ოსების პირველი ახალშენები დიდი და პატარა ლიახვის ზემო წელზე დაეფუძნენ მეჩვიდმეტე საუკუნეში. ამ ფაქტს ეხება ზ.ნ. ვანეევი, რომელმაც შეისწავლა უძველესი ოსური საგვარეულო გადმოცემები და დაასკვნა:

<< Самые коренные и многолюдные роды по Джавскому ущелью Хубуловых, Тедеевых, Цхурбаевых, насчитывают по 10 поколей , причом Бегизовы по преданию переселились на Юг раньше всех других фамилий>>, – აქედან გამომდინარე მეცნიერი ასკვნის: – <<что современные югоосетины живут в Юго-Осетии 4-5 столетийб тюею они переселились в период XV – XVI вювю>> (З.Н. Ванеев, к вопросу о времени заселения Юго-осетий, г. Цхинвали, 1936, ЮОСНИ, вып. с. 274.), რაც განგებაა დაძველებული... მიუხედავად იმისა, რომ ზ.ნ. ვანეევის ჰიპოთეზა მეცნიერული თვალსაზრისით ნაკლებად ღირებულია, განსაკუთრებით დროის თვალსაზრისით იგი სხვა ოს მეცნიერებთან შედარებით, ოსთა ჩამოსახლების ქრონოლოგიურ ჩარჩოს უფრო გვიანი პერიოდით განსაზღვრავს.

მდრინარე დიდი ლიახვის სათავეებში ოსები XVII ს–ში შესაძლებელია უკვე სახლობდნენ, ხოლო ქსნის ხეობაში მათი დასახლება შედარებით უფრო გვიანდელ მოვლენად მიგვაჩნია, რადგან აქ ისინი ეტაპობრივად უნდა გადმოსახლებულიყვნენ პატარ–პატარა ჯგუფებად, სწორედ დიდი და პატარა ლიახვის ხეობებიდან. ამასთან დაკავშირებით გასათავლისწინებელია ავტორიტეტული ოსი მეცნერის ვ.ი. აბაევის მოსაზრება, რომელსაც სავსებით ვიზიარებთ. << Если заселение осетинамы Джавского и Кударского районов, а тем более Туальского (щт Кассарской теснины и до хребта) следует отнасить к достаточно отдалённой эпохе, отодвигая его на несколко столетий, то нельзя тоже сказать о Ксанском. Исторические и языковые факты подверждают, что

поселение ксанских осетин в теперешних местах по Ксанскому ущелью приозашло не так давно, примерно в последние 200 лет. Они поселились, гонимые малоземельем и нишетой, из разнйх высокогорных районов Северной и Южной Осетии и принесли с собой мешанину говором и наречий>> (В.И Аьаев, Осетинский язык и фольклор, Москва, 1949, с. 501)

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე, შიდა ქართლის მთიანეთში არც თუ მრავალი რაოდენობის ოსური მოსახლეობა ანუ ე.წ. ოსური ახალშენები გაჩნდა.

XVIII საუკუნის ბოლოსათვის ოსური მოსახლეობა ძირითადად სამი მდინარის ზემო წელში დასახლდა, კერძოდ: მდ. დიდი ლიახვის ხეობაში სოფ. სვერს ზევით არსებული: სოხოს ხევი, პატარა ჯავის ხევი, ქეშელთის ხევი, ხვწის ხევი, მუგუთის ხევი, კოშკის ხევი, როკის ხევი, ბჟის (სბის) ხევი, მსხლების ხევი ახლად მოსული ოსური მოსახლეობით არის დასახლებული. მდინარე პატარა ლიახვის ხეობაში, გერის ხეობა, შუა–ცხვირი, შამბიანი, ჩაბარუხეთი, ქნოღო, აწრის ხევის ზევით, მეტ–ნაკლებად კომპაქტური ოსური მოსახლეობაა. ანალოგიური მდგომარეობაა მდინარე ქსნის ხეობაშიც, ჟამურზედ. ამჯერად თვით ქალაქ ცხინვალში არც ერთი კომლი ოსი არ არის დაფიქსირებული. ,,... არს ქალაქი ცხინვალი და ამასთან შინა მკვიდრობენ მართმადიდებელნი ქართველნი, სომეხნი და ურიანი, ხიზნით 700კომლი“. (ვ. გამრეკელი, ზ. ცქიტისვილი, 1770 წლის დემოგრაფიული ნუსხა, საქ. სსრ. მეცნ. აკადემია, ჟურ. ,,მაცნე“, 1973, #1.)

რამდენიმე ათეული წლით ადრე კი, დიდი ქართველი გეოგრაფი და ისტორიკოსი ვახუშტი ბატონიშვილი ცხინვალს მცირე ქალაქად წარმოგვიდგენს. იმავე დროს, მისივე ცნობით, ქალაქის ,, მსახლობელნი არიან ქართველნი, სომეხნი და ურიანი“. (ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ, 1941, გვ. 76.)

ცხინვალის ეთნიკური სახის წარმოსადგენად საყურადღებო ცნობებს გვაწვდის გერმანელი მოგზაური ედუარდ აიხვალდი. (ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, თბ., 2005, გვ. 235.) როგორც ჩანს, XVIII საუკუნეში შიდა ქართლის

მთიანეთში ოსებმა შეძლეს შედარებით კომპაქტური ახალშენების ჩამოყალიბება, ისინი თანდათანობით მოიწევენ სამხრეთისაკენ, მაგრამ ჯერაც ქალაქ ცხინვალში დამკვიდრებას ვერ ახერხებენ, მიუხედავად იმისა, რომ ცხინვალი ოსებისათვის ერთ-ერთ ძირითად სავაჭრო ცენტრად იქცა და ხშირი მიმოსვლაც აკავშირებდათ.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ნათლად ჩანს, რომ XVIII საუკუნის ბოლოს, შიდა ქართლის მთიანეთის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა რამდენიმე ფეხადგმული ოსური ანკლავი, თუმცა ოსების ინფილტრაციამ სამხრეთში ვერ მოშალა ის ბუნებრივი საზღვარი, რომელიც საქართველოს ჩრდილეოთ კავკასიისგან განაცალკევებდა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში საქართველოში მყოფი გერმანელი მოგზაური, იაკობ რაინეგსი, საქართველოსა და ოსეთის საზღვრად ასახელებდა დარიალის ციხისაგან ოდნავ სამხრეთით არსებულ სოფელ ჩეგს“.(იაკობ რაინეგსი. მოგზაურობა საქართველოში. თბ., 2002, გვ. 214.)

ოსების საქართველოში ჩამოსახლების საკითხში, გარდამტეხი მნიშვნელობისა გახლავთ XVII-XVIII საუკუნეებში მომხდარი პროცესები. ამ ისტორიულ მონაკვეთში ოსებმა რამდენადმე მოახერხეს დამკვიდრებულიყვნენ საქართველოში, თიმცა ოსები ძირითადად მთიან და იშვიათად მთისწინა ადგილებშიც იყვნენ ფეხმოკიდებული, ეს მოვლენა გახდა წინაპირობა მათი ბარის რაიონებში შომდგომი ჩამოსახლებისა. XVIII საუკუნის ბოლოს და მთელი XIX საუკუნის განმავლობაში ოსები თანდათანობით ბარის რაიონებისაკენ მოიწევენ, ეს განსაკუთრებით თვალში საცემი ხდება მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში. ამ დროს ოსური მოსახლეობა ქართლის ბარის ტერიტორიებზეც საკმაო რაოდენობით სახლდება.

§5. შიდა ქართლის მთიანეთის ეპიგრაფიკა

ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორია მდიდარია ეპიგრაფიული ძეგლებით. ეს კულტურული მემკვიდრეობა თავის დროზე შესწავლილია და გამოქვეყნებულიც. ამ საკითხებზე მუშაობდნენ ისეთი ცნობილი მეცნიერები, როგორიც იყვნენ: ე. თაყაიშვილი, მ.ბროსე, ი. მეგრელიძე, პ. უვაროვა და სხვა.

ისტორიული შიდა ქართლის ტერიტორიაზე უძველესი დროიდან ქართველები ცხოვრობდნენ, რასაც თვალნათლივ ადასტურებს მრავალრიცხოვანი მატერიალური კულტურის ძეგლები, ეპიგრაფიული მასალები, ქართული და უცხოური მასალები. აღნიშნულ რეგიონში შემორჩენილი ისტორიული ძეგლების უძველესი წარმომავლობა ცხადყოფს, რომ აქ თავის დროზე მაცხოვრებელი ქართველები აქტიურ საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებას ეწეოდნენ. განსაკუთრებით აღმავლობის კვალი IX – XI საუკუნეებში უნდა ყოფილიყო, რადგან ამ პერიოდში ოცზე მეტი პირველხარისხოვანი ეკლესია იდგა. გამუდმებულმა ომებმა და მიწისძვრებმა ისტორიული ძეგლების უდიდესი ნაწილი ნანგრევებად აქცია, ამის მიუხედავად გადარჩენილი და ჩვენამდე მოღწეული კულტურული მემკვიდრეობა მაინც ფასდაუდებელი და ბევრის მეტყველია. ის მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველია ქართველი ეთნოსის აღნიშნულ არეალში ავტოქტონობის.

ჩვენ საჭიროდ ვცანით ზოგიერთი ძეგლის ირგვლივ გვესაუბრა, რათა უფრო თვალნათლივ წარმოვაჩინოთ ის ისტორიული რეალობა, რომელიც ამ ძირძველ ქართულ მიწაზე არსებობდა გვიან საშუალო საუკუნეებამდე.

მოგეხსენებათ, ქართული დამწერლობა საუკუნეების განმავლობაში განიცდიდა ცვლილებებს. საბოლოოდ კი ქართული დამწერლობის სამი სახე ჩამოყალიბდა:

1) მრგვლოვანი ასომთავრული (V ს–დან);

2) კუთხოვანი ნუსხა–ხუცური (VIII ს–დან);

3) მხედრული (X ს–დან).

შიდა ქართლის მთიან რაიონში ისტორიულ–კულტურულ ძეგლებზე, არსებული წარწერები სამივე სახით არის წარმოდგენილი. ეს ძეგლებია:

1.სოფელი ქვემო კიტრეული. ნაეკლესიარი ,, ბერიჯვარი:. ახალგორის რაიონი. ,,ბერიჯვარზე“ აღმოჩენილი სტელა, რომელიც ამჟამად ახალგორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება, მიკვლეულ წარწერებს შორის ყველაზე ადრეულია, მას სათანადო ყურადღება მიაქცია გ. ოთხმეზურმა (იხ. ,,მაცნე“, ისტორიის სერია, #1, 1986 წ. გვ. 88-94)

I – სტელის ერთი წახნაგის ზედა ნაწილში ანგელოზის გამოსახულებაა, რომელზეც შემორჩენილია მხოლოდ ერთი ასო – ,,ჲ“.

II – ამავე წახნაგის ქვედა ნაწილში მოცემულია ნათლისღების სცენა – ემბაზში ჩამდგარ ქრისტეს ნათლავს იოვანე ნათლისმცემელი, რომლის გამოასხულების მარცხნივ ამოკვეთილია წარწერა:

,,წმინდაჲ იოვანე ნათლისმცემელი“

მეორე წახნაგზეც ორი რელიეფური კომპოზიციაა.

III – ,, წმინდაო ნეტარო ქრისტე... ჲოვანე და ჩუენცა...“

IV – ,, ... წმინდაჲ ამენ“

V – შედარებით გვიან დამუშავებული სტელის მეოთხე გვერდზე კი ორ სიტყვას ამოვიკითხავთ ,,მიქელ“ და ,,გაბრიელ“.

ასომთვარულით შესრულებული ეს წარწერები VIII – IX საუკუნეების შუალედითაა დათარიღებული.

2. წორბისი. ყორნისის რაიონი.

880 წ. კონქის სამშენებლო წარწერა ივანე ერისთავისა, სადაც ვკითხულობთ:

,,სახელითა ღმრთისაჲთა ესე კონქი შექმნდა ივანე ერისთავმან, სალოცველად

მათდა ქრონიკონსა რ–ს, საბაიას მამასახლისობასა იქმნა ჰელითა ბარველისაითა“ (ი. მეგრელიძე. გაზ. ,,კომუნისტი“, 14 ივნისი, #138, თბ., 1981, გვ.4.)

3. სოფელი ზალდა. ცხინვალის რაიონი

აგებულია დაახლოებით 960 წ. მისი 8 სტრიქონიანი ნუსხური წარწერა ამოკვეთილია ეკლესიის ჩრდილოეთ ფასადის ბალავრის ქვაზე:

,,ქრისტე, შეიწყალე გიორგი და იოვანე, სამებისა დადვეს საძირკველი. ქრონიკონსა რპ“.

იგივე გიორგი უნდა იყოს მოხსენიებული საკურთხევლის თავზე ამოღარულ ნუსხურ წარწერაში“:

,,ქრისტე შეიწყალე გიორგი“ (ი. მეგრელიძე. სიძველეები ლიახვის ხეობიდან, საქ. მეცნ. აკადემის ჟურნ. ,,მაცნე“ ენის სერია, თბილისი 1984, გვ. 176-178.)

4. ერედვი. წმინდა გიორგის ეკლესია. ცხინვალის რაიონი

ერედვის წმ. გიორგის ეკლესია ერთ–ერთი ყველაზე ღირსშესანიშნავი ისტორიული ძეგლია შიდა ქართლში. იგი X საუკუნის დასაწყისშია აშენებული. ტაძრის სამხრეთ ფასადზე 9 სტრიქონიანი ასომთავრული წარწერაა:

,,სახელიათა ღმრთისაჲთა, მამისა ძისა და სულისა წმინდისაჲთა, მეოხებითა წმინდისა ღმრთისმშობლისაჲთა, შეწევნითა წმინდისა კონსტანტინე მეფისასა, რომელმან ბრძანა და ჩავიდა ჰერეთსა შიგან, ჰერთა მეფეჲ გააქცია და მუნით მშუიდობით იქცა, ცისკრად ალავერდს ილოცა, მწუხრი ბრეძას გადაჰჴთა; მეორედ კულა ავიდა, ვეჟინისა ციხე დალეწა; ქართლს შიდა უფლობასა ტველისა ივანესა, მთავარეპისკოპოსობასა სანატრელსა ყუარყუარესა, ჯუარითა მისით;

განზრახვითა ნიქოზელისა – სანატრელისა სტეფანე ეპისკოპოსაჲთა, ძალითა, შეწევნითა მოყუასთაჲთა, მე, თვედორე თაფლაჲსძემან, დავდე საზირკველი – წელნი იყუნეს ხფი, ქრონიკონსა რკვ“.

ერედვის ეკლესიაზე კიდევ ორი წარწერაა აგების თანადროული. ერთი ამოღარულია ტაძრის სამრეკვლოს სარკმლის ორივე მხარეს და ამოწმებს ტბელთა მფლობელობას, ხოლო მეორე – ხუროთმოძღვარ თვედორე თაფლაჲსძის

მოსახსენებელია. ორივე წარწერა შესრულებულია ქართული ასომთავრულით და პალეოგრაფიულად მსგავსია ტაძრის დიდი წარწერის. ამიტომ, ისინიც X საუკუნის დასაწყისით თარიღდებიან

სამშენებლო წარწერის ფრაგმენტი:

,,აღაშენა წმინდაჲ ეკლესიაჲ ესე ყოველთა ტბელთა ბრძანებითა...“

ხოლო თვედორეს მოსახსენებელი შემდეგნაირად არის დაწერილი:

,,...შიწყალე, ქრისტე, მონაჲ შენი თევდორე“. (გ. ოთხმეზური. ოსთა საკითხი, კრებული ა. ბაქრაძე, ო. ჩუბინიძე. თბ., 1996, გვ.134-135.)

ისტორიულ ძეგლებზე ქართული წარწერები დიდი ლაიხვის ქვემო და შუა წელზე როდი გვხვდება მხოლოდ. მაგალითისათვის მოვიყვანთ სოფ. ქასაგინაში (ჯავის რაიონი), აღმოჩენილი X საუკუნის სამშენებლო წარწერის ფრაგმენტს, რომელიც ოთხ სტრიქონიანი ასომთავრული ანბანითაა შესრულებული:

,, ამშენებელსა ამის წმინდისა ეკლესიისა შეუნდვენ ღმერთმან“. (გ. ოთხმეზური. ოსთა საკითხი, კრებული ა. ბაქრაძე, ო. ჩუბინიძე. თბ., 1996, გვ.138.)

მოგვყავს კიდევ ორი ნათელი მაგალითი, რომლიდანაც კარგად ჩანს, რომ ქართული კულტურა დიდი ლიახვის სათავეებშიც საყოველთაოდ იყო გავრცელებული.

1) სოფელი კვაისა ჯავის რაიონი, X ს. არსენის მოსახსენებელი ერთსტრიქონიანი ნუსხური წარწაერა:

,,არსენს და მშობელთა მისთა შეუნდვეს ღმერთმან“. (ი.მეგრელიძე. საქ. მეცნ. აკადემისს ჟურნ. ,,მაცნე“, ენის სერია, თბ., 1981, 32, გვ. 171.)

2) სოფელი კროზა ჯავის რაიონი

სოფლის სასაფლაოზე მიქელ გაბრიელის ეკლესია დგას. ეკლესიასთან დევს ჩუქურთმიანი ქვა, რომელზეც წრეში ჩასმული ჯავრია გამოხატული, ჯვრის ქვეშ ნუსხური ასოებია:

,,ჩპე“, ,,ქორონიკონი ტე“. ორივე შემთხვევაში გადმოცემულია ერთი და იგივე თარიღი – 1085 წ.(იქვე , გვ. 177.)

უდავოდ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აღნიშნულ რეგიონში ე.ი. ყოფილი სამხრეთ ოსეთის ოლქის ტერიტორიაზე, კულტურული პროცესები განსაკუთრებით აღმავლობას განიცდის XI – XIII საუკუნეებში. ეს იყო ის პერიოდი, როცა თავად საქართველოს ისტორიის ოქროს ხანა იყო. ამან ბუნებრივი გამოძახილი ჰპოვა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებში, მათ შორის ჩვენს საკვლევ რეგიონშიც. ამ დროს შეიქმნა მატერილურ–სულიერი კულტურის უბრწყინვალესი ნიმუშები, როგორიცაა: იკორთა (ცხინვალის რაიონი), თიღვა (ყორნისის რაიონი), ოჟორა (ყორნისის რაიონი), თირის მონასტერი (ცხინვალის რაიონი) და სხვა. ყველა მათგანზე ჩვენ დაწვრილებით ვერ შევჩერდებით, მაგრამ მიზანსეწონილად მივიჩნიეთ რამდენიმე მათგანზე მაინც გაგვემახვილებინა ყურადღება.

1. თიღვა. ყორნისის რაიონი

სპეციალისტთა აზრით, ეს ეკლესია აშენდა XI საუკუნის პირველ ნახევარში. იგი დღესაც მშვენივრად გამოიყურება. ეკლესიაში გაკეთებულ წარაწერაზე დასახელებული გიორგი მროველი, რომლის აშენებულიც ყოფილა ეკლესია.

,,უფალო ღმერთო, შეიწყალე სული გიორგი მროველ ეპისკოპოსისაჲ, რომელმენ აღაშენა წმინდაჲ ესე ეკლესიაჲ“.

წარწერაში მოყვანილი გიორგი მროველი იხსენიება ასევე რუისის ტაძრის ჩრდილოეთ ეკვდერის საამშენებლო წარწერაში, (ლ. რჩეულიშვილი. თიღვა, შარვანის დედოფლის თამარის აღმშენებლობა., თბ., 1960, გვ. 38.) როგორც ჩანს ის რუისის ეპისკოპოსი იყო, თიღვა კი რუისის სამწყოში შედიოდა. შესაძლებელია ეს მროველი იგივე, ან ახლობელია ჩვენთვის ცნობილი ქართლის ცხოვრების ერთ–ერთი ავტორისა.

2. იჟორა. ყორნისის რაიონი

ეკლესიის სამხრეთით შესასვლელთან ნაპოვნ ქვაზე ამოკვეთილია სამსტრიქონიანი ასომთავრულით შესრულებული წარწერა:

,,წმინდაო ღმრთის მშობელო, მეოხ ექმენ სიაოშს ალექსანდრეს ძესა“.

ქვის ერთ ნაწილზე კი ვკითხულობთ:

,,ადიდოს ღმერთმან ამის უდაბნოსა პატრონნი ყოველნი (აშღ) თინათინ, ფადლონი და ძენი მათნი“.(იხ. კრებული, ოსთა საკითხი, ა. ბაქრაძის, ო. ჩუბინიძის რედ. თბ., 1996, გვ. 144.)

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია თირის მონასტერი, რომელიც ცხინვალის რაიონშია აშენებული. იგი საფუძვლიანად შეისწავლა მეცნიერმა ნ. ანდღულაძემ. (,,თირის მონასტრის წარწერები:, მაცნე: #6 , 1969 წ.) იხ. მისივე, თირის მონასტრის ხუროთმოძღვრული ანსამბლი.

საჭიროდ ვცანით ნ. ანდღულაძის ნაშრომიდან რამდენიმე ფრაგმენტის მოყვანა: თირის სამონასტრო კომპლექსში უძველესია XIII საუკუნის დასასრულს აგებული ღვთისმშობლის ეკლესია, სატრაპეზო და კლდეში ნაკვეთი სენაკები. XIV საუკუნის ბოლოს აქ აგებულ იქნა სამრეკლო, ხოლო XV ს–ის დასაწყისში და XVII საუკუნის 80-იან წლებში ეკლესიაზე მიშენებულ იქნა სამხრეთისა და ჩრდილოეთის საძვალე–ეკვდერები. სამრეკლოსა და ეკვდერებზე დაცულია ქართული ასომთავრულით შესრულებული წარწერები, რომლებიც გვამცნობენ თირის მონატსრის მფლობელთა ვინაობას.

I. XIV ს–ის ბოლო მეოთხედი. თავხელისძეთა მოსახსენებელი. წარწერა ამოკვეთილია სამრეკლოს პირველი სართულის აღმოსავლეთის შესასვლელის არქიტრავის ქვაზე:

,,თავხელიზეთა სიაოშ და რატის და ასათს და ხელს და მაჩაბელსა და მშობელთა მათთა შეუნდვენ ღმერთმან:.

II. XVს–ის I ნახევარი. მახატლიშვილი ბევროზის მოსახსენებელი.

წარწერა ამოკვეთილია სამხრეთით მიშენებულ საძვალე–ეკვდერზე:

,,მოლარეთუხუცესისა ხელას ერთგულსა, მახატლის შვილისა ბევროზს შეუნდოს ღმერთმან“.

სამრეკლოს წარწერაში მოხსენებული თავხელისძე და ეკვდერის წარწერაში მოხსენებული მოლარეთუხუცესი ხელა ერთი და იგივე პიროვნებაა. მისი ვინაობა კარგადაა ცნობილი საქართველოს ისტორიაში. ის საქართველოს მეფეების კონსტანტინე

I-ისა (1407-1411წ.წ.) და ალექსანდრე I – დიდის (1412-1442 წ.წ.) მოლარეთუხუცესი იყო. ეს თანამდებობა მან XV საუკუნის დასაწყისში მიიღო, რაც ათარიღებს კიდეც ამ წარწერებს.

საინტერესოა სამრეკლოს წარწერაში დაფიქსირებული სახელი ,,მაჩაბელი". მკვლევარ გ. სოსიაშვილის აზრით, წარწერაში მოხსენებული მაჩაბელი საკუთარი სახელია, ხოლო სამრეკლოს წარწერაში დაფიქსირებული ხელა ფხელისძე, მერმინდელი მაჩაბლების ადგილზე მაჩაბლად დასვა სამეფო კარმა (იხ. გ. სოსიაშვილი, ქართლის სათავადოების ისტორიიდან სამაჩაბლო XV-XIX ს.ს. საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი. თბ., 2005წ., გვ. 8-9) მაჩაბელთა დაწინაურება XV ს–დან იწყება და შემდგომში ისინი ქართლის დიდი სათავადოს – სამაჩაბლოს მფლობელები ხდებიან, რომელიც ყოფილი ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გარკვეულ ტერიტორიაზე მდებარეობდა.

III. 1682 წ. მროველ ეპისკოპოსის ფილიპე თაქთაქიძის და მისი ძმების საამშენებლო წარწერა.

10 სტრიქონიანი მხედრული წარწერა ამოღარულია ღვთისმშობლის ეკლესისს ჩრდილოეთ ეკვდერის დასავლეთის კარის ტიმპანზე:

,,შეწევნითა ღმრთისათა, მეოხებითა თავდების ღმრთისმსობელისათა ჩვენ, თაქთაქიძემ, მრუველის ეპისკოპოსმან ფილიპემ და არდასელმა, ჩემან ელისბარ, აღვაშენეთ საყდარი ესე წმინდისა ნიკოლოზისა, სულისა ჩვენისა სახსრად. ოდეს ბედნიერს ხელმწიფისაგან ჩვენ ნათესავთა სასაფლაოდ, სამკვიდროდ, სამამულოდ მოსცემდა ესე მონასტერი, მამაპაპანი მარხულ იყვნეს, მათი მოშლა აღარ იქნებოდესო. ამ წარწერის მიხედვით ფილიპე მროველის (რუისის ეპისკოპოსის) წინაპრებს მეფისგან ჰქონდათ სასაფლაოდ და სამამულოდ მიცემული ეს მონასტერი, სადაც მათი მამა–პაპანი იმარხებოდნენ. 1682 წელს ფილიპე მროველს და მის ძმებს არდაშელს და ელისბარს ეკლესიისასთვის მიუშენებიათ ეკვდერი თაქთაქიძეთა საგვარეულო საძვალე და წმ. ნიკოლოზის სახელზე უკურთხებიათ არსებული ქართული ისტორიული საბუთებით ფილიპე თაქთაქიძე რუისის მთავარეპისკოპოსი ყოფილა 1672-1699 წ.წ.–ში.

წარწერა თარიღიანია: ქორონიკონი ტო – 1682 წ. (1312-1370)

IV. 1682 წ. ახლო. ფილიპე პროველის მოსახსენებელი.

ამავე ეკვდერში, სამრეკლოს მარცხენა კედელზე ამოკვეთილია 2 სტრიქონიანი ასომთავრული წარწერა:

,,მოიხსენე, უფალო, ამისი აღმშენებელი მროველი ფილიპე, ამინ“.

V. 1654 წ. ზურაბ მაჩაბლის ასულის ეპიტაფია.

10 სტრიქონიანი მხედრული წარწერა ამოჯვეთილია ღვთისმსობლის ეკლესიის სამხრეთის შესასველეთან.

,,უკეთუ ეს ენებოს ცნობა სამაროხოვანს ამას მდებარეა როქი გვამი მაჩაბლის ზურაბის ასულის... ვინც იხილოთ, შემდობა ბრძანეთ. ქრონიკონს ტმბ“.

წარწერას აქვს თარიღი: ქორონიკონი ტმბ – 1654 წ. (1312-1342)

VI. როსტომ ბატონიშვილის ეპიტაფია

ღვთისმშობლის ეკლესისს კანკელის წინ მდებარე საფლავის ქვაში ჩასმულ მარმარილოს ფილაზე ამოკვეთილია 12 სტრიქონიანი მხედრული წარწერა:

,, ქ. ყოვლად ქებულის მეფის არჩილისა და დიდად სახელოვანის ქართლის მეფის გიორგის ზმის, ყოვლად შემკულის ბატონის ლევანის ძე, საქართველოს გამგებელი ბატონიშვილი ვახტანგ ვიყავ სამკვიდროსა მამულსა ჩემსა სოფელსა ამას რამოდენთამე წელთა და მიიცვალა ძე ცემი პირმშო ბატონიშვილი როსტომ და დავფალ ეკლესიასა ამასა შინა, სამკვიდროსა მამულსა ჩემსა – ქრისტეს აქეთ ჩქპთ“.

წარწერას აქვს თარიღი ქრონიკონი ჩქპთ=1689 წ.

როგორც წარწერის ტექსტიდან ჩანს , სოფელი თირი და მონასტერი ვახტანგ VI –ის სამკვიდრო მამული ყოფილა.

VII. 1775 წ. საფლავის ქვის წარწერა.

ეკლესიაში შიგნით 7 სტრიქონიანი ხედრული წარწერაა:

,,...პირისპირ ერევნისა გაეცხადა ომი ფიცხელი და მღერა ჭაბუკთა : და ბრზოლა ძლიერი იქმნა ნიავ სამოკვდაო: გული გეტყვის გასვლად და პატრონი ვალის გადახდად: მით არ ვერიდე მეფის წინ სისხლ ჩემთა თხევად და ვიქეცი მიწა მიწად

წლის ოცდაოთხისა: თთვესა ოქტომბერსა ქრონიკონსა უ0გ“. (ნ. ანდღულაძე. თირის მონასტრის წარწერები, მეცნ. აკად. ,,მაცნე“ #6, თბ. 1969 , გვ. 146.)

ჩვენ უკვე ღვნიშნეთ, რომ საკვლევ რეგიონში მნიშვნელოვანი ეპოგრაფიული მასალა ჭარბად მოიპოვებოდა XI-XIII ს.ს.–ების მიჯნაზე, მაგრამ საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ მომდევნო საუკუნეებშიც მრავლად გვხვდება ქართული დამწერლობის ნიმუშები, როგორც შიდა ქართლის მთიანეთში, აგრეთვე ბარის ტერიტორიაზეც. ეს მოვლენა ბუნებრივია, რადგან აღნიშნული ტერიტორია ისტორიულად საქართველოს ეკუთვნის. ქართული კულტურის ასეთი მასიური გავრცელება აქ შემთხვევითი არ არის, რაგდან აქ ქართველების გარდა არ არის რომელიმე სხვა ეთნოსის წარმომადგენელთა ჭაჭანებაც კი!

ძალზედ საინტერესო ეპიგრაფიული მასალა მოიპოვება ქ. ცხინვალის ტერიტორიაზე არსებულ ღვთისმშობლისა და ზღუდერის ეკლესიებშიც. აქ ჩვენ საქმე გვაქვს ქართულით შესრულებულ წარწერებთან, რომლებიც წარმოდგენილია, როგორც ასომთავრულით, ასევე მხედრულით, დოკუმენტები საფუძვლიანად აქვს შესწავლილი და გამოქვეყნებული ისტორიკოს მ. ცოტნიაშვილს. (მ. ცოტნიაშვილი. ცხინვალი ისტორიისათვის, ცხინვალი, 1961.) მეცნიერს ობიექტურად აქვს გამოკვლეული არა მარტო ეს ისტორიული ძეგლები, არამედ თვითონ ქ. ცხინვალის ისტორიაც, საიდანაც მრავალ საინტერესო მასალას ამოვიკითხავთ:

ზღუდერი. წმ. გიორგი ეკლესია. ცხინვალი

I. 1634-1682 წ.წ. მარიამ დედოფლის მოსახსენებელი.

ეკლესისს სამხრეთი კარის თავზე 6 სტრიქონიანი ასომთავრული წარწერა:

,,ჰოი ახოვანო, მოწამეთა შორის დიდო მთავარმოწამეო წმინდაო გიორგი, მწე და მფარველი გვექმენ ორთავე შინა ცხოვრებათა მადიდებელსა დედოფალთ–დედოფალსა ხელმწიფის დადიანის ასულსა მარიამს და ნაცვალ გვაგე მადლი და ფარვა შენმიერი დღესა მას განკითხვისას, ამინ“.

წარწერა თარიღდება მარიამ დედოფლის ქართლში მოღვაწეობის წლების მიხედვით.

II. 1634-1382 წ.წ. ტაძრის ზედამდგომელი მიქაელის მოსახსენებელი.

,,წმინდაო ღვაწლისა მძლეო, მოწამეთა შორის წარჩინებულო, წმინდაო გიორგი ზღუდერისაო მწე და მფარველ ექმენ ტაძრისა შენისა ზედამდგომელსა მიქაელს და მის ზეს , იოანეს, ცოდვანი მისნი შეუნდევნ, ამინ“.

წარწერა პალეოგრაფიულად მარიამ დედოფლის მოსახსენებლის მსგავსია და იმავე პერიოდით თარიღდება.

საინტერესოა წარწერაში დაფიქსირებული ტერმინი ,,ზედამდგომელი“. რაც მუსაკთა თავმდგომს, საქმის მიმცემს ნიშნავს (იხ. ნ. ჩუბინიშვილი, ქართული ლექსიკონი).

ღვთისმშობლის ეკლესია. ცხინვალი

1718 წ. საამშენებლო წარწერა გიორგისშვილთა.

ეკლესიის სამხრეთ ფასადზე, შესასვლელი გვერდით 10 სტრიქონიანი მხედრული წარწერაა ამოკვეთილი:

,,ქ. აღვასენეთ მღვთის შეწევნითა საყდარი ესე ყოვლად წმინდის ჩვენ გიორგისშვილმან ქაიხოსრომან და ჩწმნ ძმამან ფარსადანმა და ჩემან სვილმან გივიმან ცოდვათა ჩვენთა სესანდობრად, ძისა ჩვენისა სადღეგრძელოდ. ვინცა წაიკითხოთ, შენდობა ვრძანეთ. გევედრები ყოველთა, ვინცა იხილოთ , მამა ჩემს გიორგის, დედა ჩემს მარეხას შენდობა ბრძანეთ. თქვენც ღმერთმან შეგინდოს . მეფობასა ვახტანგისასა, ქრონიკონსა უვ.“

წარწერას უზის თარითღი, ქრონიკონი უვ–1716 წელს. მკვლევართა ცნობით, ღვთისმშობლის ეკლესიაში არის 1782 წ., 1806 წ. და 1818 წ. საფლავის ქვები მხედრული წარწერებით. (მ. ცოტნიაშვილი. ცხინვალის ისტორიისათვის, ქ. სტალინირი, 1961, გვ. 202.)

ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მთელ ტერიტორიაზე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უხვად მოიპოვება ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები, რომლებზეც შესრულებული ქართული დამწერლობის ნიმუშები, მდიდარ ეპიგრაფიულ მასალას წარმოადგენს.

გამონაკლისის ამ თვალსაზრისით არც ახალგორის რაიონია (ყოფილი ლენინგორის რაიონი). ეს კუთხე მდიდარია ისტორიული ძეგლებით, ქართული დამწერლობის ნიმუშებით. ჩვენ ყველა მათგანის დასახელებისა და აქ წარმოდგენისაგან თავს შევიკავებთ, რადგან ეს, მათი სიმრავლის გამო შეუძლებლად მიგვაჩნია. მთავარი ისაა, რომ არც ცხინვალში, არც მის შემოგარენში და არც ხსენებულ ტერიტორიაზე გვიან საშუალო საუკუნეებში XVII საუკუნემდე მაინც არ გვაქვს რაიმე ეპიგრაფიული ძეგლი ან სხვა რაიმე, რომელიც ამ მიწა–წყალზე რომელიმე უცხო ეთნიკურ მასას მოიხსენიებდა, მათ შორის ოსს. წარმოგიდგენთ მხოლოდ რამდენიმე მნიშვნელოვან ძეგლს, რომელიც, ჩვენი აზრით, მკითხველთა ფართო საზოგადოებისათვის ნაკლებად არის ცნობილი:

I. კაბენი. ახალგორის რაიონი

აქ აღმოჩენილ საფლავის ქვაზე, რომელიც ეკლესიის შიგნით მდებარეობს, ყურადღებას იპყრობს მხედრულით შესრულებული წარწერა. აქვე დავძენთ, რომ წარწერა მხოლოდ ნაწილია მთლიანი ტექსტისა, რადგან მარმარილოს ფილა, რომელზეც წარწერა იყო შესრულებული ნაწილობრივ დამტვრეულია. ამიტომ ტექსტის მხოლოდ ნაწილია გადარჩენილი:

,,ეჰა ბრძანებითა უფლისათა წინასწარ განჩინებულმან ხმამან მიწა ხარისაგან გარეშემოცვა და უჩინო მყო მოკუდაობითა, ამან ხმამან დღეს უნდოსა საფლავსა შინა მიწად გადამქცია და შვიდის ტერფისა საზომსა უქმსა ადგილსა სეკვრით მიმადებარა, მთხრელად საუკუნოდ, ჩვენ, რატიშვილი ფაზია აქ ბნელისა და დამმარხველისა საფლავსა შინა უჩინო ვიქმენ, ვითარ კუალი ნავისა, რომელ მიწით შობილი, მიწადვე ვიქეც. აქ გევედრები ყოველთა მხილვევლთა და აღმომკითხველთა შემდობის ყოფისათვის. აღვესრულე თვესა ოქტომბერსა კვ. ქრონიკონს უმდ“. (Е.Такаишвили; Археологические зкскурсий, назыскания и заметки, т.V, 1915, с. 87.)

წარწერის თარიღია: ქორონიკონი უმდ=1756 წ. (1312-1344)

II. წირქოლი. ღვთისმშობლის ეკლესია. ახალგორის რაიონი

1. 957-967 წ.წ. საამშენებლო წარწერა ლეონ მეფისა.

ეკლესიის რელიეფების სამი ფრაგმენტი დაცულია საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში. რელიეფებზე გამოასხულია დანიელი ლომების ხაროში, ანგელოზი და მეფე. რელიეფებს შორის ამოღარულია ნუსხურნარევი ასომთავრული წარწერა. იგი თარიღდება პალეოგრაფიული ნიშნებისა და შინაარსის მიხედვით. მასში მოხსენებულია დასავლეთ საქართველოს – აფხაზთა მეფე ლეონ II (957-967):

,,დანიელი იტყუის: მიხსენ მე, უფალო, პირისაგან ლომთაჲსა. იხსენ სასჯელისაგან, გაბრიელ მთავარანგელოზო, ლეონ მეფე“.

2. XVII ს. დემეტრეს მოსახსენებელი.

შია სვეტის შელესილობაზე გვიანდელი ასომთავრული შესრულებული გრაფიტი:

,,გიორგის შვილისა დემეტრეს შეუნდვენ ღმერთმან“. (ოსთა საკითხი, ა. ბაქრაძის და ო. ჩუბინიძის რედ. თბ., 1996, გვ. 139.)

III. ცხავატი. მაცხოვრის ეკლესია. ახალგორის რაიონი

– ინა კალატოზის მოსახსენებელი X ს.

,,ხატო ღმრთაებისაო, ადიდენ ერი ცხავატი და ინა კალატოზი, ამენ. შეიწყალე ნაფენაი“. (კრებული, ოსთა საკითხი; ა. ბაქრაძის და ო. ჩუბინიძის რედ. თბ., 1996, გვ. 139.)

ამრიგად ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მთელ ტერიტორიაზე მოფენილია მხოლოდ ქართული დამწერლობის ნიმუშები.

აღნიშნულ ტერიტორიაზე, ავტოქტონურ მოსახლეობას მხოლოდ ქართველები წარმოადგენდნენ, ხოლო მათი სახელმწიფო და საეკლესიო ენა ქართული იყო. აღნიშვნის ღირსია ის გარემოებაც, რომ ყოფილი ოლქის ტერიტორიაზე ძალზედ მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც გვხვდება ბერძნული და სომხური წარწერებიც, არც მათი ამ ადგილებში მოსახლეობით აიხსნება , თუმცა ამ წარწერების რაოდენობა იმდენად უმნისვნელოა, რომ ოდნავადაც ვერ ცვლის საერთ ეპიგრაფიკულ სურათს.

შიდა ქართლის მთიანეთში, სადაც გვიან ოსური ახალშენები გაჩნდნენ,

მეცხრამეტე საუკუნემდე ოსების ხსენებაც კი არსადაა, მათ არ შეუქმნიათ მატერიალური კულტურის არცერთი ძეგლი და ეს სავსებით ლოგიკურიც გახლავთ. ვინაიდან XVII-XVIII ს–მდე ისინი დასახლებულ ტერიტორიაზე არ ცხოვრობდნენ, ხოლო როდესაც მათი სერიოზული კომპაქტური დასახლებები გაჩნდა აღნიშნულ ტერიტორიაზე და განსაკუთრებით საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პერიოდში ოსებმა არა თუ შექმნეს მატერიალური კულტურის ძეგლები, არამედ ხშირ შემთხვევაში ვაწყდებით ქართული ისტორიული მემკვიდრეობის განადგურების ფაქტებსაც ადგილობრივი საბჭოთა ხელმძღვანელობის წაქეზებით, ან უკეთეს შემთხვევაში წაყრუებით. ამ მხრივ ძალზედ მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის საქართველოს სახელმწიფო ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცული მასალები იმ დროის მეცნიერ-მკვლევარის, **გიორგი ბოჭორიძის** პირადი ფონდიდან. კერძოდ, გთავაზობთ მის მიმართვას საქართველოს მუზეუმის დირექტორის მოადგილისადმი:

„წარსულ ზაფხულს მოვიარე პატარა და დიდი ლიახვისა და ფრონეს ხეობების სათავეები და ჭერათხევისა და ძამის ხეობები.

პირველი სამი სამხრეთ-ოსეთის ფარგლებში შედის. აქ არის რამდენიმე შესანიშნავი ძეგლი - ერედვი, თირი, თიღვა, საბაწმინდა და სხვა. ყველა ესენი შეკეთებას და პატრონობას მოითხოვენ; სახურავი ყველას დაზიანებული აქვს, განსაკუთრებით კი თიღვას, რომელსაც ნახევრად არა ჰხურავს.

გარდა ამისა ოსეთში ძეგლების მდგომარეობა ასეთია:

თიღვაში მომუშავე ვიღაც ბოტიევს განუზრახავს თიღვის ძეგლის დაქცევა. ამის თაობაზე მე მქონდა საუბარი ადგილობრივ ხელისუფლებასთან.

საბაწმინდის ძეგლის აღმ. და სამხრ. დაგუბებულა წყალი, რომელიც შესდგომია მის კედლებს და არღვევს ისედაც დარღვეულ ძეგლს; გარდა ამისა, ძეგლიდან ნახ. ვერსის

მანძილზე სამხ. მახლობელი „სვეტი“-დან ჩამომდინარე წყლიდან გაჩენილა მთელი ჭაობი, რომელსაც ეს ადგილი და ძეგლიც ციებ-ცხელების ბუდედ უქცევია.

1929-30 წლებში უნგრევიათ დოდოთის ცხრა-კარა (X ს.); მისთვის ქვები შემოუცლიათ. ნაწილი ამ ქვებისა ადგილობრივ ძეგლთან ყრია, ნაწილი კი წუნარს წაუღიათ სკოლის საშენებლად; მათში ყოფილა ქვები მგლისა, ცხვრისა და სხვა ცხოველების გამოსახულებით.

ისტორიული ნივთები ახალგორის რაიონისა ერთის - ვაზის ხატის გარდა, რომელიც ახალგორის საგანგ. კომისიას ჰქონია დაცული, ცხინვალის მუზ. დირ. ქრ. ჯიოევის სიტყვით, ყველა დაღუპულა. მე კი ვფიქრობ, რომ შესაძლებელია ნაწილი მაინც გადარჩენილი იყოს...

საჭიროა გაკეთებული იქნეს შემდეგი:

1. ეცნობოს სამხრეთ-ოსეთის ცაკ-ს და მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტს, რომ თიღვაში მომუშავე ვიღაც ბოტიევს განუზრახავს თიღვის ეკლესიის დაქცევა და რომ ეს ეკლესია ხუროთმოძღვრების ერთი შესანიშნავი ძეგლთაგანია, რომელიც ეკუთვნის XII ს-ს და რომ მისი დაქცევა ყოვლად დაუშვებელია და უბრძანონ ადგილ. ხელისუფლებას მისი სასტიკად დაცვა.
2. ეცნობოს მასვე, რომ საბაწმინდის გვერდით გამომდინარე წყალს და მის მახლობლადვე „სვეტი“-დან მომდინარე წყლის მიერ გაჩენილ ჭაობს გაეჭრას არხი და მიეცეს წყლის სადენი გზა. ეს სასარგებლო იქნება თვით ადგილობრივი მცხოვრებლებისთვისაც, რომელნიც ავადობენ ციებ-ცხელებით და თვით ძეგლისათვისაც, რომლის ისედაც დარღვეულ კედლებს წყალი შესდგომია და უფრო არღვევს და რომელშიც დაბუდებულან კოღოები და მალარიის ბუდედ გამხდარა.
3. ეცნობოს მათვე დოდო ნანგრევების დაცვა, რომ მან აკრძალოს ნანგრევებიდან ქვის გატანა, ხოლო გატანილს თვალყური ადევნონ, რომ წარწერიანი ან ქანდაკებიანი ქვა შენობას არ დაედოს.

4. დათვალიერებულ იქნეს ახალგორის სიონი, რომლის ისტორიული ნივთების ერთი მცირე ნაწილი შესაძლებელია გადარჩენილი იყოს და მოგროვილი იქნეს ეს ნივთები.
5. გადადებულ იქნეს თანხა დაახლ. 5000 მანეთამდე თიღვის, ერედვისა და თორის ეკლესიების ადასახურავად და შესაკეთებლად.

ასევე უაღრესად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ჩვენი სამეცნიერო ნაშრომის იმ ქვეთავში, სადაც შიდა ქართლის მთიანეთის ეპიგრაფიკასა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს ვეხებით, მთლიანობაში წარმოვადგინოთ ისტორიული ძეგლის ჩამონათვალი, რათა უფრო დამაჯერებლად იქნას წარმოჩინებული ქართული კულტურულ-ეთნოლოგიური მემკვიდრეობა. აღნიშნული სია სწორედ იმ დროინდელი მეცნიერ-მკვლევარის, გიორგი ბოჭორიძის შედგენილია, რომელიც მან 1924 წლის 18 ივნისს შეადგინა:

1. ცხინვალის ქართველთა წმ. გიორგის ეკლესია
2. ცხინვალის სომეხთა ღვთისმშობლის ეკლესია
3. ცხინვალის აღმ-ჩრდ. ლიახვის მარცხენა მხარის მთის ფერდობის გამოქვაბულები (ე.წ საყინულე მ.ვ.)
4. ს. ხეითის კოშკი
5. ს. ხეითის საბაწმინდის ეკლესია თავისი მახლობელი დიდი ციხითა და შენობათა ნანგრევებით
6. ს. ხეითის თავზე მდგომი კლდე-ციხე - „სამების“ ანუ „სამოლოზნო“
7. ს. ხეითის თავზე მთის ფერდობის გამოქვაბულები
8. თავზე მდგომი ე.წ. „სვეტი“
9. ს. დღვრისის კოშკი
10. ს. აჩაბეთის კოშკი
11. ს. თამარაშენის კოშკის ნანგრევები

12. ს. თამარაშენის დასავლეთის მხარეს გორაკზე მდგომი ძველი ეკლესიები და მათი ნანგრევები
13. ს. მონასტრის ღვთისმშობლის ეკლესია სამრეკვლოთი და სხვა ყველა შენობებით და ნანგრევებით. (იგულისხმება თირის მონასტერი მ.ვ.)
14. ს. დოდოთის ცხრა-კარა ყველა თავისი ნანგრევებით
15. ს. რუსთავის ეკლესია
16. ს. რუსთავის მახლობელი „ცაქა ციხე“
17. ეგრას ღვთისმშობლის ეკლესიის ნანგრევები
18. კარაშეთის ეკლესია თავისი გალავნით
19. ს. ყორნისის ე.წ. „გვერდა“-ს ეკლესია
20. ს. ყორნისის კვირაცხოვლის ეკლესია
21. ს. ყორნისის სამების ეკლესია
22. ს. ყორნისის კოშკები 8
23. ს. ყორნისის ნაგრევები ებრაელთა სინაგოგისა
24. ორმოთხევის ეკლესია
25. წოისის ეკლესია
26. მალდის ეკლესია და კოშკი
27. წორბისის ეკლესია
28. წორბისის კოშკი
29. გომარეთის წმ. გიორგის ეკლესია
30. ვახტანას ღვთისმშობლის 2 ეკლესია
31. ს. თერეღვანის 2 ეკლესია
32. ს. ძაღინის ყოვლაწმინდის ეკლესია
33. ს. ძაღინის ამაღლების ეკლესია
34. ს. ძაღინის მაცხოვრის ეკლესია
35. ს. ძაღინის ციხე
36. ს. ძაღინის გომარეთის ციხე ეკლესიით, მარნით და სხვა შენობის ნანგრევებით

37. ს. ლისის ციხე და ეკლესია მთაზე

38. ს. ოჯორის ეკლესია

39. ს. ოჯორის და ლისის ცხრაკარა ეკლესია თავისი ნანგრევებით

40. ს. ლარისთავის ეკლესიის ნანგრევები

41. ს. თიღვას განაპირას მდგომი ე.წ. „ტრანკაანთ საყდარი“

42. ს. თიღვას ე.წ. „ჯინჭრების საყდარი“

43. ს. თიღვას ღვთისმშობლის ეკლესია თავისი გალავნით და წყაროს შენობებით

44. ს. თიღვას წმ. ნინოს ეკლესია

45. ს. თიღვის ბოლოს ნანგრევები ძველი ეკლესიისა

46. ს. სუნისის წმ. გიორგის ეკლესია

47. ს. ნაბაკევის ე.წ. „წერეთის“ ეკლესია

48. ს. წიფლითის ეკლესია

49. ს. ფათქინეთის წმ. ელიას ეკლესია

50. ს. ფათქინეთის წმ. გიორგის ეკლესია

51. ს. ბალთის 3 ეკლესია

52. ს. ქალეთის ეკლესიის ნანგრევები

53. ს. წყვდელესის ეკლესია

54. ს. შინდარის ეკლესია

55. ს. ხუნდისუბნის ეკლესია

56. ს. ტყისუბნის ეკლესია

57. ს. სხლითის ღვთისმშობლის 2 ეკლესია

58. ს. გიორგიწმინდის წმ. გიორგის ეკლესია

59. ს. ოქონის ეკლესია ძველი ეკლესიის ნანგრევებით

60. ს. მეტეხის მთავარანგელოზის ეკლესია

61. ს. ფრინევის ღვთისმშობლის ეკლესია

62. ს. დვანის ეკლესია-ციხე

63. ს. ავნევის ღვთისმშობლის ეკლესია

64. ს. ავნევის ციხე-გალავანი

65. ს. ნულის ივანე და ისიძმების დოღლაძეების ციხე-გალავანი

66. ს. ნულის წმ. მარინეს ეკლესია

67. ს. ნულის წმ. გიორგის ეკლესია ყველა თავისი ნანგრევებით

68. ს. ერკნეთის ღვთისმშობლის ეკლესია

69. „კოდა“-ს ეკლესია

70. ს. წუნარის ეკლესია

71. ს. ტბეთის ეკლესიის ნანგრევები

72. ს. ტბეთის 3 კოშკი

73. ს. კუსირეთის ეკლსეია და მის მახლობლად მდგომი კოშკი

74. ს. ფრისის ღვთისმშობლის ეკლესია

75. ს. ერედვის ბერუაანთ უბნის ციხის ნანგრევები

76. ს. ერედვის ბერუაანთ უბნის ელიას ეკლესია

77. ს. ერედვის ბერუაანთ უბნის ბერის საყდარი

78. ს ერედვის ბერუაანთ უბნის „მცხეთის ჯვრის“ ეკლესია

79. ს. ერედვის წმ. გიორგის ეკლესია თავისი გალავნით

80. ს. ერედვის ბოლოს ე.წ. „წითელი საყდარი“

81. ს. ერედვის ბოლოს ე.წ. „ქვაბთა“ ეკლესია

82. ვანათის ანუ დმენისის მაცხოვრის ეკლესია

83. ვანათის ანუ დმენისის ციხე-გალავანი ყველა თავისი შენობით

84. ვანათის ანუ დმენისის გამოქვაბულები

85. ვანათის ძველი ეკლესია

86. ვანათის ე.წ. „წირაფი“-ს ეკლესია

87. ს. გერის წმ. გიორგის ეკლესია მთაზე

88. ს. ყლარსის მიქელ-გაბრიელის ეკლესია თავისი ნანგრევებით

89. ს. ყლარსის ეკლესია და მისი ნანგრევები

90. ს. მარალეთის კოშკი

91. ს. შელევრის კოშკის ნანგრევები

92. ს. ხადრიაანთ კარის კოშკი

93. ს. ბელოთის მაცხოვრის ეკლესია მის გარშემო მდგომი ციხე-გალავნით

94. ს. ზონკარის ეკლესია

95. ს. შამბიეთის ეკლესია

96. ს. შულავერის ეკლესია

97. ს. აწრისხევის ეკლესია

98. ს. აწრის კოშკი

99. „ფუხალის“ ციხე ანუ ჩიჩოშვილების კოშკი

100. ს. სოჭინის ეკლესია

101. ს. სნეკვის ეკლესია

102. ს. ჭარების ეკლესია

103. ს. ჭარების კოშკი, წოდებული „გაბუაანთ ციხედ“

104. ს. ჭარების დიდი ეკლესიის ნანგრევები

105. ს. სათიხარის ეკლესია

106. ს. სათიხარის კოშკი

107. ს. ქსუისის მთავარანგელოზის ეკლესია

108. ს. ყულბითის ღვთისმშობლის ეკლესია

109. ს. დისევის სვეტიცხოვლის ეკლესია

110. ს. დისევის „წოწოლა ციხე“

111. ს. იკორთას ეკლესია ციხე-გალავნებით და კოშკებით

112. ზემო იკორთას ეკლესია

113. ს. აძვის ღვთისმშობლის ეკლესია

114. ს. აძვის სამების ეკლესია

115. ს. წლივანას ღვთისმშობლის ეკლესია

116. ს. ბიეთის თევდორეს ეკლესია

117. ბიყარის ეკლესია

118. ნაქალაქევის ეკლესია
119. თხინვალის უსანეთს ეკლესია
120. ლეკუანის ეკლესია
121. ბენდერის ჭრიას ეკლესია
122. ისროლის ხევის ეკლესია
123. ტბის ციხე
124. ციხისუბნის ეკლესია და ციხე
125. საყვირეთის მონასტრის შენობათა ნანგრევები
126. მერიის ღვთისმშობლის ეკლესია
127. ქოლოთის ეკლესია

§6. შიდა ქართლის მთიანეთის ტოპონიმიკა

ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე არსებული ტოპონიმიკური მასალა, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ობიექტური ისტორიული სურათის გაშუქების საქმეში. ცენტრალური საქართველოს მთიანეთის მკვიდრ მოსახლეობასთან ერთად ჩამოყალიბდა შესაბამისი ქართულენოვანი ტოპონიმებიც. ამას ადასტურებს ჩვენამდე მოღწეული მრავალრიცხოვანი ონომასტიკური მასალა.

ტოპონიმიკა – ქვეყნის ტერიტორიის გეოგრაფიული სახელწოდებათა ერთობლიობა, გარკვეულ ტერიტორიაზე მცხოვრები ძირითადი ერისათვის ისტორიული მემკვიდრეობის არსებითი და უტყუარი შემადგენელი კომპონენტია. იგი განიხილება ენათმეცნიერების, ისტორიოგრაფიის, გეოგრაფიის პოზიციებიდან, როგორც კვლევის ობიექტი და წარმოადგენს ბინების, ასევე მოსახლეობისა და მისი კულტურის წარსულის შემეცნების და ისტორიის მნიშვნელოვან წყაროს.(კ.ხარაძე. ჟურნალი ,, სახელმწიფო და სამართალი“ #4, 1990, გვ. 64 იხ. აგრეთვე კ. ხარაძე, საქართველოს ისტორიული გეოგრაფია, შიდა ქართლი, თბ., 1992, გვ. 31.)

ტოპონიმების წარმოქმნა–განვითარება ურთულესი პროცესია. განსაკუთრებით ქვეყნის იმ კუთხეებში, რომლებიც მტრის მრავალსრიცხოვანი შემოსევებითა და დაპყრობა–განადგურებით ხასიათდებოდა. ამ თვალსაზრისით გამონაკლისს არც შიდა ქართლის მთიანეთი წარმოადგენს, რის გამოც ბევრი ქართული გეოგრაფიული სახელწოდებები შეიცვალა ან საერთოდ გაქრა, დროთა ვითარებაში ამ მხრივ ქართული ტოპონიმები განსაკუთრებულ იგნორირებას, ხელყოფასა და დევნას განიცდიდნენ ოსი მკვლევარების მხრიდან. მათ ყოვლად უსაფუძვლოდ, არასწორი თარგმანისა და მოსახლეობის ყალბი გამოკითხვის შემდეგ, გადაკეთებისა და ფალსიფიკაციის გზით საჭიროდ მიიჩნიეს ქართული გეოგრაფიული სახელწოდებების გადასინჯვა.

საქმე ისაა, რომ ამის შემდგომ, კომისიამ ყალბი მასალები წარუდგინა სამხრეთ ოსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს (ცაკ–ი), რომელმაც 1933 წლის 6

მარტს, სხდომაზე მიიღო ყოვლად უკანონო გადაწყვეტილება და დაამტკიცა ტოპონიმთა ახალი ჩამონათვალი.

1934 წელს ქ. სტალინირში (ოსურად ,,სტალინის ოსეთი“ – მ.ვ.), სამხრეთ ოსეთის მხარეთმცოდნეობის სამეცნიერო–კვლევითმა ინსტიტუტმა გამოსცა ბროშურა – ,,სამხრეთ ოსეთის დასახლებული პუნქტების, მდინარეების და მთების ახალი სახელწოდებები“, რომელიც მოიცავდა ყოფილი ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე 686 ტოპონიმიდან 411–ის შეცვლას. მართალია, იმდროინდელმა საბჭოთა საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა არ დაამტკიცა ახალი ნომინაციები, მაგრამ სახეზეა აშკარა ტოპონიმიკური აგრესია ქართული გეოგრაფიული სახელწოდებების მიმართ, რომელიც ჯერ კიდევ XX საუკუნის ოცდაათიან წლებში, დაიწყო აქტიურად.

საინტერესოა, თუ რას გულისხმობდა ზემოთ აღნიშნული ბროშურა? – მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს უძველესი ქართული გეოგრაფიული სახელწოდებების მექანიკური თარგმანისა და ხელოვნური გადაკეთებისას ოსურ ენაზე: – ვაშლოვანი – ფატკუჯინ (ფატკუ–ვაშლი – მ.ვ.); დამწვარა – სიღდუთაე (სიღდუ – დამწვარი – მ.ვ.); კოშკა – კუსდჯითა; ნადაბური – ნოგ ძიმირ; საბუე – რაბინ; კვერნეთი – კუბფიტე; ჩასავალი – ნიკკასან; დიდმუხა – სტირტულ; ფრინევი – კოსტაე ყაუ; ხუნდისუბანი – აზატ; საჯვარე – ულაფან; ლაშე – დალლაგურსდურ; ორჭოსანი – ზილახარ; ლომისი– ხუსარ; მეტეხი – ცაგათ; იკეთი – ჩერტკოთე; მონასტერი – დონგარონ; ჭორჭოხი – უალვაზ და სხვა კიდევ მრავალი სახელწოდების დასახელება შეიძლება. თითოეული მათგანის ახსნას არ ჭირდება დიდი ლინგვისტური განათლება, მაგრამ ოსი ,,მკვლევარები“ გულმოდგინეთ ცდილობენ სახელწოდებები მაინცდამაინც ოსური ლექსიკით ახსნან. თითოეულ სახელწოდებასთან დაკავშირებით მკვლევარი კ. ხარაძე აღნიშნავს: ,,ყოველ მათგანში ერის, ადგილის ისტორიაა და ოს მკვლევარებს ერთი ხელის მოსმით სურდათ წაეშალათ ქართული ისტორიის ცოცხალი მემატიანეები, მათ მაგივრად კი დაემკვიდრებინათ გამოგონილი სახელები“. (ოსთა საკითხი, ა. ბაქრაძის და ო. ჩუბინიძის რედ. თბ., 1996, გვ. 177.)

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა არ დააკმაყოფილა აღნიშნული ნომინაციების შეცვლა, ზოგიერთი ქართული ტოპონიმი მაინც შეცვლილი სახით არის წარმოდგენილი დღეს. ამ გარემოებამ, რა თქმა უნდა, ვერ დააკმაყოფილა ზოგიერთი ოსი მეცნიერის სურვილი. ერთ–ერთი მათგანი ზ. ცხოვრებოვა დიდი გულისტკივილით აღნიშნავს – ,,ბევრი სახელწოდების წამოყენებული წინადადება ბროშურის ფარგლებს არ გასცდენიაო". (З.Д.Цховребова; Топонимия Южной Осетии в писменних источника; Тб, 1979, с. 149.)

ქართული და არამარტო ქართული წყაროების მიხედვით, საკვლევი რეგიონის ტოპონიმიკა აბსოლუტურად უმრავლეს შემთხვევაში ქართულია, თუმცა აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ ოსებით დასახლებულ ზოგ ადგილებში, როგორც გამონაკლისი, გვხვდება ოსური წარმოშობის ტოპონიმებიც. სავარაუდოა, რომ ეს ტოპონიმიკური ერთეულები არც თუ ისე ძველია, ახალია და უნდა მოიცავდეს XVII-XIX საუკუნეებს, რადგან სწორედ ამ პერიოდში ხდება მდ. დიდი ლიახვის, ქსნის და ფრონეების ხეობების ნაწილობრივ ოსებით დასახლება. სწორედ ამ ადგილებში გვხვდება არაქართული წარმოშობის ტოპონიმები. მიუხედავად ამისა, ხეობებში ქართული ტოპონიმები მაინც ბევრად აღემატება არაქართულს მაგალითისათვის მოვიყვანთ დიდი ლიახვის ხეობის ტოპონიმებს, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ ქართული ლექსიკით იხსნება: – როკი, ჟბა, მშხლები, ხვცე, კოშკები, კოშკების–ხევი, როკის ხევი, ჯავა, სხლები, გერი, აწრისხევი და სხვა. ამასთან, ოსების მიერ წარმოდგენილი ე.წ. ოსური ტოპონიმები რომ ყალბია, ამას ამტკიცებს ისიც, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც ოსები ხანგრძლივად სახლობენ, ის მსგავსი ტოპონიმები, საერთოდ არ გვხვდება, რაც იმას ნიშნავს,რომ წარმოდგენილი ტოპონიმები საერთოდ არ ახასიათებთ ოსებს და ისინი აქ ყალბად შექმნეს.

ამ მხრივ საინტერესო ცნობას გვაძლევს ვახუშტი ბაგრატიონი ქსნის ხეობის შესახებ: ,,ხოლო ქარჩოხის დასავლით არს კსანსა ზედა ჟამური. აქ მსახლობელნი არიან ოსნი. საშუალოს ჟამურსა არს ციხე ბერციხედ წოდვილი". (ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ნ. ბერძენიშვილისა და თ. ლომოურის რედ. თბილისი, 1941,

გვ.69.) ცხადია, ჯამური და ბერციხე ქართულ ტოპონიმენს წარმოადგენს, ახლად შექმნილ ოსურ ეთნიკურ გარემოში. ორივე ქართულ ტოპონიმს ქართული ეტიმოლოგიური ახსნა აქვს.

საჭიროდ მიგვაჩნია მდ. დიდი ლიახვის შუა წელზე მდებარე დასახლებული პუნქტების აღნიშვნაც. მათი სრული უმრავლესობა ქართული წარმოშობისაა – თამარაშენი, აჩაბეთი, ქურთა, ხეითი, ზღუდერი, ქემერტი, მონასტერი, სვერი, დგვრისი, ცხინვალი და სხვა.

აღნიშნული ტოპონიმებიდან აბსოლიტურად ყველა ქართული წარმოშობისაა. ანალოგიური ვითარებაა მდ. პატარა ლიახვის ხეობაშოც: – ბელოთი, საცხენეთი, ვანათი, ინაური, აწრისხევი, ყლარწვი, ერედვი, არგვიცი, ბერულა და სხვა.

ასევე წმინდა ქართული ტოპონიმებია მდ. ფრონეს ხეობის გეოგრაფიული სახელწოდებებიც, მაგ.: – ჭოლიბაური, დვანი, ოქონა, ანევი, დიდმუხა, მუგუთი, ველები, გვირგვინა, ფრინევი, წუნარი, ყორნისი, თიღვა, წორბისი, რკნეთი, ძაღინა, მუხაური, ოჟორა, გომართა და სხვა უამრავი ტოპონიმი, მხოლოდ ქართული ლექსიკის მეშვეობით იხსნება. ეს ტოპონიმი დანარჩენ საქართველოს ისეთ ტერიტორიებზეც გვხვდება, სადაც ოსთა ჭაჭანებაც კი არაა. ხოლო რდ. კავკასიაში, სადაც ოსები სახლობენ – არსად.

ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დედაქალაქი ცხინვალიც წმინდა წყლის ქართული წარმოშობის სახელწოდებაა. იგი მრავალ ისტორიულ დოკუმენტებშია მოხსენებული. მისი წარმოშობის ზუსტი თარიღი ცნობილი არ არის, მაგრამ აქ მოსახლეობა, რომ უძველეს დროშიც ცხოვრობდა დაადასტურა არაერთმა არქეოლოგიურმა მონაპოვარმა, მათ შორის აღსანიშნავია ბ. ტეხოვის, (Б.В.Техов. Позднебронзовая культура Лиазвского бассеина. Сталинири, 1957.) გ. გობეჯისვილის, (გ.გობეჯიშვილი. სტალინის ნაცარგორა ,,მიმომხილველი“, ტ. II.) ო. ჯაფარიძის (ო. ჯაფარიძე. ცხინვალის განძი, აკად. ს. ჯანასიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XVI, 1950.) და სხვა მეცნიერთა მიერ გამოვლენილმა მასალამ. ცხინვალთან დაკავშირებით ვახუშტი ბაგრატიონი

აღნიშნავს: ,,დიდის–ლიახვის კიდეზედ სრა მცირე ქალაქი ქრცხილვანი, კეთილჰაოვანი. მსახლობელნი არია ქართველნი, სომეხნი და ურიანი. გარემო წალკოტოვან ვენახოვანი საზრდილით მაძღარი“. (ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ნ. ბერძენიშვილისა და თ. ლომოურის რედ. თბილისი, 1941, გვ.76.) როგორც ირკვევა ვახუშტი ბაგრატიონის დროს (XVIII საუკუნის პირველი ნახევარი) ცხინვალში ოსი მოსახლეობა საერთოდ არ ცხოვრობდა. მათი ამ ქალაქში დასახლება საკმაოდ მოგვიანებით მოხდა. გამომდინარე აქედან გასაოცარია თუ რა მოტივით უნდოდათ ოს მეცნიერებს შეეცვალათ ქალაქ ცხინვალის სახელწოდება სხვა ნებისმიერი დასახელებით. ცხადზე უცხადესია, რომ ოსებს გასულ საუკუნეებში ცხინვალთან პრაქტიკულად კავშირი არ გააჩნდათ.

უძველესი დროიდან შიდა ქართლის ტერიტორია ქართველური ტომებით იყო დასახლებული და აქ განვითარებული ტოპონიმებიც შესაბამისად ქართველურია, თუმცა ტოპონიმების ცვლილება ნაწილობრივ მაინც მოხდა უკიდურესად ჩრდილოეთ რაიონებში, სადაც ოსები ჩასახლდნენ, მათ მოგვიანებით ოსური ტოპონიმები ჩაენაცვლა. დანარჩენ ადგილებში გავრცელებულია მხოლოდ ქართული გეოგრაფიული სახელწოდებები. ეს გახლავთ ქართველი ერის ისტორიული კვალი, რომელსაც დაცვა და სათუთად მოვლა სჭირდება. ქართული ტოპონიმია... ისევე ძველია და მრავალფეროვანია, როგორც ქართული სალიტერატურო ენა. ადამიანი უძველესი დროიდან მიეკუთვნებოდა ამა თუ იმ ადგილს შესაფერის სახელს და ამით იგი თაობიდან თაობას გადასაცემდა. ტოპონიმების დარქმევის პროცესს აქვს საკუთარი კანონზომიერებანი და განპირობებულია სხვადასხვა მიზეზებით. (ოსთა საკითხი, ა.ბაქრაძე, ო. ჩუბინიძე, თბილისი, 1996, გვ. 181.) შიდა ქართლის მთიანეთში ანუ იმ ადგილებში, სადაც მოგვიანებით (XVIII-XIX ს.ს.) ოსური კომპქტური მოსახლეობა დასახლდა, ტოპონიმების უმეტესი რაოდენობა ქართველური ენების მიხეედვით არის წარმოქმნილი. ჩვენ ვხვდებით მეგრულ–ჭანურ, სვანურ ტოპონიმებსაც. ამასთან დაკავშირებით ცნობილმა კვლევარმა ჯ. გვასალიამ ძალზედ საინტერესო თვალსაზრისი გამოთქვა: – ,,შესაძლებელია შიდა

ქართლი წარმოადგენდა ამ ტერიტორიის ნაწილს, სადაც მოხდა წინაშე ქართველური ენის დაშლა ქართულ, სვანურ და ზანურ ენებად. არ ვთვლი გამორიცხულად, რომ სვანურსა და ზანურის მატარებელმა ტომებმა შორეულ წარსულში გაიარეს შიდა ქართლის ტერიტორია და კვალი დატოვეს ტოპონიმიაში“. (ჯ. გავასალია. აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები. თბილისი , 1983, გვ. 168.) იქვე მკვლევარს მოჰყავს მრავალი მეგრულ–სვანური სახელწოდება: – კუცხოვეთი, კორა, ჩხორეთი, ცხრომი, წიფორი, ჩხუნეთი, გერი, ისროლი, ფაჩური, ლაფაჩი, საცხუმეთი, ლარგვისი, და სხვ.

ჯერჯერობით მეცნიერ–მკვლევარის აბსოლიტურად ყველა ვერსია მეცნიერულად დასაბუთებული არ არის ბოლომდე, მაგრამ სავსებით დამაჯერებლად გამოიყურება. ამ საკითხს ქართული მეცნიერება ალბათ საფუძვლიანად შეისწავლის და შეიძლება ისტორიის კიდევ ერთ საიდუმლოსაც აეხადოს ფარდა.

თავი II

ოსთა განსახლება შიდა ქართლში XIX ს–ში

§1. ოსთა განსახლება შიდა ქართლში XIX ს–ის პირველ ნახევარში

ოსთა საქართველოში ჩამოსახლების მესამე პერიოდი ანუ მესამე ეტაპი მოიცავს მთლიანად მეცხრამეტე საუკუნეს. ჩვენი ქვეყნის ისტორიის ძირითადად ამ მონაკვეთში ხდება საქართველოს ბარის ზოგიერთ რაიონებში ოსების დასახლება.

როგორც პირველ თავში გვქონდა აღნიშნული, XVIII ს–ში ოსები ძირითადად სამი მდინარის ხეობების სათავეში იყვნენ დასახლებულნი. ეს მდინარეებია: დიდი ლიახვი, მატარა ლიახვი და ქსანი. რაც შეეხება ოსების სხვა ადგილებში განსახლებას, ეს ხდება სწორედ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან, როცა ოსები სახლდებიან და ითვისებენ ფრონის, მეჯუდისა და ლეხურის ხეობებს შიდა ქართლში და, გარდა ამისა, აგრძელებენ დასახლებას საქართველოს სხვა კუთხეებშიც კეძოდ: კახეთში, ბორჯომის ხეობაში, იმერეთში და სხვა. აღნიშნულ რაიონებში ოსები ძირითადად მდ. დიდი და პატარა ლიახვის ხეობებიდან გადადიან. ამ საკითხს ეხება ისტორიკოსი რ. თოფჩიშვილი, რომელიც აღნიშნავს: ,, XIX ს–ის დასაწყისიდან იწყება ოსთა მიგრაცია ფრონეების ხეობაში, მეჯუდას ხეობაში, ლეხურას ხეობაში და ქსნის ხეობის მთიანეთის სხვა დასახლებულ პუნქტებში. ფრონეების ხეობაში ოსების მიერ ქართველთა ნასოფლარებში დაფუძნება ხდება ძირითადად დიდი ლიახვის ხეობიდან, თუმცა თვალშისაცემია, რომ პირველი ოსი მიგრანტი ფრონეების ხეობაში ქართველთა ნასოფლარებში დვალეთიდან წამოსული ოსები იყვნენ. პატარა და დიდი ლიახვის ხეობიდან გადმოდის მოსახლეობა მეჯუდას ხეობაში, ხოლო ლეხურას ხეობაში ოსების მიგრაცია ძირითადად ქსნის ხეობიდან (ჟამური, ჭურთა)

ხორციელდებოდა. მიუხედავად ამისა, XIX ს–ის პირველ სამ ათეულ წელს ლეხურას, მეჯუდას და ფრონეების ხეობებში ოსთა დასახლკარებას ინტენსიური ხასიათი არ ჰქონია. ინტენსიურად ამ ხეობების მოშენება ძირითადად მოხდა XIX ს–ის შუა ხანებიდან მოყოლებული, ვიდრე 1880–იან წლებამდე“. (რ. თოფჩიშვილი. საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბ., 1997, გვ. 220.)

საინტერესოა რა რაოდენობით ცხოვრობდნენ ოსები შიდა ქართლის მთიანეთში? – ამ საკითხის გამოსარკვევად აუცილებლად უნდა განვიხილოთ და გავაანალიზოთ XIX ს–ის პირველ ნახევარში ჩატარებული აღწერები, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ, ობიექტური და ნათელი სურატის წარმოჩენისა. ძალზედ საინტერესო მასალებს გვაძლევს 1804 წ., 1814წ., 1830 წლების სტატისტიკური აღწერები, რომლის მეშვეობით ვგებულობთ ოსთა კომლობრივ რაოდენობას, ოსთა საცხოვრებელ ადგილებს, მიგრაციის მიმართულებებს და სხვა. აღნიშნული საკითხის ირგვლივ რამდენიმე მოსაზრება არსებობს. მაგალითიშთვის გ. თოგოშვილის ვერსიით, XIX ს–ის დასაწყისში საქართველოში 7000 კომლი ოსი მოსახლეა“. (Очерки историй Юго-осетинской А.ОюТбилиси, с.108.)

არაერთ ისტორიულ წყაროზე და საარქივო მასალებზე დაყრდნობით, ისტორიკოსმა რ. თოფჩიშვილმა სამართლიანად უარჰყო თოგოშვილის ეს ჰიპოთეზა. მან 1814 წლის კამერული აღწერის საფუძვლიანად გაანალიზების შემდეგ დაასაბუთა პროფ. გ. თოგოშვილის ვერსიის სიცრუე და არამართებულობა . იგი წერს: ,,1814 წლის აღწერით, პატარა ლიახვის ხეობაში ოსთა რაოდენობა 393 კომლი იყო, აქედან ადგილზე უშუალოდ ცხოვრობდა 310 კომლი. ჩანს, რომ პატარა ლიახვის ხეობიდან XIX საუკუნის დასაწყისში ოსთა ინტენსიური გადასხლება მიმდინარეობდა დაბლობის სოფლებში და 83 კომლი მიგრირებული იყო. ამავე წელს მაღრან–დვალეთში 164 კომლი მკვიდრობდა, ქსნის ხეობაში – 343 კომლი (ჭურთაში – 108; ქარჩოხში – 57; ჟამურში – 110; საფაშეთში – 68). ლეხურას ხეობის სოფ. ქვითკირში – 11 კომლი და მეჯუდას ხეობაში – 8 კომლი. ამრიგად, დღევანდელი საქართველოს

ტერიტორიაზე ქსნის ოსების საერთო რაოდენობა 1814 წელს 1028 კომლი იყო XVIII ს–ის მეორე ნახევარის მონაცემებთან შედარებით დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე ქსნის ერისთავთა ოსების რაოდენობა 1814 წლისატვის თითქმის გაორმაგდა, 564–დან 1028 კომლამდე გაიზარდა, რაც გამოწვეული იყო დვალეთის სოფლებიდან ამ დროს ოსური მოსახლეობის ქსნის ერისთავთა საგამგეო ტერიტორიაზე ჩასახლებით".(რ. თოფჩიშვილი. საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები. გვ. 164.)

რაც შეეხება დიდი ლიახვის ხეობის ოსურ მოსახლეობას, 1814 წლის აღწერით ჩანს, რომ აქ 752 კომლი მკვიდრობდა, რომლებიც 37 სოფელში იყო განსახლებული.

ოსური მოსახლეობის გეოგრაფიული განლაგება 1814 წელს შიდა ქართლის დემოგრაფიული აღწერის მიხედვით შემდეგ სურათს ქმნის: ,,დიდი ლიახვის ხეობაში ოსები განსახლებული იყვნენ გუფთის ზემოთ. პატარა ლიახვის ხეობაში ოსთა და ქართველთა განსახლების საზღვარი იყო ქართული სოფ. აწერის–ხევი. მეჯუდას ხეობაში ოსები მხოლოდ მის სათავეში მოსახლეობდნენ. მეჯუდას მთელი ხეობა აღნიშნული დროისათვის ფაქტიურად დაუსახლებელი იყო. ლეხურას ხეობის სათავეში ერთი ოსური სოფელი – ქვითკირი არსებობდა. ამავე ხეობაში 1804–1814 წ.წ. ჩნდება 4 კომლიანი ოსური სოფელი – წოლდი. ლეხურის ხეობის დანარჩენი (უფრო სწორად, მთიანი მონაკვეთი) ნასოფლარებით იყო მოფენილი. თუ არ ჩავთვლით ქართულ სოფელ – ქოლოთს, ქსნის ხეობასი ოსები მის სათავესა (ჟამურში) და შენაკადი ხეობების (ჭურთა, საფესეთი) სათავეებში მკვიდრობდნენ. ხდება მთლიანად ქართული იყო. არაგვის ხეობაში ოსები მხოლოდ მთიულეთის (თეთრი) არაგვის სათავეში – ღუდაში მკვიდრობდნენ. არაგვის ხეობის მთისწინეთსა და მთაში არსად ოსური მოსახლეობა არ იყო. ოსები მკვიდრობდნენ თერგის ხეობის სათავეში – თრუსოში. დასავლეთით ოსური დასახლება გვქონდა მდინარე ჯეჯორის სათავეში – კუდაროში. რაც შეეხება შიდა ქართლის ფრონეების ხეობას (დვანის წყალი,ფცის წყალი...), აქ ოსები 1814 წელს ჯერ არ მკვიდრობდნენ. შეინიშნება მხოლოდ თითო–ოროლა ოსური კომლის შეღწევა ფრონეების ხეობაში. საერთოდ არ იყო კომპაქტური,

ოსური მოსახლეობა შიდა ქართლის ბარის რაიონებში, ისინი აქ მხოლოდ ქართულ სოფლებში იყვნენ განსახლებული და რეგიონის ეთნიკურ რუკაზე მათი მცირე რაოდენობა რაიმე გავლენას ვერ ახდენდა. არ იყვნენ ოსები არც გაღმა მხარეში, საციციანოს ტერიტორიაზე (ძამის ხეობა), ატენის ხეობაში, თეძმის ხეობაში, დაუსახლებელი იყო გუჯარეთის ხეობაც.

ოსთა მიგრაცია შესამჩნები იყო 1814 წელს მხოლოდ პატარა ლიახვის ხეობიდან, რაც ძირითადად ხორციელდებოდა ერთი საფეოდალი ტერიტორიაზე (ქსნის ერისთავის კუთვნილი მთლიანი მაულებიდან ოსები ერისთავისავე კუთვნილი მთისწინა და ბარის სოფლებში მიგრირებდნენ). გადასახლებაც ჯგუფური არ ყოფილა. ოსთა მიგრაციას მთისწინეთისა და ბარის სოფლებში 1804 –1814 წლების მონაკვეთში მათი კომპაქტური დასახლების შექმნა არ გამოუწვევია. ისინი იფანტებოდნენ ან ბარის სოფლებში, ან მთის ოსურ სოფლებში“.(რ. თოფჩიშვილი. დასახელებული ნაშრომი, თბ., 1997, გვ. 116.)

იმავე 1814 წლის ოსთა საერთო რეალურმა რაოდენობამ საქართველოში დაახლოებით 2150 კომლი შეადგინა, რაც საშუალოდ 14500 სულის ტოლი გახლავთ.

საინტერესოა, თუ რამდენად იყო ოსების მიერ დასახლებული ფრონეების ხეობები XIX ს–ის პირველ ნახევარში? – საარქივო მასალებისა და აღწერის დავთრების მიხედვით შეგვიძლია გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ ამ ხეობებში შექმნილ ვითარებაზე. საერთოდ, აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი , რომ ფრონეების ხეობაში XVIIIს–ის ბოლოსათვის ქართული მოსახლეობა საკმაოდ გამეჩხერდა, წარმოიქმნა მრავალი ნასოფლარი. მოსახლეობა ტოვებდა საცხოვრებელ ადგილებს და ბარის რაიონებისაკენ ეშვებოდა. ამ პროცესს ხელს უწყობდა ლეკთა თარეში და დიდი ლიახვის ოსთა ხშირი თავდასხმები. ყოველივე ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ თანდათანობით იცვლებოდა ხეობის ეთნიკური სურათი. აყრილ და ბარში გადასახლებულ ქართველ მოსახლეობას ცვლიდა ოსური მოსახლეობა, რომელმაც შეძლო XIX ს-ის ბოლოსათვის რამდენადმე შეეცვალა ეთნიკური სურათი თავის სასარებლოდ, თუმცა ამ მოვლენას ათეული წლები დასჭირდა.

ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს თუ წარმოვადგენთ ფრონეების ხეობის ზოგიერთი სოფლის მაგალითზე დანახულ პროცესებს, რომლებმაც გვიჩვენა დემოგრაფიული და ეთნიკური სახეცვლილების მიმდინარობა. საარქივო მასალები და XIX ს–ის აღწერის დავთრები იძლევა საშუალებას გამოვარკვიოთ თუ როდის და საიდან იწყება ოსთა მიგრაცია ფრონეების ხეობაში. ,,1818 წლის აღწერით, ფრონეების ხეობაში ოსები ცხოვრობდნენ: ყორნისში (4 ოჯახი); რუსთავში (2 ოჯახი); წორბისში (6 კომლი); ბეყმარში (5 კომლი); თორმანეულში (18 კომლი); მავდაში (4 კომლი); , სულ 39 კომლი .... ყორნისში და რუსთავში მოსახლე ოსები (6კომლი) XIX ს–ის პირველ ათეულ წელს დიდი ლიახვის ხეობის მთიდან იყვნენ გადმოსახლებულნი. წორბისში მოსახლე ოთხი კომლი ოსი ხიზნები იყვნენ. დავთარში ფიქსირებულია, რომ ისინი სოფ. წყლებიდან XVIII ს–ის ბოლოს გადმოსახლებული ერთი ოსის შთამომავლები იყვნენ... აქვე მცხოვრები კასიბაშვილები იმავე პერიოდში დვალეთის სოფელ თიბედან იყვნენ მოსული... თორმანეულში მცხოვრები რვა კომლი, კვლავ მაჩაბლის გლეხებად ითვლებოდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ფალავანდიშვილის მიწაზე იყვნენ დასახლებული. თორმანეულშიც ოსების დასახელება XIX ს–ის დასაწყისში მომხდარა. იგივე ითქმის სოფელ მავდაზეც... ხეობის ერც-ერთ სხვა სოფელში დასახლებული 6 სოფლის (ყორნისი, რუსთავი, წორბისი, ბეყმარი, თორმანეული მავდა) გარდა, არსად ოსური მოსახლეობა არ იყო“. (რ. თოფჩიშვილი. დასახელებული ნაშრომი, თბ., 1997, გვ. 172-173.)

დროთა განმავლობაში იზრდებოდა ოს მოახალსენეთა რიცხვი. შემდეგი კამერალური აღწერის დროს 1830–1831 წლებში ოსთა რაოდენობა ფრონეების ხეობაში შესამჩნევად იზრდება. იგივე ყორნისში 1830 წელს უკვე 22 კომლი ოსი მკვიდრობდა.(სცსსა, ფ. 254, ან I, საქ. #1244, გვ. 204–208.) ასევე გაიზარდა მოსახლეობა სოფ. თორმანეულში, სადაც ნაცვლად 18 კომლსა, უკვე 33 კომლი ოსი ყოფილა.(იქვე, გვ. 816–818.)

1818 წელს სოფ. მავდაში თუ ოთხი კომლი ოსი ცხოვრობდა. 1830 წელს მათი რაოდენობა 20–მდე გაიიზარდა, რომელთაგან 7 ოჯახი მაჩაბლის გლეხი იყო. ოსები

1886 წელს მავდაში გაჩენილა. ჯაგაშვილები (1 ოჯახი) მავდაში კოშკის ხეობის სოფ. ტაფანიდან 20 წლის წინ (ე.ი. 1810 წელს) გადმოსახლებულა. ქორთიშვილებიც სოფ. კოშკიდან გადმოსახლებულან 8 წლის წინ . გაბარაშვილები 1818 წელს მიგრირებულან, მაგრამ აქედან სოფ. რუსთავში გადასულან. სხვადასხვა წლებში (1817, 1820, 1826) მდ. დიდი ლიახვის ხეობიდან მავდაში რამდენიმე ოჯახი მოსულა, ერთიც – კუდაროდან. (რ. თოფჩიშვილი. საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები. თბ., 1997, გვ. 175.)

მოსახლეობის (იგ. ოსები) ნამატი ფრონეების ხეობაში გრძელდება შემდგომ წლებშიც. მაგალითად იგივე სოფ. ყორნისში 1832–1834 წლებში 5 ოსური კომლი შემატებია. ამავე პერიოდში იზრდება მავდის, ძვიელთის და სხვა სოფლების ოსური მოსახლეობა (იქვე, გვ.176.)

ოსების მომატება ფრონეების ხეობაში მომდევნო წლებშიც გრძელდება, რაც აისახა კიდეც 1842 წლის მოსახლეობის კამერალურ აღწერაში (254 – I – 1936), მაგრამ უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ამ ხეობებში და საერთოდ მთელი საქართველოს მასშტაბით ოსების განსახლება განსაკუთრებულ ზრდას XIX ს–ის მეორე ნახევარში განიცდის. ამ პერიოდში ოსებმა მოახერხეს უკვე შიდა ქართლის ბარის რაიონებისაკენ გზის ,,გაკაფვაც“. თუ XIX ს–ის დასაწყისში ოსები სამი მდინარის (დიდი ლიახვი, პატარა ლიახვი, ქსანი) ხეობების სათავეში იყვნენ დაფიქსირებულნი, შემდგომი დროისათვის ისინი ახერხებენ მდინარეების ლეხურის, მეჯუდის ფრონეების ხეობებში დასახლებასაც.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ოსთა ჩამოსახლება ისტორიული შიდა ქართლის ტერიტორიაზე არცთუ მშვიდობიან ფორმას ატარებდა. ხშირი იყო ოსი მძარცველების თავდასხმები მშვიდობიან ქართულ მოსახლეობაზე. ოსები იტაცებდნენ საქონელს, მთელი წლის სარჩო-საბადებელს, რომელსაც ქართველი გლეხი აგროვებდა. დაფიქსირებულია ისეთი შემთხვევები, როცა ოსები არც მოსახლეობის დატყვევებას ერიდებოდნენ, რომლებსაც შემდეგ ჩრ. კავკასიაში ტყვეების სახით ჰყრიდნენ, ან დიდძალ გამოსასყიდს ითხოვდნენ მათში.

სიმართლისაგან შორს იქნება თუ ვიტყვით, რომ ყველა ოსი ხიზანი მძარცველობას პირველი წლებიდანვე (XVII ს–ში) ჯერ კიდევ ერეკლე II . ქართლ–კახეთის მეფე, რომელიც საკმაოდ დაინტერესებული იყო ოსების ჩამოსახლებით და მათ ყველანაირ პირობებს უქმნიდა ქართლში გადმოსახლების შემთხვევაში, ბინადარი ცხოვრების თვალსაზრისით მკაცრად აფრთხილებდა ოსებს – თუ თქვენ არ დაიშლით ავაზაკობას და არ დამემორჩილებით, ,,ისეთ რისხვას მოგაყენებთ, რომ არას კაცს არ მოსვლოდეს და არც ჩვენს მამულში თქვენს გვარსღა გაუშვებთ“-ო. (მ. კეკელია. ერეკლე II, განჩინებანი სამაჩაბლოში ბოროტმოქმედების აღსაკვეთად. გაზეთი ,,საქართველოს რესპუბლიკა“ #25, 1991.) მდგომარეობა ამ მხრივ არც XIX ს–ში შეიცვალა. ოსები კვლავ განაგრძობენ ადგილობრივი მოსახლეობის ძარცვას. ამასთან დაკავშირებით, ქართლ–კახეთის უკანასკნელი მეფე გიორგი XII, 1800 წ. 21 სექტემბერს წერილობით მიმართავს ოთარ ამილახვარს: ,,შენის სოფლისა ოსებისაგან აკლება და აგრეთვე ქართლში ოსებისაგან აშკარად ჯარით სიარული და აკლება მოგეწერა... ოსებისათვის ასეთს საქმეს ვიფიქრებთ რასმე, რომ მაგათ ვეღარ ითარეშონ ქართლში“... (АКАК,т. I , Тифлис, 1866, с.153.)

ოსების მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედებანი გრძელდება მთელი მეცხამეტე საუკუნის განმავლობაში . ჩვენ რამდენიმე მაგალითის ჩვენებით შემოვიფარგლებით, რაც ვფიქრობთ, საკმაოდ ნათელ და ობიექტურ სურათს შექმნის.

1808 წლის თებერვალში რუსი გენერალი ახვერდოვი აფრთხილებს საქართველოს მთავარმართებელს, რომ შემოდგომისთანავე არაგვის, ორი ლიახვის, მეჯუდის და სხვა მთის ოსების მხრივ დაიწყება ქართული სოფლების ძარცვა, მკვლელობა, ხალხის დატყვევებაო და მათი მოწყვეტა სამიწათმოქმედო სამუშაოებისგან, ქსნის ხეობაში უკვე არის ათასამდე შიარაღებული ოსი, ამიტომ გენერალს საჭიროდ მიაჩნია მათი მოთავეების ანუ „სტარშინებუს“ დაპატიმრება; ახალგორსა და ლამისყანაში გლეხების ხარჯზე სამხედრო ნაწილების ჩაყენება; ოსებისათვის ქართული სოფლებისაკენ მიმავალი ყველა გზის გადაკეტვა, საიდანაც ისინი იძენდნენ მარილს და სხვა საჭირო ნივთებს“. (სსცსა; ფონდი 2; ანაწერი I , საქ. #175 , ს.ფ. 76,83.) იმავე წელს ოსების

შეიარაღებული ჯგუფები აწიოკებდნენ ქართულ სოფლებს – სხლებს, ხურვალეთს, ნადარბაზევს. ამ შეტაკებებს მოჰყვა მსხვერპლიც.(იქვე, ს.ფ. 259.)

მომდევნო წელს, ივლისის თვეში ოსთა შიარაღებული ბანდა, დაეცა სოფელ დიცს და გაიტაცეს საქონელი. ქართველმა მდევრებმა საქონელი წაართვეს მძარცველებს და დააკავეს ოთხი ოსი.(სსცსა; ფონდი 2; ანაწერი I , საქ. #211 , ს.ფ. 229.) იმავე 1809 წ. სექტემბერში პოლკოვნიკი ერისთავი აცხადებს, რომ ტყეებსა და მთებს შეფარებული ოსები არ წყვეტენ გორის მაზრის სოფლებზე თავდასხმებს, ძარცვა, მკვლელობებს, ხალხის გატაცებას, ამიტომ ითხოვს, სანამ მთები თოვლით არ დაიფარება, ექვსი პოლკით და იმ ქართველებით, რომელთაც თვითონ იგი არ შეაგროვებდა, დაესაჯათ ჟამურისა და გუდისის ოსები.(.იქვე , ს.ფ. 429.)

საინტერესოა დიდგორელთა 1815 წლის განცხადება რუსეთის ხელისუფლებისადმი: ,,... ჩვენ და რაჭველნი აქამდისინ ვმტრობდით ერთმანეთს ... მრავალნი ქართველნი წაყვანილ და განსყიდულ იქნენ დიგორელთაგან ჩერქეზად“. (კრებული ,,ოსთა საკითხები“, თბ., 1996, გვ. 187.) ოსების ასეთი თარეში ქართველებისა და ასევე რუსი სახელმწიფო მოხელეების მხრიდან ადექვატური ზომების მიღებას აიძულებდა. ასე მაგალითად – 1821 წლის თებერვალ–მარტში, გორის ,,ოკრუგის“ უფროსი ტიტოვი, დამსჯელი ექსპედიციებს აწყობს; ლიახვის, ქეშელთის, მეჯუდის, ფოტნისის ხეობებში.

ოსებში ამოღებილ იქნა იარაღი, ასევე წაართვა მათ საქონელი, სხვა ქონება და ოსებით დასახლებული სოფლები ცეცხლს მისცა. (სსცსა. ფონდი 2 , ანაწერიI,საქ. #1092. სფ. 19–24.)

ტიტოვი 1823 წლის სექტემბერში მოხსენებით ბარათში წერს, რომ ოსები გამუდმებით ძარცვავდნენ ქარღლის სოფლებს ქსნიდან კუდარუს ხეობამდე; ტიტოვს ამის მიზეზად ის მიაჩნდა, რომ ამ დაუდგრომელი ხალხის ერთადერთ საქმიანობას ძარცვა წარმოადგენდა და ამას საერთო, ორგანიზებული ხასიათი ჰქონდა. ამიტომ მას აუცილებლად მიაჩნდა, რომ ადგილობრივი ხელმძღვანელობის ნებართვის გარეშე შეეწყვიტა ოსების მარილით მომარაგება, შეეკრათ მათთვის გზები და ქართლის

ბარში ჩასვლის ნება მიეცათ ხოლოდ იმათთვის, ვინც თავისი კეთილგანწყობილებით იყო ცნობილი და ითხოვდა ნებართვას ამის სისრულეში მოსაყვანად. (კრებული, ,, ოსთა საკითხი“, გორი–თბილისის. 1996, გვ. 188.)

ოსები თავისას არ იშლიდნენ, მიუხედავად დამსჯელი ექსპედიციებისა – 1827 წელს მაზრის საერო პოლიციის უფროსი აღწერს, თუ რა საშინელ ძარცვა–გლეჯას ეწეოდა ჟამურელი ოსების შეიარაღებული ბანდა. მისი განცხადებით, ჟამურში სულ 6–8 ოჯახი ეწეოდა ძარცვას და ბანდაში 20–28 კაცი იყო გაერთიანებული, დანარჩენი მოსახლეობა მშვიდობიან ცხოვრებას ეწეოდა და ამ ბანდას არ იფარავდა. ამიტომ მათი დაჭერა არც ისე ძნელი იქნებოდა, თუ ხელმძღვანელობა აღძრავდა მათ წინააღმდეგ საქმეს. ეს კი აუცილებლად მიაჩნდა , იმისათვის, რომ მათ სხვა ოსებიც არ ჩაეთრიათ დანაშაულში. (იქვე. გვ. 188.) ამგვარი ფაქტების მოყვანა უამრავი შეიძლება, მაგრამ ჩვენ თავს ვიკავებთ დანარჩენის დამოწმებისაგან, ვინაიდან ვფიქრობთ, რომ სურათი ისედაც ნათელია.

ოსების აგრესია აიძულებდა ქართველ გლეხობას აყრილიყო და უფრო უსაფრთხო ადგილებისაკენ გადასახლებულიყო, მათ სამხრეთით მდებარე ბარის გამეჩხერებულ სოფლებს მიაშურეს. ასე თანდათანობით იცლებოდა XIX ს–ის პირველი ნახევრის განმავლობაში შიდა ქართლის მთიანეთი ქართული მოსახლეობისაგან. მათ მიერ დატოვებულ ნასოფლარებზე ოსი ხიზნები სახლდებოდნენ. რომელთაც აითვისეს არა მარტო შიდა ქართლის მთიანეთი , არამედ მთისწინა ზოლიც. ყველა სხვა ობიექტურ მიზეზებთან ერთად, ოსებს ჩამოსახლებასა და ქართულ მიწა–წყალზე დამკვიდრებაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ , ხელს უწყობდა მათი ხშირი თავდასხმები ქართულ მოსახლეობაზე. ეს მოვლენა საბჭოთა ისტორიოგრაფიაში შეფასებული იყო როგორც კლასობრივი ბრძოლა მებატონეთა წინააღმდეგ, რაც როგორც უკვე ვნახეთ მცდარი შეხედულებაა, იგი ზოგიერთი პოლიტიკოსის ფანტაზიის ნაყოფი უფრო არის, ვიდრე ისტორიული რეალობა.

ობიექტური ისტორიული სინამდვილე გვიჩვენებს, რომ XIX ს–ის დასაწყისში ოსები რამდენადმე კომპაქტურად ცხოვრობდნენ მხოლოდ დიდი და პატარა ლიახვის

და ქსნის ხეობებში. XIX ს–ის პირველ ნახევარში ჩატარებული კამერალური აღწერების მიხედვით ჩანს, რომ ოსების ინდივიდუალური განსახლება ხდება ფრონეების ხეობის, მეჯუდის ხეობისა და ლეხური ხეობის გასწვრივ. შემდეგ ოსების თანდათანობით ინფილტრაცია ხდება შიდა ქართლის მთიანეთიდან ბარის რაიონებისაკენ – ,, XIX ს–ის დასაწყისში მთისწინეთის სოფლებში დასახლებული (იგულისხმებიან ოსები), იმავე საუკუნის შუა ხანებიდან ინტენსიურად გადმოდიან საცხოვრებლად ბარის სოფლებში. ასე რომ XVIII ს. ბოლოდან და XIX საუკუნის მთელ მანძილზე საქართველოს მაღალმთიანეთის სოფლებიდან დაბლობის მიმართულებით მიიწევენ, ოსთა თანდათანობით ინტენსიური წინ წამოწევა აშკარაა, რასაც უდავოდ მიესედაგება ქართულ ისტორიოგრაფიაში ხმარებული ტერმინი ,,ჩამოწოლა“. იმდენად დიდი მოძრაობა ახასიათებდათ ოსებს, რომ XIX ს–ის მეორე ნახევარში ბარის სოფლებში დასახლებული, ბარისავე სხვა სოფლებში გადადიოდნენ საცხოვრებლად“ (რ. თოფჩიშვილი. საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები. თბ., 1997, გვ. 221-222.) – სამართლიანად მიუთითებს ისტორიკოსი როლანდ თოფჩიშვილი. როგორც ვხედავთ XIX ს–ის პირველ ნახევარში ოსები საფუძვლიანად დამკვიდრნენ შიდა ქართლის, როგორც მთიანეთში ასევე მთისწინა ზოლში, რითაც ნოყიერი ნიადაგი შეამზადეს ქართლის ბარის რაიონების ,,ასათვისებლად“.

§2.ოსთა განსახლება შიდა ქართლში XIX ს–ის მეორე ნახევარში

კავკასიის მთიანეთიდან ოსების მოძრაობა შიდა ქართლის ბარის ტერიტორიაზე მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობში დადსტურებული მოვლენაა. იგი შედარებით მეტ მასშტაბს იძენს XIX ს–ის მეორე ნახევარში, რუსეთის იმპერიაში წარმოებული რეფორმების შემდეგდროინდელ პერიოდში, კერძოდ ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, ეს პროცესი ძირითადად ეკონომიკური და პოლიტიკური ხასიათის მოვლენა გახლავთ, რაც განპირობებული იყო ახალი საზოგადოებრივ–ეკონომიკური ფორმაციის დანერგვით. ქვეყანაში ფეხს იკიდებდა ბურჟუაზიულ–კაპიტალისტური წყობა თავისი თანმდევი დამახასიათებელი თავისებურებებით.

ფულად სასაქონლო ურთიერთობის განვითარებამ, გლეხთა ფენის დიფერენციაციამ, გლეხთა მიერ იურიდიული თავისუფლების მოპოვებამ, ფულადი მიმოქცევის მნიშვნელივანმა ზრდამ და სახელმწიფო გადასახადების კომუტაციამ განაპირობა მოსახლეობის მიგრაციული პროცესების შედარებით ფართო განვითარება სოფლიდან – სოფელში და ქალაქის მიმართულებით. 1843–1845 წლებში გატარებული საფინანსო რეფორმით ყველა კატეგორიის გლეხს (საბატონო, საეკლესიო, სახაზინო) სახელმწიფოსთან ანგარიში მხოლოდ ფულით უნდა გაესწორებინა, რაც გლეხს ძალზედ მძიმე მდგომარეობაში აყენებდა. თუ გლეხი აქამდე ნატურით ახდენდა ანგარიშსწორებას, ახლა იძულებული იყო თავის მიერ წარმოებული პროდუქცია ჯერ ბაზარზე გაეყიდა და შემდეგ ფული გადაეხადა მებატონისათვის, ამან კი გლეხი აიძულა ბაზარს დაკავშირებოდა და საშოვარზე გასულიყო.

მრავალგვარი ვალდებულებით გადატვირთული უმიწო და მცირემიწიანი გლეხები ქალაქებში მიდიოდნენ იმ მიზნით, რათა მძიმე შრომით ეშოვათ ფული

მემაულესა და ხაზინის გასასტუმრებლად, ოჯახის წევრების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V , თბ., 1970, გვ. 51.)

სასაქონლო–ფულადი ურთიერთობის განვითარება იწვევდა გლეხთა მესარეწეობასა და გარე საშოვარზე გასვლას, ძირითადად დიდ ქალაქებში. ამ მოვლენას ეხება გ. წერეთლის ერთი პუბლიცისტური წერილი, რომელიც 1873 წელს გამოქვეყნდა ჟურნალ ,,კრებულში" – ,,საცა არ გაიხედავ, ყველგან შენიშნავ უცხო ამბებსა ამ ჩვენს პაწაწინა ქვეყანაში. მიხვალ სურამის სტანციაზე და იქ დაგხვდებიან იმერლები, რომელნიც გზაზე გადასარბენ ცეცხლის ეტლს ეშმაკივით ებღაუჭებიან და როგორც უნდათ და საითაც უნდათ, იქით წაიყვანენ. იქვე გადმოხვალთ ცეცხლის ეტლითგან და შეხედავ მეკურტნეებს... ,,ბატონო მიბოძეთ თქვენი ბარგი, მოვიკიდებ ზურგზე და გასტინიცისკენ გავშპები" – ეს გურულებია. იი, დიდება შენთვის ღმერთო, გურული და მეკურტნე, ეს რა ამბავია. გურულს იარაღი ხელში და წინ მტერი, – აი, მისი საქმე... უწინ რომ გურულისათვის კურტანი მიგეცა, თოფს გესროდა; ახლა კი თვითონ გეხვეწება, მიბოძე მე წავიღებო, და თან კურტანსაც იკიდებს. გახვალ ბაზარში და შეხვალ ცეცხლის გემზე. იქ მატროსი ვინ არის? მეგრელი ან იმერელი... იქიდან ჩაჯდები ცეცხლის ეტლში და წამოხვალ. გზაზე ხონელი მიდის, ძარში ქათმები დაუმწყვდევია და კალათები კვერცხით აქვს სავსე..." (იქვე , გვ. 13–14.)

როოგრც ვხედავთ, ახალმა საზოგადოებრივმა ფორმაციამ აამოძრავა მოსახლეობა, გლეხობამ საფლიდან ქალაქს მიაშურა და იქ სავაჭრო საქმიანობა დაიწყო. ანუ გარე საშოვარზე გავიდა.

1842 წლის კამერალური აღწერით საინტერესო მასალები მოგვეპოვება ქ. ცხინვალის შესახებ. აღწერის მიხედვით, იმ დროისათვის ცხინვალში 120 კომლი სახელმწიფო გლეხი ირიცხებოდა, რომელთაგან მიწათმოქმედებას 50 კომლი ანუ 41.6% ეწეოდა. დანარჩენი 70 კომლი ანუ 58.4% ვაჭრობით იყო დასაქმებული. (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V , თბ., 1970, გვ. 50.)

ასევე საინტერესოა, ახალგორის მაგალითიც, სადაც ჯერ კიდევ 1831 წლის აღწერით, ირიცხებოდა 98 კომლი საბატონო გლეხი, რომელთაგან 96, ანუ საერთო

რაოდენობის 97.9%, თავის ერთადერთ საქმიანობად ვაჭრობას, მესარეწაობასა და დღიურ ქირაზე გასვლას თვლიდა. იმავე ახალგორში 10 სახაზინო გლეხი ცხოვრობდა და ათივე არასამიწათმოქმედო შრომით ირჩენდა თავს. (იქვე, გვ. 51.) მაშასადამე, ახალგორი მთლიანად მესარეწე გლეხებით დასახლებულ სოფელს წარმოადგენდა.

გლეხების ასეთმა მასიურმა გასვლამ საშოვარზე, გაზარდა ქალაქის მოსახლეობა და შესაბამისად, ეს იწვევდა სამიწათმოქმედო მეურნეობის დაცემას.

აღსამნიშნავია, რომ ქალაქის მოსახლეობის ზრდა მიმდინარეობდა უმთავრესად და პირველ ყოვლისა თვით საქართველოს სოფლის მკვიდრთა ხარჯზე. (იქვე, გვ. 7.) საქალაქო ცხოვრების განვითარების პარალელურად და მასთან ერთად მიმდინარეობდა ქალაქების მოსახლეობის აბსოლიტური ზრდა. საკმარისია ითქვას, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების (თბილის, გორი, თელავი, სიღნაღი, დუშეთი) მოსახლეობა 1821-1865 წლებში გაიზარდა 4–ჯერ და მეტად (22513 სულიდან 93336 სულამდე). განუხრელად იზრდებოდა ქალაქების მობინადრეთა ხვედრითი წონა, რაც აღმოსავლეთ საქართველოში 1821 წელს უდრიდა 12.2%–ს, 1865 წელს კი 18.3%–ს. დასავლეთ საქართველოშიც საქმე გვაქვს ქალაქური ცხოვრების შემდგომ გავითარებასთან, თუმცა მისი ტემპები და მასშტაბები გაცილებით უფრო ნელი და ზომიერი იყო. (იქვე , გვ. 7.)

საქართველოს ქალაქების მოსახლეობის ზრდის ტემპები გაგრძელდა რეფორმის შემდგომ 80-90-იანი წლების მიჯნაზე, მაგალითად, – 1886 წელს საქართველოს ქალაქების მცხოვრებთა რაოდენობა 175069 სულს უდრიდა, 1897 წელს ამ ციფრს საგრძნობლად გადააჭარბა და 300590 მიაღწია, ე.ი. სულ რაღაც 11 წლის განმავლობაში 71.7%–ით გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ ქალაქების მობინადრეთა ზრდის ტემპი გაცილებით უფრო სწრაფი იყო, ვიდრე სოფლის მოსახლეობისა. პირველი მეორეს ოთხჯერ უსწრებდა. (იქვე გვ. 14.)

ქვეყანაში მიმდინარე პროცესები თავისთავად შეეხო შიდა ქართლის ოსურ მოსახლეობასაც. ისინიც ხშირად გადიოდნენ საშოვარზე, რადგან ეს მათაც აძლევდა ხელს. საშოვარზე გასვლა მატერიალური მდგომარეობის გამოსწორების ერთ-ერთი

საშუალება იყო ოსებისთვისაც. ამის შესახებ გ. თოგოშვილი წერს: – ,,საშოვარზე გასვლა გლეხთა კეთილდღეობის ერთ–ერთი მთავარი წყაროა. მთის სოფლებში მოსავლის აღება უფრო გვიან იწყება, ამიტომ ოსები მიდიან მოსავლის აღებაზე, ამიერკავკასიის სხვადასხვა ადგილებში. სოფლების ძამოღის, ზღუბირის, კიმასის, სბას, საზელეთის, ჭვრივის და შუა ერმანის მოსახლეობა ზაფხულში თერგის ოლქში მიდის, დანარჩენი სოფლების მცხოვრებნი კი - გორის, დუშეთის და თბილის მაზრებში. ზამთარში ზემო ჩამოთვლილი შვიდი სოფლის მცხოვრებნი, აგრეთვე ბელოთის, გერის და ლარსის მოსახლეობა მიდიან საქართველოს სამხედრო გზაზე, სადაც მუშა თავის ხარჯით - 15–ს, სახელმწიფო ხარჯით კი 10 მანეთს იღებს თვეში. ისინი აქ ექვსი თვის განმავლობაში რჩებიან და გზის გაწმენდაზე მუშაობენ. სხვა ოსური სოფლების მცხოვრებნი ზამთარში მიდიან გორსა და დუშეთის მაზრებში, სადაც ბაღებში დღიურად მუშაობენ. ბევრი ახალგაზრდა ოსი შედის საერობო დაცვის სამსახურში. ოსი ქალებიც დროებით სტოვებენ სამშობლო და მიდიან ამიერკავკასიის სხვადასხვა ქალაქებში, სადაც მათ ქირაობენ ძიძებად და შინა მოსამსახურეებად. შეიძლება თამამად ითქვას, რომ 80–იან წლებში ქ. თბილის ძიძების 3/5 ოსის ქალებია.“ (გ. თოგოშვილი. ქართველი და ოსი ხალხის ურთიერთობა. 1801–1921, თბ., 1969, გვ. 57.)

საყურადღებოა აკად. გ. ჩიტაიას შეხედულება, მთის მოსახლეობისათვის დამახასიათებელ მიგრაციულ პროცესების თავისებურებებზე. იგი აღნიშნავს, რომ – ,,თავისთავად მოსახლეობის მოძრაობის პროცესი მთიდან მთისძირსა და ბარში მეტად საგულისხმო გარემოებას წარმოადგენს, ვინაიდან ეს მოვლენა დაკავშირებულია ალპური ლანდშაფტის მეურნეობის თავისებურებებთან. ეს თავისებურება პრიმიტიული, არა ინტენსიური მეურნეობის არსებობის პირობებში ქმნის მოსახლეობის რაოდენობი სტაბილობას, რომლის ნამატი იძულებულია მთიდან გადმოსახლდეს... ცნობილია, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქცია მთაში განსაზღვრულია იმდენად, რომ ამ ზოლის მოსახლეობის სიმჭიდროვე მთელ მსოფლიოში მეტად მცირეა... ამის გამო, როგორც კი მთის ზოლის მოსახლეობა

მიაღწევდა თავის სააზღვრებს, მოსახლეობის ზედმეტი რაოდენობა იძულებული იყო პირველ რიგში მთის ძირში გადმოსახლებულიყო, სადაც ნაწილობრივ, ამის გამო, მოსახლეობის სიმჭიდროვე მაღალ დონეს აღწევდა. შემჩნეულია, რომ მეტად შემჭიდროვებული სოფლის მოსახლეობა მსოფლიოში უმეტესად მთის ძირის ზოლს ეკუთვნის. (გ. ჩიტაია. ქსნის ხეობის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მოკლე ანგარიში. ენიმკის მოამბე IV, ტფილისი,1939, გვ. 284.)

ეს ზოგადი განსაზღვრება ჩვენი აზრით, ზედმიწევნით ზუსტად მიესადაგება შიდა ქართლის მთიანეთში და მთისწინა ზოლში განსახლებულ ოს მოსახლეობას, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მთელი მე-19 საუკუნის და განსაკუთრებით მისი მეორე ნახევრის 70 –იანი წლების მიჯნაზე განიცდის მიგრაციულ პროცესებს შიდა ქართლის სამხრეთით მდებარე ბარის რაიონებისაკენ, საიდანაც აგრძელებენ გადასახლებას საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში.

ოსების სამხრეთით მოძრაობის გასაანალიზებლად, მისი მასშტაბების წარმოსადგენად, საყურადღებოა ეთნოგრაფი რ. თოფჩიშვილის მიერ წარმოებული კვლევა, სადაც დეტალურადაა წარმოდგენილი შიდა ქართლის მთიანეთის, დიდი და პატარა ლიახვის ხეობების ოსი მოსახლეობის მიგრაციული პროცესები, როგორც რ. თოფჩიშვილი წერს: – ,,1886 წლის საოჯახო სიებით, მდინარეების დიდი ლიახვის და პატარა ლიახვის ხეობების 76–ზე მეტი სოფლიდან XIX ს–ის 60–70–იან წლებში 1340 კომლზე მეტი ოსი აყრილა და ბარის სხვადასხვა სოფელში დამკვიდრებულა. რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ორვე ლიახვის მთიან ნაწლში არ დარჩენილა სოფელი, საიდანაც, აღნიშნული დროის მონაკვეთში ოსები არ გადმოსახლებულიყვნენ, ბევრი სოფელი ფაქტიურად დაიცალა, ბევრში კი მოსახლეობა განახევდრა. ნიშანდობლივია ისიც, რომ XIX ს–ის მოსახლეობის აღწერის დავთრებში დიდი ლიახვის და პატარა ლიახვის ხეობებში მცხოვრები ოსების საკმაოდ დიდი ნაწილი ხიზნის კატეგორითაა ჩაწერილი, რაც თავისთავად მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ისინი აქ მკვიდრ მოსახლეობას არ წარმოადგენენ და არც თუ ისე დასახლებულნი იყვნენ. მაგალითად, ხიზანი იყო სოფ. კოშკში

ფიქსირებული 169 კომლი ოსი, რომელთაგან 113 კომლი ფაქტიურად ამ სოფელში აღარ მკვიდრობდა და ბარის სხვადასხვა სოფელში იყო განსახლებული“. (რ. თოფჩიშვილი. საქართველოსი ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები. თბ., 199, გვ. 194-195.) როგორც ვხედავთ, დიდი და პატარა ლიახვის ხეობაში მცხოვრები ოსური მოსახლეობა, რომელბიც საკუთარი სამოსახლოდან აყრილან და ქართლის ბარის სხვადასხვა სოფლებში ჩამოსახლებულან, საკმაოდ სოლიდურ რიცხვს, 1340 კომლზე მეტს შეადგენდნენ. აღნიშნული რაოდენობის უტყუარობა სხვადასხვა წყაროებიდანაც დასტურდება. მათ შორის საინტერესოა ოსი მკვლევარია პ. ვ. დოგუზოვის მონაცემებიც, რომლის მიხედვით შემდეგი სურათია წარმოდგენილი: – ,, ბელოთის საზოგადოების 583 საგადასახადო კომლიდან გადასახლდა 206 კომლი, ორტევის საზოგადოების 906 კომლიდან – 483, როკის 732 კომლიდან – 392, ჯავის საზოგადოების 1178 კომლიდან – 451, ყემულეთის 398 კომლიდან – 194 კომლი, მთლიანად გადასახლებულა ორტევის სასოფლო საზოგადოების სოფ. კობიასა და ჯავის ხეობის სოფელ ელბაჩითის ყველა მცხოვრები“. (П.В.Догузов, револ. Движение в Юго-Осетий в консе XIX В НАЧАЛЕ XX В.В. Сталинир, 1960, с. 62.)

პ.ვ. დოგუზოვის წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით აღნიშნული სოფლებიდან გადასახლებულთა საერთო რაოდენობა 1726 კომლს უდრიდა. თუ შევადარებთ რ. თოფჩიშვილის მონაცემებს (1340 კომლზე მეტი), პ.ვ. დოგუზოვის ინფორმაციას (1726 კომლზე მეტი), ვნახავთ, რომ სხვაობა ამ ორ მონაცემებს შორის არც თუ ისე დიდია და დაახლოებით 400 კომლს უდრის, რაც არსებითად ვერ ცვლის ზოგად სურათს.

ორიოდე სიტყვით გვინდა შევჩერდეთ, საქართველოში მაცხოვრებელი ოსური მსოახლეობის მთლიანი რაოდენობის შესახებ მე–19 საუკუნის მეორე ნახევარში, რადგან ამ საკითხის გაანალიზება იძლევა საშუალებას ოსთა საქართველოში მიგრაციის მასშტაბებისა. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ XIX ს–ის პირველ ნახევარში საქართველოში სავარაუდოდ 14–15 ათასი სული ოსი ცხოვრობდა. ეს რიცხვი იმავე

ასწლეულის მეორე ნახევარში საგრძნობლად გაიზარდა, რის მიზეზებზეც უკვე გვქონდა საუბარი. ბროკჰაუზისა და ეფრონის ენციკლოპედიათა საფუძველზე, საინტერესო დასკვნები შემოგვთავაზა ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორმა ანზორ თოთაძემ. კეროდ: – ,, 1860 წელს ჩრდილოეთ ოსეთში მცხოვრები ოსების რაოდენობა 47 ათასს უდრიდა, ხოლო საქართველოში კერძოდ ქართლის მთიანეთში 19 ათასი ოსი ცხოვრობდა. ასე, რომ ამ პერიოდში ჩრდილოეთ ოსეთში 2.5-ჯერ მეტი ოსი ცხოვრობდა, ვიდრე საქართველოში. ცნობილია აგრეთვე ისიც, რომ 1833 წელს რუსეთის იმპერიაში 36 ათასი ოსი ცხოვრობდა და თუ ზემოთ აღნიშნულ პროპორციას მივიღებთ მხედველობაში, მაშინ 1833 წელს საქართველოში ოსების რაოდენობა 14 ათას უდრიდა...

1880 წელს ჩრდილოეთ ოსეთსი 59 ათასი, ხოლო საქართველოში უკვე 52 ათასი ოსი ცხოვრობდა. ასე, რომ ოცი წლის განმავლობაში – 1860 წლიდან 1880 წლამდე ჩრდილოეთ ოსეთსი ოსების რაოდენობა 12 ათასით , ანუ მხოლოდ 1.2– ჯერ გაიზარდა, ხოლო საქართველოში 33 ათასით, ანუ 2.7–ჯერ ... ჩრდილოეთ ოსეთში 47 ათასი ოსი 20 წლის მანძილზე მხოლოდ 12 ათასით გაიზარდა, ხოლო საქართველოში გაცილებით მცირე რაოდენობის ოსებმა, კერძოდ 19 ათასმა 33 ათასით მოიმატა... ამ პერიოდში ჩრდილოეთ ოსეთიდან საქართველოში საცხოვრებლად ოსები დიდი რაოდენობით გადმოდიან. ჩვენ ზუსტად შეგვიძლია განვსაზღვროთ საცხოვრებლად გადმოსული ოსების რაოდენობა. კეძოდ, ცნობილია , რომ გასული საუკუნის 70–იან წლების ბოლოს საქართველოში ყოველ ათას ოს მოსახლეზე გაანგარიშებით საშუალოდ წელიწადში 35.7 ბავშვი იბადებოდა და 14.3 კაცი კვდებოდა. ასე, რომ ბუნებრივი მატება ოსებში ყოველ ათას სულზე 21.4 კაცს შეადგენდა. ამასთან თუ 1860 წელს საქართველოში ოსების რაოდენობა 19 ათას, ხოლო 1880 წელს 52 ათასს უდრიდა... ამრიგად, ერთი წლის განმავლობაში საქართველოში ოსების ბუნებრივი მატება 749 კაცს შეადგენდა (35 X 21.4), ხოლო 20 წლის განმავლობაში 14980 კაცს. ამდენად, თუ 1860–1880 წლებში ოსების რაოდენობა საქართველოში 33 ათასი კაცით გაიზარდა და აქედან ბუნებრივი მატება 14980 კაცს შეადგენდა, მაშინ ცხადია, დანარჩენი 18020 ოსი, ანუ თითქმის

იმდენივე, რამდენი ოსიც საერთოდ ცხოვრობდა საქართველოში 1860 წელს, გადმოსახლებულია ჩრდილოეთ ოსეთიდან. აქ ერთი არსებითი მომენთიც უნდა მივიღოთ მხედველობაში. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ 1870–იან წლებში საქართველოში მცხოვრებ ყოველ ათას ოსზე წლის განმავლობაში 14.2 ოსი კვდებოდა. მოკვდავობის ეს მაჩვენებელი უაღრესად დაბალია იმ პერიოდისთვის... ამ მოვლენის ასახსნელად ის უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩრდილოეთ ოსეთიდან საქართველოში საცხოვრებლად გადმოდიოდა ძირითადად მხოლოდ ახალგაზრდა და აგრეთვე შუახნის ასაკის მოსახლეობა, რომელთა შორის სიკვდილიანობა დაბალია“. (კრებულის ,,ოსთა საკითხები“, თბილისი, 1996, გვ. 210-211.)

ამრიგად, როგორც თვალნათლივ ჩანს, ოსების ჩამოსახლება შიდა ქართლის ასევე საქართველოს სხვა რეგიონების ტერიტორიაზე, განსაკუთრებულ მასშტაბებს იძენს მეცხრამეტე საუკუნის 60–90-იან წლებში. უნდა შევნიშნოთ, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში, ოსთა ჩამოსახლება და ამ პროცესის განსაკუთრებით გააქტიურება XIX ს–ის მეორე ნახევარში, ხასიათდება ძირითადად როგორც ეკონომიკური ხასიათის მოვლენა, რაც სავსებით რეალურია, თუმცა ამ მოვლენის დაკონკრეტება და მასში უფრო ღრმად ცახედვის მცდელობა არ ყოფილა. ამ კუთხით საკითხი ჯერ კიდევ საკმაოდ შესასწავლია. სწორედ ამიტომ, ჩვენ შევეცადეთ გაგვეანალიზებინა XIX ს–ის მეორე ნახევარში ოსთა მიგრაციის გააქტიურების ძირითადი მიზეზები, რათა უფრო კონკრეტული ფორმა მიგვეცა საკითხისათვის. ჩვენ ხელთ არსებული მასალების საფუძვლიანად შესწავლის შედეგად მივედით დასკვნამდე, რომ ოსების გადმოსახლება ან უფრო სწორად მათი ჩამოსახლება შიდა ქართლის მთიანეთიდან და მთის წინა ზოლიდან უფრო სამხრეთით ანუ ქართლის ბარში მდებარე ტერიტორიებზე, გამოწვეული იყო ბატონყმური წყობილების რღვევით და ქვეყანაში ახალი საზოგადოებრივ–ბურჟუაზიული ურთიერთობის დანერგვით, ასევე იურიდიული თავისუფლების მოპოვებით.

ფულად–სასაქონლო ურთიერთობის მნიშვნელოვანმა განვითარებამ გამოიწვია ქალაქის მოსახლეობის გაზრდა და ეს პროცესი მიმდინარეობდა ძირითად სოფლის

მოსახლეობის ხარჯზე. ეს კი იწვევდა შიდა ქართლის (და არა მარტო შიდა ქართლის) ბარის სოფლების გამეჩხერებას ანუ ნასახლარების გაჩენას, რითაც დაუყონევლივ სარგებლობდა მთაში და მთისწინეთში (უპირატესად) მოსახლე ოსური მოსახლეობა. თავდაპირველად ოსური მოსახლეობა ინდივიდუალური განსახლების პრინციპით სახლდებოდა ასეთ ადგილებში, ანუ მთიანი რაიონებიდან ოსური მოსახლეობის მასიურად აყრას და შიდა ქართლის ბარის რაიონებში ჩამოსახლებას ადგილი იშვიათად ჰქონდა, მაგრამ იმდენად გახშირდა მათი ინდივიდუალური გადმოსახლება, რომ ბევრი ისტორიულად ქართული სოფლებისაგან მხოლოდ სახელიღა შემორჩა ქართული, მაგალითად: ყორნისი, ველები, გვრიგვინა, წუნარი, მსხლები, გუფთა, ღრომი, დმენისი, ხელჩუა, სარაბუკი და სხვა. ეს სია საკმაოდ გრძელია.

მაშასადამე, ქართლის ბარის რაიონის ქართული სოფლების მოსახლეობის მიგრაციას ქალაქისაკენ და მათ ადგილებზე შესაბამისად ოსური მოსახლეობის განსახლებას ხელს უწყობდა ქართულ საზოგადოებაში ახალი, კაპიტალისტურ–ბურჟუაზიული ურთიერთობის ჩასახვა, კერძოდ:

1. ფულადი მიმოქცევის მნიშვნელოვანი ზრდა;
2. სახელმწიფო გადასახადების კომუტაცია;
3. გლეხთა ფენის დიფერენციაცია;
4. გლეხთა მიერ იურიდიული ანუ პოლიტიკური თავისუფლების მოპოვება.

ჩვენ მიერ ჩამოთვლილი ოთხი ძირითადი მომენტი იწვევდა გლეხთა მასიურად გარე საშოვარზე გასვლას, რაც ოსთა ქართლის თემებში ჩამოსახლების პროცესის განმსაზღვრელ ფაქტორად იქცა და აღნიშნული მოვლენა მნიშვნელოვნად დააჩქარა, რის გამოც, ქართლის ბარის ტერიტორიაზე არსებულ სოფლებში XIX საუკუნის მეორე ნახევარში საკმაოდ მნიშვნელოვნად შეიცვალა ეთნიკური სურათი.

თავი III

ოსთა განსახლება შიდა ქართლში XX ს-ის პირველ მეოთხედში

XX საუკუნის დასაწყისში ოსთა მიგრაცია შიდა ქართლში არ შეწყვეტილა. იგი, შეიძლება ითქვას, XIX საუკუნის მეორე ნახევრის ინერციით გაგრძელდა. ჩვენი ნაშრომის მეორე თავში აღნიშნული გვაქვს, რომ მე–19 საუკუნეში ოსთა განსახლების არეალი შიდა ქართლში საგრძნობლად გაფართოვდა. იგი მოიცავდა – დიდი და პატარა ლიახვის ხეობებს, ქსნის ხეობას, მეჯუდას ხეობას და ფრონეების ხეობებს. ამას გარდა, ოსები ინდივიდუალური განსახლების პრინციპით სახლდებოდნენ ჩამოთვლილ ხეობათა ქვემო წელზეც, ანუ ქართლის შიდა რაიონების სოფლებში, სადაც ამისათვის ხელსაყრელი პირობები არსებობდა.

XX საუკუნის ოციან წლებამდე ოსთა მიგრაციის მასშტაბი განსაკუთრებულად არ გაზრდილა. ეს პროცესი მნიშვნელოვნად დაჩქარდა ე.წ. ,,სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ შექმნიდან, რომელიც 1922 წლის 20 აპრილს გაფორმდა ცენტრით ქალაქ ცხინვალში. აღნიშნულმა გარემოებამ განაპირობა ოსური მოსახლეობის მასიურად ჩამოსახლება ცენტრალური საქართველოს ანუ შიდა ქართლის ტერიტორიაზე.

ჩვენ დეტალურად არ განვიხილავთ ,,სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ წარმოქმნის სამართლებრივ და პოლიტიკურ ასპექტებს, ამ საკითხს სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა ლ. თოიძემ. (იხ. ლ. თოიძე, როგორ შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, თბ., 1991) მაგრამ დავძენთ, რომ აღნიშნული ავტონომიის შექმნის შედეგად საქართველოში ოსთა დამკვიდრების პროცესში ძირეული გარდატეხა მოხდა, რის გამოც არაერთი ქართული სოფლისა და განსაკუთრებით ქალაქ ცხინვალის ეთნიკური სურათი მკვეთრად შეიცვალა ოსური მოსახლეობის სასარგებლოდ. მეტი სიცხადისათვის განვიხილოთ ქალაქ ცხინვალის ფონზე განვითარებული მოვლენები.

ჯერ კიდევ XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს: – ,, დიდის ლიახვის კიდეზედ არს მცირე ქალაქი ქრცხილვანი, კეთილ–ჰაოვანი, მსახლობელნი არიან ქართველნი . სომეხნი და ურიანი“ (.ვახუშტი, არწერა

სამეფოსა საქართველოსა, ნ. ბერძენიშვილის და თ. ლომოურის რედ., თბ., 1941 წ., გვ. 76), როგორც ვხედავთ, ვახუშტი არ იხსენიებს ოსურ მოსახლეობას, რადგან ქალაქში მაშინ ოსური მოსახლეობა არ არსებობდა. როგორც 1770 წლის 5 აპრილს ქართლ–კახეთის სამეფოს აღწერიდან ირკვევა, მაშინდელი ცხინვალის მაცხოვრებლები ივნენ: ქართველები, სომხები და ებრაელები – ,,...არს ქალაქი ცხინვალი და ამასთან შინა მკვიდრობენ მართმადიდებელნი ქართველნი, სომეხნი, და ურიანი, ხიზნით 700 კომლი“ (ვ. გამრეკელი, ზ.ცქიტისვილი, 1770 წლის დემოგრაფიული ნუსხა, მეცნ. აკად. ,, მაცნე“ #1 , თბ., 1973 წ.) აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ XVIII საუკუნეში არც ერთი კომლი ოსი მოსახლე არ არის ცხინვალში დაფიქსირებული.

ქ. ცხინვალის მოსახლეობა ეთნიკური შემადგენლობის თვალსაზრისით არც XIX საუკუნის განმავლობაში შეცვლილა. მოსახლეობის მთელი რიგი აღწერები ადასტურებენ, რომ ცხინვალში ძირითადად ცხოვრობდნენ ქართველები, სომხები და ებრაელები.

1886 წლის კამერალური აღწერის მიხედვით, ქალაქ ცხინვალში არც ერთი ოსი მოსახლე არ იყო. საოჯახო სიების მიხედვით, ქალაქში ცხოვრობდა 3832 კაცი, აქედან 1135 – ქართველი, 1953 – ებრაელი და 744 – სომეხი. (.კრებული ოსთა საკითხი, ა. ბაქრაძისა და ო. ჩუბინიძის რედ. თბ., 1996 წ., გვ. 215)

XX საუკუნის დასაწყისში სიტუაცია ქ. ცხინვალში ოდნავ იცვლება და პირველი ოსური ოჯახები აღირიცხებიან. ასე მაგალითად, 1917 წლის მონაცემებით, ცხინვალის მოსახლეობა ეროვნებათა მიხედვით შემდეგ სურათს იძლევა: ქართველი 310 კომლი; ებრაელი – 346; სომეხი – 160; ოსი – 80 კომლი და ლეკი – 4 კომლი; სულ – 900 კომლი. (.მ.ცოტნიაშვილი, ცხინვალის ისტორია, ცხინვალი, 1986 წ., გვ. 205)

როგორც ირკვევა, XX საუკუნის 20–იან წლებამდე ცხინვალში ოსური მოსახლეობის ძალზედ უმნიშვნელო ნაწილი ცხოვრობდა. მეტი თვალსაჩინოებისათვის განვიხილოთ შემდეგი აღწერების შედეგები, რომლის მიხედვითაც დავწრმუნდებით, რომ ქ. ცხინვალში ოსური მოსახლეობის ძირითადი მატება მოხდა ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნის შემდგომ: – ,,სრულიად საქართველოს ქლაქთა

მოსახლეობის 1922 წლის აღწერის მიხედვით, ცხინვალში უკვე ძირითადად მთის სოფლებიდან ჩამოსული 613 ოსი ცხოვრობდა. ეს იქედანაც ჩანს, რომ აღწერის მიხედვით ცხინვალის ოსი მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მოსულია და მათგან ერთ მესამედს ერთი წელიც კი არ უცხოვრია ცხინვალში“ (კრებული ოსთა საკითხი, გვ 216). იმავე აღწერის მიხედვით ცხინვალის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა შემდეგ სურათს იძლევა: – ქართველი 1436 სული; ებრაელი – 1651 სული, ოსი – 613 სული; რუსი – 64 სული, სულ – 4543 კაცი.

როგორც ვხედავთ, 1917 წლის აღწერის შედეგები დიდად არ განსხვავდება 1922 წლის აღწერისაგან. ამ ორ აღწერას შორის არსებულ ხუთწლიან მონაკვეთში ოსური მოსახლეობის ნამატი ქ. ცხინვალში ძალზედ უმნიშვნელოა. ქალაქის ძირითად მოსახლეობას მაინც ქართველები, სომხები და ებრაელები შეადგენენ.

ოსური მოსახლეობის ზრდა განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში ანუ 1922–1926 წ.წ. მონაკვეთში. ამ პერიოდში საკმაოდ გაიზარდა ოსური მოსახლეობა, იგი ოდნავღა ჩამორჩებოდა ქართველ და ებრაელ მოსახლეობას და მნიშვნელოვნად უსწრებდა სხვა დანარჩენი ეროვნების რაოდენობას. 1926 წ. აღწერის მასალების მიხედვით ირკვევა, რომ ამ დროს ცხინვალში ცხოვრობსა – ,, ქართველი – 1920, ებრაელი – 1772, ოსი – 1152, სომეხი – 827, რუსი – 114 სული, ხოლო ქალაქის მთლიანი მოსახლეობის საერთო რაოდენობა გახლდათ – 5818 სული“ (კრებული ოსთა საკითხი, გვ. 216).

რით შეიძლება აიხსნას ოსების ასეთი სწარაფი ტემპით ზრდა ქალაქ ცხინვალში? – უპრველესად იმ გარემოებებით, რომ 1918–1921 წ.წ. ოსები აქტიურად გამოდიოდნენ ქართული მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ. ამ პეიოდში ოსებმა სამი სერიოზული აჯანყება მოაწყვეს საქართველოს დამოუკიდებელი სახლემწიფოსა წინააღმდეგ. ისინი არბევდნენ ქართულ სოფლებს, იტაცებდნენ მოსახლეობას და სხვ.

ოსების გამოსვლები და აჯანყებები დამარცხებული იქნა. ბუნებრივია, ეს გარემოება აძლიერებდა ოსების რევანშისტულ განწყობილებას ქართველებთან. ამას თან ერთვოდა ის ფაქტიც, რომ როდესაც მზადდებოდა გადაწყვეტილება ,,სამხრეთ ოსეთის

ავტონომიური ოლქის“ შექმნის შესახებ ცენტრით ცხინვალში, ქართული სოფლების და თავად ქ. ცხნვალის მოსახლეობის გამძაფრებულ წინააღმდეგობას წააწყდნენ ამ იდეის ინიციატორები. 1921 წლის ნოემბერში ქართულმა სოფლებმა: – კეხვმა, ძარწემმა, ქვემო აჩაბეთმა, ზემო აჩაბეთმა, არბომ, ზემო ხვითმა, ავნევმა, ნულმა, ყელქცეულმა, ქურთამ, ვანათმა, თამარაშენმა და თით ცხინვალმა – წარმოგზავნა წერილობითი მოთხოვნები შსს კომისარიატში, სადაც ნათქვამია: ,, ...სჯობს ცოცხლად დაგვხოცოთ, სადმე აქედან გადაგვასახლოთ, ვიდრე ოსეთის ხელისუფლების ქვეშ დაგვტოვოთო“. (საქ. უახლესი ისტორიის ცენტ. სახე. არქივი, ფ. 284, ანწ. I , საქ.62 ფურ. 81)

ხვდებოდა რა საკითხის სიმწვავეს, თვით ოსების რევკომს ძალზედ ფრთხილი პოზოცია ეკავა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და გამოთქვამდა აზრს, რომ ,,... ჩვენ ნამდვილი ცნობები გავქვს მიღებული და ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ სისიხლისღვრა მოსალოდნელიაო“. (საქ. უახლესი ისტორიის ცენტ. სახე. არქივი, ფ. 284, ანწ. I , საქ.62 ფურ. 85)

როგორც ვხედავთ, ქართველებსა და ოსებს შორის საკმაოდ დიდი დაპირისპირებას ჰქონდა ადგილი. ბუნებრივია, როცა შეიქმნდა ავტონომიური ოლქი 1922 წლის 20 აპრილს ოსური მოსახლეობა პრივილიგებულ სიტუაციაში აღმოჩნდა. ამან განაპირობა ის ფაქტი, რომ 1922 წლის შემდგომ პერიოდში ქ. ცხინვალსა და საერთოდ ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მთელ ტერიტორიაზე განუხრელად იზრდება ოსური მოსახლეობა. რაც 1926 წლის ქ. ცხინვალის აღწერითაც დასტურდება. საინტერეოსა 1956 წლის ქ. ცხინვალის მოსახლეობის ეთნიკური სურათიც, სადაც ოსური მოსახლეობა აბსოლიტურად სჭარბობს ყველა დანარჩენს, კერძოდ: ოსი მოსახლეობის რცხვია – 12432; ქართველი – 4652 სული; ებრაელი – 1649; სომეხი – 860; რუსი – 1583 სული; მთლიანი მოსახლეობის ჯამი – 21641 სული. (კრებული ოსთა საკითხი, ა.ბაქრაძისა და ო. ჩუბინიძის რედ. თვილისი–გორი, 1996 წ. გვ 216) აქვე აღვნიშნავთ, რომ ოსური მოსახლეობის რაოდენობა ცხინვალში 1970 წ. ადრიდა – 20846 სულს (იქვე, გვ 216), ხოლო 1989 წლის აღწერის მიხედვით – 31537 სულს, როცა ამავე პერიოდში ქ. ცხინვალის ქართული მოსახლეობის რიცხვი 6905 სულს ითვლის. (იქვე, გვ. 216)

აღნიშნული მასალიდან ნათელია, რომ ქ. ცხინვალის ოსური მოსახლეობა განუწყვეტლივ იზრდებოდა, 1922 წელს შექმნილი ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნის შედეგად. ოსების ძირითად დასაყრდენს ადრე თუ ჯავა წარმოადგენდა, XX საუკუნის პირველი მეოთხედის ბოლოსათვის ასეთ საყრდენად ქ. ცხინვალი იქცა. ოლქის შემადგენლობაში ცხინვალის შეყვანა, სადაც ქართული მოსახლეობა ბევრად აღემატებოდა ოსურს, თავისთავად ბოლშევიკების პოლიტიკიდან ნაკარნახევი ნაბიჯი გახლდათ. ისინი ცდილობდნენ ოსების სახით ძლიერი პლაცდარმი ჩამოეყალიბებინათ საქართველოში, საკუთარი მიზნების განსახორციელებლად. მაშასადამე, თუ ოსების საქართველოში ჩამოსახლების ხასიათს დავუკვირდებით ხსენებულ პერიოდში, აღმოჩნდება, რომ წინა XVII-XVIII-XIX საუკუნეებისაგან განსხვავებით, როცა ოსების მიგრაციული პროცესების ძირითადი მიზეზები ეკონომიკური ხასიათის მოვლენა გახლდათ, XX საუკუნის პირველ მეოთხედში და რასაკვირველია შემდგომ ეტაპებზეც, ოსების მიგრაცია საქართველოში თვისობრივად ახალ, კერძოდ პოლიტიკურ ხასიათს იძენს. ამ აზრს ადასტურებს ის გარემობაც, რომ სამხრეთ ოსეთის ოლქის შემადგენლობაში მოაყოლეს მრავალი ქართული სოფელი, რათა აქაც ადვილად შესძლებოდათ ოსების დასახლება. მათ რიცხვს მიეკუთვნებოდა შემდეგი სოფლები: – I - ქსნის ხეობაზე 60–ზე მეტი დიდი და პატარა სოფელი (ე.ი. ხეობის 2/3–ზე მეტი ნაწილი): ახალგორი, კორინთა, ახმაჯი, იკოთი, ალევი, ბაზუაანთ–კარი, ბეჟაანთ–ტყე, ბოლი, გეხავი, ერედა, ლომისხევი, მორბედაანთ-კარი, ყანჩავეთი, ყანჩიანთ–კარი; ძეგლევი, აბრამიანი, ახალდაბა, ახლაური, გავაზი, დაბაკნეთი, დადიანეთი, დოჩიანთი, ელოიანი, ზოდეხი, იფნევი, ლევანიანი, მარტიანი, მაჭარაანი, მახიარეთი, მეწყერი, მოჩალეთი, მუნჯური, მონასტერი, საპორეთი, საძეგური, უკანუბანი, ყველადაბა, სოხთა, შველეთი, ჩიტიანი, ცხავატი, ჭორჭოხი, ხარბალი, ხოროტი, ხუციანი, თინიკაანთ–კარი, კენკაანთ–კარი, ლიტიანთ–კარი, მიდელაანთ–კარი, პავლიანთ–კარი, ქარელთ–კარი, ხოზუეთი, წიფთაური, ბუდაწვერი, გეზერვეთი, გრუა, კორინთა, ქურთა, წიროქლი, ხერკელაანთი და სხვა სულ 1450 კომლი – 8330 სული.

II - მეჯუდის ხეობაზე ოთხი სოფელი: დვალიანთ-კარი, ზემო-ვილდა, ქვემო-ვილდა, ისროლისხევი, სულ 60 კომლი,324 სული.

III - პატარა ლიახვის ხეობაზე 14 სოფელი: აწრისხევი, ბელოთი, ხოშური, საცხენეთი, დისევი, დმენისი, კულბითი, სნეკვი, ქსუისი, ჭარები, ერედვი, ფრისი, არგვიცი, სულ 634 კომლი,3692 სული.

IV – დიდი ლიახვის ხეობაზე 13 სოფელი: ცხინვალი, დგვრისი, თამარაშენი, მამისაანთუბანი, ხეითი, ქვემო–აჩაბეთი, ზემო–აჩაბეთი, კეხვი, მონასტერი, სვერი, ქემერტი, ქურთა, სულ 1330 კომლი, 7449 სული. (კრებული ოსთა საკითხი, ა.ბაქრაძისა და ო. ჩუბინიძის რედ. თბილის–გორი, 1996 წ., გვ. 361)

V - ფრონეს ხეობაზე 18 სოფელი: ოქონა, თიღვა, ალიბარი, ახალშენი, გიორგიწმინდა, ტყისუბანი, ნაბაკევი, ნელდათი, სუნისი, შინდარი, ხუნდისუბანი, ავნევი, რკნეთი, ნული, ლავანი, ბზისხევი, პატკინეთი, კოლეთი, სულ 655 კომლი, 3665 სული. ხუთსავე ხეობაში სულ ერთად 4129 კომლი, 23460 სული. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ამდენი ქართული სოფლის შეყვანა განაპირობა ჩვენი აზრით ორმა ფაქტორმა“

1. გაემართლებინათ ოსებისათვის ოლქოს სტატუსის მინიჭება. ტერიტორიული არეალის გაფართოების თვალსაზრისით.

2.მომზადებულიყო ნოყიერი ნიადაგი ოსების შემდგომი ჩამოსახლებისა ცენტრალური საქართველოს ტერიტორიაზე.

რაც შეეხება მეორე საკითხს, რუსი ბოლშევიკებისა და ოსი სეპარატისტების გათვლა სავსებით გამართლდა. საქართველოში ოსთა ჩამოსახლების მასშტაბი არასოდეს არ ყოფილა ისე დიდი, როგორც მე–20 საუკუნის ოცდაათიან წლებში და შემდეგ პერიოდში. XX საუკუნის პირველ მეოთხედს რაც შეეხება, უნდა აღვნიშნოთ, რომ ოსების მიგრაციის დონე შიდა ქართლში, შეესაბამებოდა გასული მე–19 საუკუნის მეორე ნახევრის მასშტაბებს. ოსები კვლავ ინდიდვიდუალურად სახლდებოდნენ ქართულ სოფლებში, ამავე დროს ოსები ემიგრირდებიან საქართველოს სხვა რეგიონებშიც. მაგალითად: კახეთში, ქვემო ქართლში, ბორჯომის ხეობაში და სხვა.

ოსების ჩამოსახლება დააჩქარა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მათთვის ავტონომიური ოლქის სტატუსის მინიჭებამ. სწორედ ეს მოვლენა ხდება მიზეზი საქართველოში

ოსთა მიგრაციის მასშტაბების გაზრდისა და შემდგომ ეთნიკური სურათის მკვეთრი ცვლილებისა შიდა ქართლში.

ოსთა მიგრაციის ხასიათი საქართველოში იცვლება წინა საუკუნეებისგან განსხვავებით, მეოცე საუკუნის 20-იანი წლებიდან, უფრო ზუსტად, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდგომ. იგი სოციალურ-ეკონომიკური მოვლენიდან აშკარად იღებს პოლიტიკურ ელფერს. განსაკუთრებით თვალშისაცემი ხდება ამ მოვლენის გაძლიერება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ჩამოყალიბების შემდგომ პერიოდში, როდესაც ქ. ცხინვალში, ისევე, როგორც მთლიანად სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ყოველი მომდევნო აღწერების შედეგად განუხრელად ზრდას განიცდის მხოლოდ და მხოლოდ ოსური ეთნიკური ელემენტი. ამის დასადასტურებლად შეგვიძლია შევადაროთ 1922 წლიდან 1989 წლის ჩათვლით ჩატარებული აღწერები, რომლებიც ცხადყოფს, რომ ოსთა განსახლება საქართველოში აშკარად ხელოვნური შემოქმედების ნაყოფი გახლავთ. ერთი ეთნიკური ჯგუფის მკვეთრი დაწინაურება სხვა ეროვნების მოსახლეობასთან შედარებით აიხსნება მხოლოდ არაბუნებრივი ანუ ხელოვნური ჩარევით. სახეზეა პოლიტიკური ინტერესით განპირობებული საბჭოთა რუსეთის განსაკუთრებული მხარდაჭერა ცენტრალურ საქართველოში ანუ შიდა ქართლში ჩამოსახლებული ოსური მოსახლეობისადმი. სამხრეთ ოსეთში ხელოვნურად შეიქმნა ოსური ანკლავი, რომლის უპირელესი დატვირთვა გახდა საქართველოზე სამხედრო-პოლიტიკური ზეგავლენის მოხდენა. სამხრეთ ოსეთის გეოგრაფიული მდებარეობა, მისი კონტროლი სამხედრო თვალსაზრისით, უაღესად მნიშვნელოვანი უპირატესობის მომტანი იყო რუსეთის სამხედრო ინტერესებისთვის. მასზე განლაგებული ჯარის ნაწილები უმოკლეს დროში შეძლებდნენ საქართველოს ორ ნაწილად გაყოფას. სწრაფი მოქმედების შემთხვევაში შესაძლებელი ხდებოდა აღმოსავლეთ საქართველოს სრულიად მოწყვეტა დასავლეთ საქართველოსგან. რუსეთის კავკასიური ასევე ახლო აღმოსავლეთისა და ირანი თურქეთის პოლიტიკურ პრიზმაში საქართველოს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა, ხოლო ოსური

ბასტიონი ცენტრალურ საქართველოში რუსეთს თავად საქართველოზე კონტროლის დასამყარებლად ესაჭიროებოდა. ამიტომაც მას უფრო ადრე მიანიჭა ავტონომიის სტატუსი, ვიდრე ჩრდილოეთ ოსეთს. ამ მოვლენასთან საინტერესოა გრიგოლ ლორთქიფანიძის შეფასება:

„ფორმალურად გამოცხადებული დამოუკიდებელი საბჭოთა საქართევლო ძლიერ დასერა და დაჭრა რუსეთმა პოლიტიკურად და ტერიტორიულადაც. ამ მიზნით, მან გამოაცხადა აფხაზეთის ჯერ დამოუკიდებელი, შემდეგ ავტონომიური რესპუბლიკა, ასეთივე რესპუბლიკა აჭარაში და ავტონომიური ოლქი სამხრეთ ოსეთისა... აფხაზეთის რესპუბლიკა რუსეთს სჭირდება როგორც საქართველოში შემოსავალი ჭიშკარი და საკოლონიზაციო პოლიტიკისთვის დასაყრდნობი პლაცდარმი. ასეთივე პოლიტიკურსა და სტრატეგიულ როლს აკისრებს მოსკოვის იმპერიალიზმი, ე.წ. სამხრეთ ოსეთს. თუმცა ნამდვილი ოსეთი ქედს გადაღმაა, კასრის ხეობის იქეთ, მაგრამ იქ რუსეთმა სრულიადაც არ დაინახა საჭიროდ შეექმნა წმინდა ოსური სახელმწიფოებრივი ორგანიზმი ჩრდილო ოსეთისა ან სხვა ამგვარი სახელწოდებისა. იქ ოსები, ინგუშები და სხვები ერთ ავტონომიურ მთის რესპუბლიკაში დასტოვა, ხოლო საქართველოში, სადაც ოსობა წარმოადგენს ხიზნებს, კოლონისტებს მათთვის ოთხი მაზრიდან (გორის, დუშეთის, შორაპნისა და რაჭის) ხელოვნურად გამოსჭრა ოსური ავტონომია მრავალი წმინდა ქართული სოფლების შიგ ჩართვით. ეს ზომაც მიმართული იყო, რა საკვირველია, იქითკენ, რომ ოსურ-ქართული შური გაეღვივებია და საქართველოში შემოსასვლელი ჭიშკრები მოსკოვის ხელში ყოფილიყო სავსებით და ამ მიზნისთვის ისე წარმოიდგინეთ იმდენად აწამეს და აჭახრაკეს ავტონომიური ოსეთის საზღვარი, რომ მის ფარგლებში მამისონის გადასასვლელიც კი მოაქციეს რაჭის მხრიდან.“ (სსცია, ფ. 48. საქმე 624. ფურცელი 1.)

კავკასიისადმი და მასთან მიმდებარე სახელმწიფოებისადმი, რუსეთს ყოველთვის ჰქონდა დიდი ინტერესი.იგი საუკუნეების განმავლობაში ცდილობდა მათ

დაპყრობას. რუსეთის იმპერია სარგებლობდა ოტომანთა სახელმწიფოს დასუსტებით და ცდილობდა ასევე სპარსეთისკენ გაფართოებას.

1556 წელს რუსეთმა დაიპყრო ასტრახანის სახანო და 1607 წლისთვის მიაღწია სპარსეთს. 1774-1784 წლების ომით დაიპყრო ყირიმი, 1801 წელს საქართველოს სამეფო. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთმა დაიმორჩილა კვაკისიის ქედის ორივე მხარეს მოსახლე ტომები და 1878 წელს შემოიერთა სომხეთი.

რუსთა ხელმწიფე პეტრე I სპარსეთის მიმართულებით განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში. ამ მნიშვნელოვან ინტერესსზე თავისი აზრი გამოთქვა ივ. ჯავახიშვილმა: "რუსეთს სპარსეთში გასაკუთრებით ეკონომიკური ინტერესები ჰქონდა. პეტრე დიდს უნდოდა, რომ სპარსეთის ვაჭრობა რუს ვაჭრებს ჩაეგდოთ ხელში და მთელი აბრეშუმი სპარსეთიდან რუსეთში ყოფილიყო შეტანილი. სპარსეთის ეკონომიკურად ხელში ჩაჭერა რომ უფრო გაადვილებულიყო და შემდეგ უფრო ვრცელი პოლიტიკური ზრახვის განხორციელება შესძლებოდა, პეტრე I-მა გადაწყვიტა კასპიის ზღვის მიდამოები ამიერკავკასიაში ჯერ თავის მფარველობის ქვეშ მოექცია, შემდეგ ქვეყანა დაეპყრო და შიგ რუსი ჯარისკაცები ჩაესახლებინა. ავღანელთა მიერ სპარსეთის დაპყრობის შიშმა თითქოს დააჩქარა ამ წადილის განხორციელება, ამ იდუმალი გეგმის ასასრულებლად რუსეთისათვის საქართველოს სამეფოს სამხედრო დახმარება იყო საჭირო. ამიტომ პეტრე დიდმა გადასწყვიტა საქართველო და მეფე ვახტანგიც ჩაერია ამ საქმეში და რუსეთის სასარგებლოდ გამოეყენებინა. პეტრე I-მა სწორედ ამგვარი საიდუმლო დავალებით 22 მარტს 1720წ. ვოლინსკი აშტრახანში გუბერნატორად გაისტუმრა. მას ვახტანგ მეექვსე უნდა დაერწმუნებინა, რომ პეტრე I მისი და ქრისტიანობისადმი უაღრესად კეთილი განწყობილებით არის განმსჭვალული და თანაც დაეიმედებინა, რომ რუსეთის ხელმწიფე მას მაჰმადიან ძლიერ სახელმწიფოსაგან მფარველობას გაუწევდა." (ივ. ჯავახიშვილი. დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-18 საუკუნეში, თბილისი. 1919, გვ.8.)

1772 წლის 2 ივლისს პეტრე პირველი ინფორმაციას აწვდის ვახტანგ VI-ს და მოუწოდებს, რომ ის მალე - „სპარსეთის საზღვრებს მიადგება და ამიტომ მეფე (იგულისხმება ვახტანგ VI მ.ვ.) საჩქაროდ ლეკებს უნდა დასცემოდა, ამასთანავე თვის დაწყობილ ლაშქრითურთ სპარსეთს შეჰსეოდა და იქ მოეცადა, სანამ პეტრეს მოსვლის შესახებ ცნობები მიუვიდოდა თუ სად შეხვედრილიყვნენ ერთად“ (ივ. ჯავახიშვილი. დასახ. ნაშრომი გვ. 9.) ცხადია, რუსეთის ხელისუფლების მიზანი, რომელიც გულისხმობს სპარსეთზე საკუთარი გავლენის დამყარებას. ასევე ცხადია, რომ რუსეთი კარგად აცნობიერებდა საქართველოს ფუნქციას და მნიშვნელობას ამ მიზნის განხორციელების გზაზე.

რუსეთის ინტერესები სამხრეთის მიმართულებით შემდგომ პერიოდში არ განელებულა. შეიძლება ითქვას, პირიქით: “მას ჰსურდა, რუსეთის ვაჭრობა სპარსეთში ისე გაძლიერებულიყო, რომ მარტო კასპიის ზღვის პირას კი არა, არამედ ქვეყნის თვით შუაგულშიც ყოფილიყო გავრცელებული. მას იმედი ჰქონდა, რომ ამ ადგილებიდგან ინდოეთისკენ გზის გახსნა უფრო მარჯვედ მოხერხდებოდა. იგი დარწმუნებული იყო, რომ ამნაირად რუსეთი ინდოეთის მდიდარ ვაჭრობას ევროპელ ხალხებზე გაცილებით უფრო მოკლე გზით ჩაიგდებდა ხელში, რადგან ისინი ამისთვის „კეთილი იმედის კონცხს“ უვლიდნენ ხოლმე. ამის გამო რუსეთის მთავრობას ამ გეგმის განხორციელების წყალობით აურაცხელი სიმდიდრე და სარგებლობა ეხატებოდა.“(ივ. ჯავახიშვილი. იქვე გვ 39.)

სწორედ ის ფაქტორი, რომ საქართველოს განსაკუთრებული ფუნქცია გააჩნდა კავკასიაში, განაპირობებდა იმ უზარმაზარ ინტერესს ჩვენი ქვეყნისადმი, რომელსაც ავლენდა რუსეთის იმპერია და მისი იმპერატორი ეკატერინე II. იგი ყოველმხრივ ცდილობდა მოეპოვებინა ერეკლე II-ს განსაკუთრებული ნდობა. თუმცა თუ ეს ვერ მოხერხდებოდა, მაგ შემთხვევისთვის, საქართველოზე გავლენის მოსაპოვებლად სხვა ქმედებებსაც არ გამორიცხავდა. რუსეთი ჩართული იყო როგორც ირანთან, ასევე ოსმალეთის იმპერიის საწინააღმდეგო მოქმედებებში და მათი ყოველმხრივ

დასუსტებას ცდილობდა. როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ ამ საკითხში საქართველოზე გავლენის მოპოვება იყო უმნიშვნელოვანესი ამოცანა. ამ საკითხს ეხება მეცნიერ-მკვლევარი დიმიტრი შველიძე და აღნიშნავს, რომ: - „ რუსეთის მიზანი იყო კავკასიაში გაეხსნა მეორე მცირე ფრონტი ოსმალეთის წინააღმდეგ, მოეზიდა ოსმალთა შეიარაღებული ძალების ნაწილი, შეეშფოთებინა მოწინააღმდეგე. ეკატერინე მეორის ხელისუფლება ოსმალთა ჯარების დაქსაქსვას ქართველი მოკავშირეების ხელით აპირებდა, რომლებსაც ოტომანთა პორტას ჩრდილო-აღმოსავლეთის განაპირა ტერიტორიებზე განუწყვეტელი დივერსიები უნდა მოეწყო. თავდაპირველად რუსები ამას ქართველების ხელით აპირებდნენ, შემდეგში კი რუსთა შეზღუდული სამხედრო კონტინგენტის დახმარებით. ქართველთა თავდასხმები ძირითადად უნდა განხორციელებულიყო ახალციხის საფაშოზე და აგრეთვე ყარსის, არზრუმისა და ბაიაზეთის საფაშოზე.

გარდა ამისა, გენერალ ტოტლებენისა და რუსეთის წარმომადგენლის მოურავოვისადმი მიცემულ ინსტრუქციაში დაფიქსირებული იყო რუსეთის განსხვავებული დამოკიდებულება ქართული სამეფოსადმი. რუსეთის ჯარი უპირველესყოვლისა იმერეთის სამეფოში იგზავნებოდა და მისი ომში ჩაბმა ჰქონდა განსაზღვრული. მიუხედავად ამისა, ეკატერინე მეორე უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ერეკლე მეორეს - როგორც უძლიერესი ქართველი მმართველის ომში მონაწილეობაზე დათანხმებას... რუსებს ერეკლეს დატანხმების ნაკლები იმედი ჰქონდათ, რადგან ფიქრობდნენ, რომ ქართლ-კახეთის მეფეს ოსმალეთთან ურთიერთობა მოწესრიგებული ჰქონდა და მის მიმართაც ნაკლები პრეტენზია გააჩნდა. რა საშუალებებით უნდა აეძულებინათ ერეკლე მეორე, თუ ის ანტიოსმალურ ომში მონაწილეობაზე უარს იტყოდა? ასეთ შემთხვევაში, რუსთა ჯარის უფროსს უნდა როგორმე დაეშინებინა ქართლ-კახეთის მერე, წაერთმია და დაეკავებინა მისი სამფლობელოს ნაწილი, ციხეები; მისი ქვეშევრდომები და დაეფიცებინა რუსეთის იმპერატრიცას ერთგულებაზე და ამ გზით ან სხვა საშუალებით გადაებირებინა თავის მხარეზე თუ ეს ან სხვა მეთოდები არ იკმარებდა -

ტახტიდანაც კი ჩამოეგდო ქართველი მეფე და მერე ისევ აღედგინა ტახტზე, რათა ამ გზით დაეთანხმებინა ოსმალეთთან ომზე.

ეს ყველაფერი სულაც არ გახდა საჭირო, რადგან რუსებისათვის მოულოდნელად ერეკლე მეორემ არამც თუ თანხმობა განაცხადა ოსმალებთან ომზე, არამედ დიდი ენთუზიაზმითაც შეხვდა იმპერატრიცა ეკატერინეს მოწოდებას.“ (დ.შველიძე. საქართველოს მფარველობა და დაპყრობა რუსეთის მიერ. თბილისი. 2014.)

მიუხედავად იმისა, რომ ერეკლე მეორე ხშირ შემთხვევაში კეთილგანწყობილი იყო რუსეთის სახწელმწიფოს ინტერესებისადმი და მასთან გააფორმა ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება 1783 წელს გეორგიევსკში და აღიარა ნაწილობრივი სუვერენიტეტის დათმობა რუსეთის სასარგებლოდ, ეს ყოველივე საკმირისი არ აღმოჩნდა, რათა რუსული იმპერიული ზრახვები დაკმაყოფილებულიყო. ამისათვის საჭირო იყო საქართველოზე სრული სახელმწიფოებრივი კონტროლის დამყარება ანუ საქართველოს სახელმწიფოს დაპყრობა იქნებოდა ის მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომლის რეალიზების შემდეგ რუსეთი მშვიდად დაგეგმავდა ექსპანსიური პოლიტიკის განხორციელების გეგმას სამხრეთის მიმართულებით. სამწუხარო ფაქტია მაგრამ უნდა აღინიშნოს რომ საქართველოს მიმზიდველი გეოგრაფიულ-სტრატეგიული მდებარეობა მნიშვნელოლვანი მიზეზი გახდა მისი დამოუკიდებლობის დაკარგვისა. მისი მიმზიდველობა გახდა მისივე სახელმწიფოებრიობის და განვითარების შემაფერხებელი უპირველესი გარემოება.

ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა:“რუსეთის მთავრობის გულის სიღრმეს არ მოჰხვედრია ქართველი ერის მისწრაფება, მისი დაწინაურებული, განათლებული ყოფა-ცხოვრების დაუშრეტელი წყურვილი და მუდმივი ლტოლვა თავისუფლებისადმი. რუსეთი საქართველოს ისე უყურებდა, როგორც კარგ იარაღს,რომელიც საჭიროებისამებრ შეიძლებოდა მშვენივრად გამოეყენებინა თავის სასარგებლოდ. ეს აზრი თვით რუსეთის მთავრობას აქვს ცინიკური,

გულახდილობით გამოთქმული გრაფი პანინის პირით ერთს საიდუმლო მიწერილობაში, რომელიც მან სახელმძღვანელოდ საქართველოში მყოფს რუსეთის წარმომადგენელს გენერალ ტოტლებენს გამოუგზავნა: უნდა ეცადოთ საქართველოში ისე მოაწყოთ, რომ ყველაფერი ჩვენი „ხელმძღვანელობით ხდებოდეს“, თვით ქართველებს კი ისე ეგონოთ, ვითომც ისინი თავიანთ მთავრობის განკარგულებას ასრულებენ, თვით მთავრობაც დარწმუნებული იყოს, თითქოს ყველაფერი მისი სურვილისა და ნების თანახმად ხდებოდეს, ერთი სიტყვით, ყოველი ჩვენი წადილი განხორციელდეს, მაგრამ იმნაირად კი, რომ „სული აქაური (ე.ი. რუსული) იყოს, სხეული კი ქართული“-ო. მაშასადამე რუსეთის მთავრობას უნდოდა რომ ქართველები უსულო იარაღივით გამოეყენებინა თავისი პოლიტიკური მიზნებისა და ზრახვების მისაღწევად-ო“ (ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი გვ 43.)

როგორც ვხედავთ, რუსეთი ორმაგი პოლიტიკური სტანდარტებით ხელმძღვანელობდა. იგი ცდილობდა საქართველოში ფეხი მყარად მოეკიდა. მას სრულიდ ჰქონდა გაცნობიერებული საქართველლოს გეოპოლიტიკური მნიშვნელობა და კარგად ხვდებოდა, რომ რუსეთის წარმატების გარანტი სპარსეთისა და ოსმალეთის წინააღმდეგ მოქმედებისას სწორედ საქართველოს პოზიციას ეკისრებოდა. ამავე დროს საქართველოში მეფობდა უნიჭიერესი, მაგრამ უკვე საკმაოდ ხანში შესული მეფე ერეკლე მეორე. იგი არ მისცემდა რუსეთს საქართველოს დაპყრობის საშუალებას, მათ ისღა დარჩენოდათ მოვლენების განვითარებას დალოდებოდნენ. ერეკლე მეფეს დიდხანს აღარ უცხოვრია. 1798 წლის 11 იანვარს გარდაიცვალა მეფე ერეკლე. სწორედ ამას ელოდნენ რუსეთის ხელისუფლებაში და მიიღეს გადაწყვეტილება ესარგებლათ შექმნილი სიტუაციით და განეხორციელებინათ საქართველოს სამეფო ხელისუფლების გაუქმება. ამ მიზნის ხელშემწყობად იქცა ის გარემოებაც, რომ სამეფო ტახტზე ასულ გიორგი მეთორმეტეს არ აღმოაჩნდა მამის ნიჭი და გამჭრიახობა. იგი ასევე სუსტი ჯანმრთელობის გამო და სხვა მრავალი გარემო ფაქტორების გათვალისწინებით, ვერ გახდა საქართველოს სამეფო ხელისუფლების შენარჩუნების გარანტი. საქართველომ 1801 წელს დაკარგა

დამოუკიდებლობა, ხოლო შემდგომში დამოუკიდებლობის იდეის ყველაზე დიდი მოკავშირე, საქართველოს მართმადიდებელი სამოციქულო ეკლესიას იმპერიამ გააუქმა ავტოკეფალია 1811 წელს. რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა იძულებით გაიწვია საქართველოდან კათალიკოს პატრიარქი ანტონ მეორე.

აღმოსავლეთ საქართველოს დაკავების შემდგომ რუსეთის იმპერია იპყრობს იმერეთის სამეფოს 1810 წელს. გურიის სამთავროს აუქმებს 1828 წელს, სვანეთის სამთავროს იპყრობს 1858 წელს, სამეგრელოს სამთავროს 1867 წელს და რა თქმა უნდა დაპყრობას ვერც აფხაზეთის სამთავრო გადაურჩა.

ამრიგად მე-19 საუკუნის განმავლობაში რუსეთის იმპერია სრულიად ამყარებს კონტროლს, როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოზე. საქართველოს, როგორც უაღრესად მნიშვნელოვან სტრატეგიულ ქვეყანას სრულად იმორჩილებს, რადგან აქედან უფრო იოლად უზრუნველყოფს საკუთარი იმპერიული ამოცანების შესრულებას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუსეთმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მე-19 საუკუნეში საქართველოს დაპყრობას. თუმცა გამომდინარე ჩვენი ნაშრომის საკვლევი ამოცანიდან უაღრესად საინტერესოა რა ურთიერთობაში იყო ოსი ხალხი, როგორც რუსეთის, ასევე საქართველოსთან მიმართებაში იგივე მე-19 საუკუნეში. ჩვენი ნაშრომის მეორე თავში უკვე მიმოვიხილეთ ოსთა განსახლების არეალი შიდა ქართლში და აღვნიშნეთ, რომ ოსები სამი მდინარის სათავეებში ფიქსირდებოდნენ კომპაქტური დასახლების სახით. მათი ურთიერთობა ქართველებთან მთლად მშვიდობიანად არ მიმდინარეობს. ეკონომიკური სიდუხჭირის მიზეზით ოსები მთიანი რაიონებიდან ბარისკენ ცდილობენ ჩამოსახლებას, რასაც არაერთი დაპირისპირება მოყვება ადგილობრივ ქართულ მოსახლეობასთან. მეორე თავში აღნიშნული გვაქვს, რომ ოსების ასეთ თავდასხმებს საპასუხო ზომების გატარებაც მოსდევდა. 1821 წლის თებერვალსა და მარტში გორის ოკრუგგის უფროსი ტიტოვი, დამსჯელ ექსპედიციებს აწყობს: ლიახვის, ქეშელთის, მეჯუდის, პოტნისის ხეობებში.

ასეთი იძულებითი ოპერაციები ხშირად ტარდებოდა ოსების წინააღმდეგ მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში, ასეთი ოპერაციების არაერთი მაგალითის მოყვანაა შესაძლებელი. გარდა 1821 წლის ტოტოვის ექსპედიციისა, ფიქსირდება 1830 წლის სამხედრო ოპერაცია როგორც სამხრეთელი ოსების, აგრეთვე ჩრდილოელი ოსების წინააღმდეგ. აღნიშნული მისიის ხელმძღვანელები რენენკამფი და აფხაზოვი სასტიკად უსწორდებიან ოსებს. წინააღდეგობის გამწევებს ადგილზე ანადგურებენ. ოსთა მეთაურებს ბესლან შანაევს, აზამათ შანაევსა და ბათა კანუკოვს და სხვებს სიკვდილით სჯიან, ხოლო მათ თანამოაზრეების საკმაო დიდ ნაწილს ციმბირში ასახლებენ.

ოსების აჯანყებები რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მომდევნო წლებშიც გრძელდება. 1838 წლის შემოდგომით ნარ-მამისონისა და ალაგირის აჯანყება იქნა ჩახშობილი, ასვე 1840 წელს ქეშელთის თემის აჯანყება და 1841 წლის წინააღმდეგობებიც იქნა დამარცხებული. ამ ფაქტებზე იმიტომ შევჩერდით ასე დაწვრილებით, რომ უფრო ნათელი გამხდარიყო, რომ მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში, ისევე როგორც მეორე ნახევრის განმავლობაში,კიდევ უფრო ზუსტად მეოცე საუკუნის პირველ მეოთხედამდე, რუსეთის იმპერიას რაიმე განსაკუთრებული პოლიტიკური ზრახვები ოსების საქართველოს წინააღმდეგ განწყობის გაღვივებისა არ შეიმჩნვა. რა თქმა უნდა, იყო გარკვეული სიხშირთ უკმაყოფილებები, შეტაკებები, მაგრამ ყველა მათგანი მე-19 საუკუნეში ატარებდა მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკურ ხასიათს. პოლიტიკური ელფერი ამ წინააღმდეგობებს მოჰყვა მეოცე საუკუნის 20-იან წლებში, როდესაც ჯერ იმპერიული რუსეთი, ხოლო შემდგომში განსაკუთრებით ბოლშევიკური რუსეთი დადგა რეალური საფრთხის წინაშე დაეკარგა საქართველო. შესაბამისად დაეკარგა ის გავლენებიც, რომელსაც რუსეთი ღებულობდა საქართველოს გეო-პოლიტიკური მდებარეობითა და მნიშვნელობით.

ქართულ-ოსური ურთიერთობების ხასიათში შინაარსობრივი ცვლილებები ფიქსირდება მე-20 საუკუნის დასაწყისიდან. კამერალური აღწერებიდან ნათელია,

რომ ქ. ცხინვალის გარდა, ოსური კომპაქტური დასახლებები და მათი სიმრავლე უკვე თვალშისაცემია, როგორც დიდი და პატარა ლიახვის ხეობებში, ასევე ფრონისა და ქსნის ხეობებშიც. შეიძლება ითქვას, რომ გარკვეულწილად ეთნიკური სურათი კავკასიონის წყალგამყოფი ქედის სამხრეთით შეცვლილია ოსური ეთნიკური ჯგუფის სასარგებლოდ. აღნიშნული მოვლენა საინტერესო ფაქტად იქცა მეფის რუსეთის პოლიტიკოსებისათვის , რომელთა ერთ-ერთი ძირითადი საშუალება პოლიტიკური სისტემის შესანარჩუნებლად გახლდათ ხალხთა ერთმანეთზე გადაკიდება და სისხლისღვრა. შესაბამისად სუსტდებოდა წინააღმდეგობა მრავალეროვანი ეთნიკური ჯგუფებისა, რომლებიც ასე მრავლად შედიოდა მეფის რუსეთის შემადგენლობაში. თავად რუსული იმპერიაც განიცდიდა სერიოზულ რყევებს, განსაკუთრებით რუსეთ-იაპონიის ომში დამარხცების შემდეგ 1905 წელს რუსეთში მძლავრად იკიდებდა ფეხს და თადათან ძლიერდებოდა რევოლუციური მოძრაობა მეფის ტახტის დასამხობად. თვითმპყრობელობას სერიოზული საფრთხე დაემუქრა, რასაც აგრეთვე ხელს უწყობდა როგორც საგარეო ურთიერთობებში შექმნილი მძიმე ვითარება, ასევე საშინაო ასპარეზზე მიმდინარე რევოლუციური განწყობების მატ ება.

ამ თვალსაზრისით, საინტერესო აღმოჩნდა ცარიზმისთვის ოსური ელემენტის გამოყენება საქართველოსა და ქართველების წინააღმდეგ. იგი ამ დაპირისპირების ხელშეწყობითა და ინსპირაციით შეეცდებოდა რევოლუცუიური ერთობის გათიშვას და ეროვნებათა შორის კონფლიქტის გაღვივებით საქართველოზე ზემოქმედებას.

ამ საფრთხის შესახებ მიუთითებდა ქართველი მწერალი ირადიონ ევდოშვილი და აფრთხილებდა საზოგადოებას:“... გორის მაზრაში მოსალოდნელია ოსების და ქართველების შეტაკება. მიზეზი ამისა, ერთის მხრივ ყოფილა ისიც, რომ ქართლის სოფლებში დააყენეს ოსი მამასახლისები... გამწარებული ხალხი ოსი მამასახლისების გამო ემდურის თვით ოსის ხალხსაც. ამრიგად, პროვოკაციისთვის - ერთი ერის მეორეზე დასაჯახებლად საუკეთესო ნიადაგი შექმნა ადგილობრივმა პოლიციამ და თუ თვით ხალხის გონიერმა ნაწილმა არ შეაყენა ეს ორი ერთმანეთზე ეშმაკურად

მისეული ერი, შესაძლებელია რომ ჩვენ გავხდებით საშინელი და სამარცხვინო სურათების მოწმენი.“ (ირ. ევდოშვილი. გაზ. „დრო“. 1907 წ. 21/111 №9)

აღნიშნული თემის შესახებ და იმ დროის მოვლენების შესახებ ისტორიკოსი გიორგი თოგოშვილი წერდა: „1905-07წ.წ. რევოლუციურ მოძრაობაში ქართველი და ოსი ხალხების რევოლუციურმა თანამეგობრობამ თავზარი დასცა ხელისუფლებას. მან სათანადო ზომებიც მიიღო, არ დაეშვა მომავალში მათი ერთობლივი რევოლუციური გამოსვლები, დაეპირისპირებინა ისინი და ამით ჩამოეცილებინა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საერთო ბრძოლისგან. ამ მიზნით, მეფის მოხელეები, პოლიცია, ქართლის სოფლებში მიმართავენ ოსი მამასახლისებისა და ჩაფრების ჩაყენებას, რომელთა ძალადობასაც ქართველები მტრად უნდა გადაეკიდა მთელი ოსი ხალხისადმი. ქართველი და ოსი მოწინავე მოღვაწენი კარგად გრძნობდნენ ამ საშიშროებას, ამხელდნენ მეფის აგენტების ასეთ პროვოკაციულ მოქმედებას და ხალხს მოუწოდებდნენ სიფხიზლისკენ. ვლადიკავკაზში 1906 წელს გამოსული გაზეთი „ირონ გაზეთი“ (ოსური გაზეთი) ოს მშრომელებს უქადაგებდა მეზობელ ხალხებთან მეგობრულ ურთიერთობას, უხსნიდა, რომ ხალხთა ურთიერთწაკიდების პოლიტიკა ცარიზმის პოლიტიკაა, რათა ამით ხალხები ჩამოაშოროს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლას.“ (გ. თოგშვილი, ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობა, თბილის 1969 წ. გვ. 102.)

რუსეთის თვითმპყრობელობის მიერ გატარებულმა მკაცრმა და რეაქციონისტურმა პოლიტიკამ, იმპერიის შიგნით ვერ გადაჭრა ის პრობლემური საკითხები, რომლებიც მეფის ხელისუფლებას არყევდა. ამას ემატება ურთულესი საგარეო პოლიტიკური ვითარება. რუსეთი ჩაერთო პირველი მსოფლიო ომის მსვლელობაში. თვადაპირველი წარმატების მიუხედავად, ქვეყანას დაუდგა უმძიმესი ეკონომიკური მდგომარეობა. იგი ვეღარ უმკლავდებოდა საგარეო და საშინაო გამოწვევებს და, შესაბამისად, მრავალსაუკუნოვანი რუსეთის იმპერია განწირული აღმოჩნდა კატასტროფისათვის.

პირველ მსოფლიო ომში განცდილი მარცხის შემდეგ, იმპერატორი ნიკოლოზ მეორე 1917 წელს გადადგა. მონარქიის დამხობით რუსეთში იშვა ახალი დემოკრატიული ფორმის მმართველობა. შესაბამისად, მეფის ხელისუფლების ნაცვლად, მმართველი ორგანო გახდა პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო, რომლის თავმჯდომარედ არჩეული იქნა ქართველი მენშევიკი კარლო (ნიკოლოზ) ჩხეიძე. პეტროგრადის საბჭომ ჩამოაყალიბა რუსეთის დროებითი მთავრობა ალექსანდრე კერენსკის ხელმძღვანელობით. დროებითი მთავრობის შემადგენლობაში ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრის თანამდებობას იკავებდა ირაკლი (კაკი) წერეთელი, რომელიც ასევე მენშევიკური პარტიის წევრი გახლდათ.

რუსეთის დედაქალაქში მომხდარი მოვლენები მალე გავრცელდა ყოფილი იმპერიის მთელ ტერიტორიაზე და ბუნებრივია, საქართველომდეც მოაღწია. ამ მოვლენის შესახებ ისტორიკოსი გიორგი შარაძე წერს: „მეფისნაცვლის წასვლასთან ერთად ამიერკავკასიაში გაუქმდა ცარისტული წეს-წყობილება და მის ადგილზე საჭირო გადხა ახალი ადგილობრივი ხელისუფლების შექმნა, რომელსაც უნდა გამოეჩინა უდიდესი ძალისხმევა რათა მთელი ამიერკავკასია და კერძოდ, კავკასიის ფრონტი (პირველი მსოფლიო ომი ჯერ კიდევ დასრულებული არ იყო) ჩაეყენებინა ცხოვრების საჭირო კალაპოტში. ეს ისტორიული მისია იკისრა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებმა, სადაც ხმათა აბსოლიტური უმრავლესობა ქართველ სოციალ-დემოკრატებს ეკუთვნოდათ.

ძალაუფლების ხელში ასაღებად მთელ ამიერკავკასიაში პირველად თბილისში შეიქმნა ორი საბჭო; 4 მარტს - მუშათა დეპუტატების საბჭო, რომელსაც სათავეში ჩაუდგა სოციალ-დემოკრატი ნოე ჟორდანია, 6 მარტს კი - ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო ესერი სერგეი ვერეშჩაკის მეთაურობით და აკაკი ჩხენკელის საპატიო თავმჯდომარეობით... საზოგადოებაში არეულობა რომ არ მომხდარიყო, თითქოს ძალაუფლებას ხელში მარტო მუშები, ჯარისკაცები და გლეხები იგდებენო, თბილისში ჩატარდა თვითმმართველობის არჩევნები, რომელსაც მეთაურობდა სამი

სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელი - სომეხი ა. ხატისოვი, ქართველი ნ. ჟორდანია და რუსი ოფიცერი პოპოვი. ამ გზით მოხერხდა რევოლუციური და ლიბერალური ძალების შეერთება.“ (გ. შარაძე. საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა და საგარეო პოლიტიკა, თბილისი 2003, გვ. 21.)

გარკვეული პოლიტიკური პროცესების თანმიმდევრულად განვითარების შემდგომ 1918 წლის 10 თებერვალს შეკრებილი ამიერკავკაკსიის სეიმის თავჯდომარედ არჩეული იქნა ქართველი სოციალ-დემოკრატი ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე. ამავე დროს სეიმმა აირჩია ამიერკავკასიის მთავრობა,, რომლის თავმჯდომარედ აირჩიეს ევგენი გეგეჩკორი. მთავრობის შემადგენლობაში შედიოდნენ ასევე სომხეთისა და აზერბაიჯანის წარმომადგენლები.

საინტერესოა ასევე რუსეთში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებიც, რომლის შედეგად ხელისუფლების სათავეში მოდიან ბოლშევიკები, რომლებმაც დროებით მთავრობა დაამხეს. რუსეთში ძალაუფლების სათავეში მისული ბოლშევიკები ვლადიმერ ულიანოვის ხელმძღვანელობით, ცდილობენ გაიმყარონ პოზიციები და ქმედით ნაბიჯებს ახორციელებენ ამ მიმართულებით. პირველი, რაც მათ განახორციელეს იყო ის, რომ დაიწყეს რუსეთის დისტანცირება პირველი მსოფლიო ომის საბრძოლო მოქმედებებიდან.

შედგა საზავაო კონფერენცია, რომელშიც საბჭოთა რუსეთის გარდა მონაწილეობას იღებენ გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, თურქეთი, ბულგარეთი, ხოლო ამიერკავკასიის წარმომადგენლობა არ იქნა მიწვეული. რუსეთის დელლეგაციის ხელმძღვანელი გ. ჩიჩერიანი რუსეთის საზიანოდ პრაქტიკულად კაპიტულანტურ შეთანხმებას დათანხმდა, რომლის ერთ-ერთი ეპიზოდი საქართველოსთვის უკიდურესად მძიმე ვითარებას ქმნიდა, რადგან ხელშეკრულებით თურქეთის შემადგენლობაში უნდა გადასულიყო ბათუმის, ყარსისა და არდაგანის ოლქები. აღნიშნული გარემოება უდიდეს უკმაყოფილებას იწვევდა საქართველოს

მოსახლეობასა და პილიტიკურ წრეებში. პრაქტიკულად საქართველო აღმოჩნდა ორმაგი დარტყმის ქვეშ, როგორც თურქეთის, ასევე საბჭოთა რუსეთის მხრიდან.

ხელშეკრულებიდან გამომდინარე, თურქებმა დაიკავეს აღნიშნული ტერიტორიები მიუხედავად იმისა, რომ ქართველებმა და სომხებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს. 1918 წლის 7 აპრილს თურქთა ჯარები უკვე ოზურგეთში იყვნენ.

ამ ურთულესი პოლიტიკური სიტუაციის ფონზე, ნაცვლად იმისა რომ ამიერკავკასიის სეიმში შემავალმა ხალხებმა გაუწიონ ერთობლივი წინააღმდეგობა და უკუაგდონ მტერი აზერბაიჯანის წარმომადგენლობა აშკარად პროთურქულ პოზიციას ამჟღავნებს და უარს აცხადებს თურქების წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობაზე. ფაქტობრივი ვითარება იქმნება იმისათვის, რომ საქართველომ საკუთარი ძალებით დაიცვას ქვეყანა და შესაბამისად გამოაცხადოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. ამ ვითარების შესახებ თბილისში სასწრაფო წესით მოწვეულ კრებაზე ქართველი სოციალ-დემოკრატთა ფრაქციის წარმომადგენელმა ირაკლი (კაკი) წერეთელმა განაცხადა:

„ჩვენ მუდამ ვიბრძოდით ერთა სოლიდარობა-თანხმობისათვის, ერთობა იყო იდეალი, მაგრამ შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ ჩვენი სურვილის წინააღმდეგ უნდა განვაცხადოთ, როცა დიდი ხნით სწყდება სხვადასხვა ერთა ბედი, როცა მტერი უკვე შემოიჭრა ჩვენს მხარეში და წინ მოიწევს, ერთობა სოლიდარობა აღარ არის. ქართველი ხალხი დარჩა მარტო. მას მოსწყვიტეს მთელი ხალხი (თითქმის მთელი სომხეთი თურქეთმა დაიკავა), მისგან ამ წუთში წავიდა მუსლიმანური მოსახლეობა; და ის გარემოება, რომ არსებობს ფიქტიური ამიერკავკასიის რესპუბლიკა, რომ არსებობს ფიქტიურად ამიერკავკასიის დელეგაცია, ქართველ ერს ართმევს შესაძლებლობას თუნდაც იმ ძალებით, რომელიც მას გააჩნია შექმნას სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, რომელსაც, შეეძლება თავისი ინტერესების დაცვა. იცოდე ქართველო ხალხო! თუ გსურს დაიცვა შენი ინტერესები, გადაირჩინო თავი,

შენ უნდა შექმნა შენი სახელმწიფო ორგანიზმი და შენი ოფიციალური წარმომადგენლობა.“ (გ. შარაძე; იქვე. გვ. 46)

ამიერკავკასიის სეიმმა ხმათა უმრავლესობით მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც იუწყებოდა, რომ: “ვინაიდან ომისა და ზავის საკითხში აღმოჩნდნენ ძირითადი განსხვავებანი იმ ხალხთა შორის, რემელთაც შექმნეს ამიერკავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკა და ამიტომ შეუძლებელი გახდა ერთი ავტორიტეტული ხელისუფლების გამოსვლა, რომელსაც შეეძლოს ამიერკავკასიის სახწლით ლაპარაკი-სეიმი ადასტურებს ამიერკავკასიის დაშლას და თავის უფლებამოსილებას თავიდან იხსნის...“ (გ. შარაძე. იქვე გვ. 46.)

1918 წლის 26 მაისი უმნიშვნელოვანესი დღეა საქართველოს ისტორიაში. მოვლენათა განვითარებამ ქართველ ხალხს საშუალება მისცა განეხორციელებინა საუკუნეობრივი ოცნება - აღედგინა სახწელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, რომელიც მეზობელი რუსეთის იმპერიის აგრესიული პოლიტიკისა და მისი შორსმიმავალი პოლიტიკური ზრახვების მსხვერპლი გამხდარიყო. 117 წლის შემდგომ საქართველომ დაიბრუნა სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო დე იურედ და დე ფაქტოდ ცნეს ისეთმა სახელმწიფოებმა, როგორიცაა: თურქეთი, გერმანია, შვეიცარია, დიდი ბრიტანეთი, ავსტრია, საფრანგეთი, იტალია, არგენტინა და სხვ.

საბჭოთა რუსეთიმა ასევე აღიარა 1920 წლის 7 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობას, თუმცა, როგორც მოვლენათა შემდგომი განვითარება ცხადყოფს, ეს ფაქტი უფრო ტაქტიკური ხასიათის მოვლენა გახლდათ, ვიდრე ნამდვილი კეთილმეზობლური დამოკიდებულების გამოვლინება.

ბუნებრივია დასუსტებული ბოლშევიკური რუსეთი იძულებული შეიქმნა გარკვეული პოლიტიკური დათმობები განეხორციელებინა. როგორც ქვეყნის შიგნით,

ასევე გარეთ, რუსეთს სახარბიელო პოზიციები ნამდვილად არ გააჩნდა. პირველი მსოფლიო ომით გამოწვეული მომაკვდინებელი შედეგები, იძულებულს ხდიდა საბჭოთა ხელსუფლებას ეზრუნა პირველ რიგში საკუთარი ხელისუფლების გადარჩენაზე. შექმნილი მძიმე სოციალური და ეკონომიკური პირობები ასევე არ იძლეოდა ბოლშევიკური რუსეთის სრულმასშტაბიანი ინტერესების განხორციელების საშუალებას. საქართველოს საბოლოოდ დაკარგვას რუსეთი არ შეეგუებოდა. ეს იგრძნობოდა იქიდან, რომ მიუხედავად საქართველოს სუვერენიტეტის აღიარებისა, იგი განაგრძობდა გარკვეული მზაკვრული გეგმების შედგენას, რომელიც ხელს შეუშლიდა ქართული სახელმწიფოს შემდგომი განვითარებისა და გაძლიერების პროცესს. ამ გეგმის ეერთ-ერთი შემადგენელი სეგმენტი გახლდათ ოსური წინააღმდეგობრივი მოძრაობის ხელშემწყობი ვითარების შექმნა საქართველოს მთავრობის დასაბრკოლებლად. სწორედ აქ მჟღავნდება რუსეთის დაინტერესება სამხრეთელი ოსების პოლიტიკური ნიშნით გამოყენებისათვის. ოსების განსახლების არეალის გაფართოება და მისი მასშტაბების გაზრდა, ასევე ოსების მტრულად განწყობის ხელშეწყობა, მათი იარაღით მომარაგება და საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყებას, შეეძლო სასურველი შედეგის მიღწევაში არც თუ ისე მცირე როლის შესრულება.

ქართულ-ოსური დაპირისპირებისთვის ნიადაგი, რა თქმა უნდა, შემზადებული იყო ცარიზმის რეაქციული პოლიტიკის განხორციელების შედეგად, რაზეც ჩვენ უკვე გავამახვილეთ ყურადღება ჩვენი ნაშრომის წინა მონაკვეთში. აქედან გამომდინარე, ბოლშევიკებს შესაძლებლობა ეძლეოდათ ამ დაპირისპირების საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის გამოსაყენებლად. შეიძლება ითქვას, რომ ამ გეგმის შემუშავებიდან, ოსების საქართველოში მიგრაცია და მათი დაპირისპირება, როგორც ადგილობრივ მოსახლეობასთან, ასევე დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლებასთან, ატარებს პოლიტიკურ ხასიათს და სავსებით ნათელია, რომ ოსების მიგრაცია ჩვენს ქვეყანაში ტრანსფორმირდება ეკონომიკური ხასიათის მოვლენიდან პოლიტიკურ მოვლენად, კონკრეტული პოლიტიკური ინტერესების

განსახორციელებლად, რომლის უპირველესი ამოცანა იყო საქართველოს მაქსიმალური დაბრკოლება სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განვითარების გზაზე. დამოუკიდებელი საქართველო რუსეთისთვის კვლავ სერიოზულ თავსატეხად იქცა, ამიერკავკასიის გაკონტროლების საკითხში. რუსეთი ხედავდა და ყურადღებით აკვირდებოდა, ქართული სახელმწიფოს მიერ გადადგმულ ენერგიულ ნაბიჯებს საგარეო პოლიტიკურ ასპარეზზე.

ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბების პროცესში, რომელიც მიმდინარეობდა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, ახალგაზრდა ქართული სახელმწიფო ცდილობდა საკუთარი ადგილის დამკვიდრებას და ეს მიზანი რეალურად მიღწევადი იყო. ამის დაშვება არაფრით არ შედიოდა ლენინისა და ბოლშევიკური მთავრობის გეო-პოლიტიკური განზრახულობების ნუსხაში.

ამ ეპოქის სულისკვეთებასა და ქართულ-რუსული ურთიერთობის რეალურ მდგომარეობას შეუდარებლად აღგვიწერს დიდი ქართველი მწერალი კონსტანტინე გამსახურდია მის მიერ გამოქვეყნებულ წერილში ვლადიმერ ულიანოვ ლენინისადმი:

„.. რუსეთ-საქართველოს დამოკიდებულება არასოდეს ისე გამწვავებული არ ყოფილა, როგორც დღეს, თუმცა თქვენი წითელი არმია განმათავისუფლებელის ლოზუნგებით მოვიდა ამ წელს საქართველოში.

ასი წლის წინადაც, ალექსანდრე I-ის ჯარებიც განმათავისუფლებლის როლში დაინახა საქართველომ. მაშინ რუსები ქართველობას მოეშველნენ იმ საუკუნებრივ ბრძოლაში, რომელსაც იგი აწარმოებდა მუსულმანურ აღმოსავლეთის წინააღმდეგ.

ამ დროს რუსეთს დიდი კულტურულ-ისტორიული მისია ჰქონდა აღმოსავლეთში ასასრულებელი. ნახევრად ევროპული, მონარქიული რუსეთი ებრძოდა ტირანულ სპარს-ოსმალეთს. რუსეთი აწარმოებდა იმ შეტევას მუსულმანურ

ქვეყნების წინააღმდეგ, რომელიც დასავლეთის ცივილიზაციის სახელით უანდერძა ბიზანტიამ ჰაფსბურგერების ავსტრიას და რომანოვების რუსეთს.

ქართული და რუსული პოლიტიკა ამ პუნქტში ერთიმეორეს შეხვდნენ. დღეს ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ ირაკლი I I-სა და გარსევან ჭაჭავაძის პოლიტიკა ერთადერთი შსაძლებელი პოლიტიკა ყოფილა იმ დროს. მაგრამ მე-18 საუკუნის რუსოფილებს თვალი მოსჭრა რუსული დიდი პოლიტიკის, ქრისტიანული პატარა ერების ოსმალეთ-სპარსეთის ტირანიისგან განთავისუფლების იდეამ.

1783 წლის ტრაქტატი გულისხმობდა, რომ საქართველო რუსეთის დიდი პოლიტიკის ორბიტაში მოექცეოდა... მაგრამ საქმე ორბიტაში შესვლით არ გათავებულა... ასი წელიწადი დიდი რუსეთის პოლიტიკამ იმდენი ბოროტება დათესა საქართველოს დამოუიდებლობის მოსპობით, რომ თვით ისეთ დიდ ქართველ კოსმოპოლიტს, რომელიც თავისი მოღვაწეობის 30 წლის განმავლობაში ეროვნულ ფაქტორს უარყოფდა, თავისი მოხუცობის სიდინჯე დაარღვევინა და ამ მოხუცმა ნებსით თუ უნებლიედ მთელი ქვეყნის წინაშე აღიარა, რომ საქართველოს ერთად ერთი და შესაძლებელი ორიენტაცია ეს ევროპის ორიენტაციაა.

ეს იყო ნოე ჟორდანია, რომელიც როგორც პოლიტიკური ფიგურა სრული ანტიპოდია მეორე დიდი ქართველი პოლიტიკოსისა, ირაკლი I I-ს.

ფეოდალურ საქართველომ ირაკლი II-ის პირით აღიარა რუსული ორიენტაციის საჭიროება და აუცილებლობა. ასი წლის შემდეგ თქვენმა ყოფილმა პარტიულმა კოლეგამ და ჭაღარა რევოლუციონერმა ნოე ჟორდანიამ საქვეყნოდ აღიარა დემოკრატიის სახელით, რომ რუსული ორიენტაცია ჩვენთვის მიუღებელიაო. ნოე ჟორდანია, როგორც ისტორიული პიროვნება, რუსული ყალიბის საზოგადო მოღვაწე იყო, რამდენადაც როგორც მენშევიზმი, ისე ბოლშევიზმი, რუსული იდეოლოგიის პირმშოებია. ჟორდანიას ინტელექტუალური ჰაბიტუსიც რუსული იდეოლოგია იყო პარექსელან. მაგრამ ასი წლის განმავლობაში რუსეთის მიერ საქართველოში დათესილმა ბოროტებამ, ქართული სახელმწიფო აპარატის განადგურებამ, ქართული

ენის სისტემატიურმა დევნამ აიძულა საქართველო რუსული პოლიტიკის ორბიტიდან გამოერიცხა თავი.

ძველი რუსეთი არ იზიარებდა რუსეთის მცირე ერებთან თანასწორუფლებიანობისა და თანაზიარობის პრინციპს. ამ კაცი-ჭამიური პოლიტიკის მთავარ ღერძს შეიცავდა: რუსეთის მცირე ერების როგორც ეთნიკური და კულტურული ფერადები უნდა გამქრალიყო გრაფ ბობრინსკების და პურიშკევიჩების - „სრულიად სლავიანთა მომავალ მსოფლიო სახელმწიფოს“ ბრწყინვალების წინაშე. ეს პოლიტიკა უტიფრად და მოურიდებლად აგებდა რუსული სტილის ტაძრებს, აშენებდა რუსულ შკოლებს, აგზავნიდა ასიათას მოშხამულ რუსიფიკატორებს „განაპირებში'', რათა არასლავიანური შტრიხებიც წაეშალა გეოგრაფიულ კარტიდან. ერთის შეხვედით ეს მესამე რომის იმპერია უძლიერესი იმპერია იყო ყველა იმპერიათა შორის, რომელიც ქვეყანას ახსოვს, მაგრამ იგი დაილეწა როგორც თიხის კერპი და შემდეგ ის იყო, რომ რუსული პოლიტიკის ორბიტიდან გამოითიშნენ პოლონეთი, უკრაინა, ფილანდია, საქართველო და ყველა არა სლავიანური ერთეულები.

რადგანაც თავის ნებით არავის სურდა უმადურ რუსეთთან თანამშრომლობა. თუ ასი წლის წინათ რუსეთმა ოსმალეთისა და სპარსეთის ძალადობისგან გაგვათავისუფლა, დღეს ამავე რუსეთის ფერად შეცვლილმა მხედრობამ კონტრრევოლუციონერობისგან გაათავისუფლა ქართველი ხალხი.

ამ ლოზუნგით ისარგებლეს ტფილისში შემოხიზნულმა რუსის კონტრრევოლუციონერებმა და დაშნაკებმა და ქართველი კონტრრევოლუციონერად გამოაცხადეს. თქვენ უკეთ იცით, რომ ქართველი ხალხის კონტრრევოლუციონერად გამოცხადება ეს შეუძლებელი კონტრადიქციო ან ადიექტო იქნება.

საქართველოს ახალგაზრდობამ თავისი საუკეთესო სისხლი გაიღო რუსის მონარქიის დასაძლევად. ამავე ახალგაზრდობამ შეიტანა რევოლუციონური ცეცხლი სპარსეთში.

ბოლოს ვინ უარყოფს იმ ბრძოლის შედეგსა და მნიშვნელობას, რომელიც აწარმოვა ქართველმა სახელმწიფომ - თქვენი გუშინდელი მტრების, რუსეთის შავი გენერტლების წინააღმდეგ. ძველმა რუსეთმა 1783 წლის კონტრაქტის დარღვევიდან კიდევ რამოდენიმე ათეული წლის განმავლობაში ხელუხლებლად დასტოვა ზოგიერთი ატრიბუტებ ქართული სახელმწიფოებისა.

დღეს სულ ორიოდე თვეც არ გასულა და წითელმა რუსეთმა მოსპო ჩვენში ისეთი მთავარი ატრიბუტი სახელმწიფოებისა, როგორიცაა საზღვრები, რკინის გზა და ვინ არ იცის, რომ ქართული ენა საქართველოში პრაქტიკულად სახელმწიფო ენა აღარ არის...

დღეს ჩვენი კავკასიელი მტერ-მოყვარენი კომუნისტურ ნიღაბ ქვეშ საქვეყნოდ ღაღადებენ ტფილისში, ჩვენი დედაქალაქის ამიერკავკასიის რეზიდენციად და ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამიერკავკასიის უნივერსიტეტად გამოცხადების საჭიროებას. ასი წლის წინათ რუსეთის დიდმა პოლიტიკამ ქართველი ერი გამოიყვანა მოკავშირედ თავის აღმოსავლეთის პოლიტიკის ურთულესი მიზნის მისაღწევად, მაგრამ იმდენი პოლიტიკური ტაქტი ვერ გამოიჩინა, რომ თავისი ბუნებრივი მოკავშირე მტრად არ გადაეკიდებია.

დღევანდელი რუსეთი უფრო დიდ მასშტაბით აწარმოებს მსოფლიო პოლიტიკას. ამ პოლიტიკის მიზანთა რკალში საქართველოს აკისრებენ საკმაოდ რთულ მოვალეობას. საქართველო და ტფილისი უნდათ იმ ოპერაციების ბაზად გახადონ, რომელსაც აღმოსავლეთის გაკომუნისტების პოლიტიკა მოითხოვს.

ვინ არ იცის, რომ საქართველოში უფრო მეტი კომუნისტია, ვიდრე ტფილისური კომპარტიის რეგისტრაციაში ირიცხებიან, მაგრამ ისინი, როგორც ქართველი პატრიოდები ვერ თანამშრომლობენ წითელ რუსეთთან, ვიდრე საქართველოს სუვერენობა მხოლოდ დეკლარაციებში იქნება აღნუსხული.

შარშან „ბერლინერ ცაიტენ ბლატში“ ერთმა გერმანელმა მწერალმა პატარა ისტოიული ანალოგია გამოაქვეყნა: „ლენინი და პეტრე დიდი“, მე წინააღმდეგი ვარ ასეთი დაპირისპირებისა.

მე მგონია, როცა თქვენ თქვენზე დაკისრებული ისტორიული მისიას დაასრულებთ, ისტორიის ლოღიკა მოითხოვს თქვენს დაპირისპირებას ნაპოლეონ ბონაპარტესთან. თქვენ ამბობთ, კომუნიზმს საზღვრები არ უნდა ექნას.

ნაპოლეონი: საფრანგეთის იმპერიას იქ უნდა ექნას საძღვრები, სადაც მზე ამოდის და ჩადისო. ორივე აბსოლუტურად გენიები ხართ ორი დიდი რევოლუციისა. ნაპოლეონის მსოფლიო ისტორიული ამოცანა ორი მთავარი მუხლით ამოიწურება. ინგლისის მსოფლიო ბატონობის დახშობა და ევროპის ერთი დიდი კონფედერაციის შექმნა. უკანასკნელ შემთხვევაში ნაპოლეონი უარყოფდა ეთნურ შტრიხებს და ნიუანსებს, გენერალ ბონაპარტს ეწადა ევროპის რადიკალიზაცია, ხოლო თქვენ - როგორც აზიისა, ისე ევროპის.

თქვენ გაცილებით რადიკალური ხართ, თქმა არ უნდა, იმ მიზნებში უაზლოვდებით თქვენ კორსიკელ ბონაპარტეს, მაგრამ მიზნების პარალელიზმი სრულიადაც არ გავალებთ ორივე ერთად და ამავე დროს ფატალური შემთხვევის მსხვერპლი გახდეთ! ნუთუ დღეს ყველასათვის ცხადი არ გახდა, რომ ნაციონალური “ნიუანსების და შტრიხების“ წაშლა აწი აღარ შეიძლება?

მე მესმის, რომ ეს ვერ შეიგნეს კლემანსომ, ვუილსონ ლოიდ ჯორჯმა, ამიტომაც ვერსალის ზავში ისე გადაიხლართა ნაციონალური პრობლემები, რომ კიდევ რამდენიმე ათეული წლების განმავლობაში სისხლის ღვრა დასჭირდებათ ევროპელ ერებს, ვიდრე ნამდვილი ზავი ჩამოვარდება ქვეყანაზე. ვერსალის ზავის ავტორებმა ანგარიში არ გაუწიეს ამ ნაციონალურ „ნაციონალურ შტრიხებს და ნიუნანსებს“ გადაუწყვეტელი დარჩა ირლანდის, შოტლანდიის, ელზასის, ინდოეთის, არაბეთის, წინა აზიი ერების ბედი: ამიტომაც მეოცე საუკუნეში, ირლანდიაში, საჭირო გახდა მაკსვეინეის სამაგალითო პოლიტიკური მარტვილობა.

რამდენადაც რუსეთის კომუნიზმი ანტატის მოპირდაპირე იდეოლოგიაა, მემარცხენე რუსეთმა მაინც უნდა დაინახოს, რომ ამ ნაციონალური „შტრიხებისა და ნიუანსების“ მიფუჩეჩება მეოცე საუკუნეში აღარ შეიძლება ამის მსხვერპლი გახდა ნაპოლეონი. იგივე შეცდომები გაიმეორეს ვერსალში... სად იყო მერე მისი შეცდომების ცენტრის პუნქტი?

მთელი დასავლეთ ევროპის განვითარება გერმანიის ნაციის წმინდა რომის იმპერიის დამხობიდან დახასიათდებოდა ნაციონალური სახელმწიფოსათვის ბრძოლით. ამ ბრჯოლამ ააფეთქა გერმანიის ნაციის რომის იმპერია.

ნაციონალური სახელმწიფოს იდეის მსხვერპლი გახდა ჰაბსბურგების მსოფლიო იმპერია, ეს ვერ დაინახა ნაპოლეონმა, იგი ისე გაიტაცა ალბიონის ძეთა წინააღმდეგ ატეხილმა ბრძოლამ, რომ მან მთელი ევროპის კონცენტრაცია მოინდომა ფრანგული ტრიკოლორის, პარიზის გარშემო.

ნაპოლეონის ომებში გადაუჭრელი პრობლემებისათვის გაგრძელდა ბრძოლა უკანასკნელ მსოფლიო ომში. ვერც ვერსალის უზენაესმა საბჭომ შეიგნო ეს საყურადღებო მომენტი მსოფლიო ისტორიის პრობლემათა ფოკუსში.

თუ გენიალური ადამიანები მეტეორებია, რომელნიც გზას უნათებენ საუკუნეს, ყველამ გაიგოს საუკუნის დემონის კარნახი.

ყველამ წაიკითხოს ნაპოლეონის სანტ ჰელენის მარტვილობის დროს დაწერილი სტრიქონები: „თაობანი განგვიკითხავენ ჩვენ!“

საქართველოში ორიოდე თაობა შეიწირა ძველი რუსეთის ტლანქი ხელით შელახული ეროვნული პიროვნების რესტავრაციის იდეამ და ნაციონალურ სახელმწიფოსათვის ბრძოლამ. ვერავინ უარყოფს, რომ დღეს ტფილისში ძველი შეცდომების გამეორებას ლამობენ. თქვენი ტერმინოლოგიით „რუსული შაბლონის“ განმეორებას! თუ მემარცხენე რუსეთი დაინტერესებულია, რომ საქართველო რუსეთის საგარეო ორბიტაში მოექცეს, იგი ამ გზით მიზანს ვერ მიაღწევს.

მე პირადად, როგორც ქართველ პატრიოტს, სრულიად არ მაშინებს ყველაფერი ის, რაც დღეს ტფილისში ხდება.

საქართველოს დამოუკიდებლობის გარანტიად არასოდეს ჩამითვლია ის იმპრესიონისტულად შეთხზული ნოტები, რომელიც დემოკრატიული მთავრობის დროს პარიზიდან და ლონდონიდან მოდიოდნენ ტფილისში, საქართველოს „ფაქტიურ“ და „დეიურე“ ცნობის ჟამს. არც ის პათეტიკური სიტყვები, რომელთაც ანტანტის დიპლომატები გვიმასპინძლებოდნენ ტფილისურ ბანკეტებზე.

ერთადერთი გარანტია ჩვენი დამოუკიდებლობისა იყო არის და იქნება თვით ქართველი ხალხის შეგნებაში, რადგან ყოველივე განთავისუფლების დედაბოძი თვით თავისუფლების შეგნებაა. ეს შეგნება არ აკლია ქართველ ხალხს, უთხარით და მოსწერეთ იმ პოლიტიკოსებს, რომელნიც თბილისში ცუდ მეგობრობას უწევენ კომნისტურ რუსეთს:

ყველაფერი შეიძლება წაართვან პიროვნებას და ეროვნებას, მხოლოდ თავისუფლების შეგნებას ვერავინ წაართმევს მას. მერწმუნე: ეგებ საქართველოს ისეთი პოლიტიკური და კულტურული განვითარების სიმაღლეზე არ მიეღწიოს ჯერ, როგორც ირლანდიას, მაგრამ კეზმენტები და მაკსვეინები საქართველოს არასოდეს არ გამოელევა, ვიდრე სავსებით უზრუნველყოფილი არ იქნება მისი პოლიტიკური დამოუკიდებლობა.“ (კ. გამსახურდია. გაზ. „სოციალ-ფედერალისტი“. თბილისი. 1921 წ.)

ქართველი ხალხის უპირველესი იდეა თავისუფლებისკენ სწრაფვაა, ხოლო უმთავრესი ამოცანა, რომლის გადასაჭრელად ძალისხმევას არ იშურებდა მაშინდელი საქართველლოს მთავრობა იყო ქართული სახელმწიფოს შექმნა. მოპოვებული ფაქტობრივი სუვერენიტეტის განმტკიცებას ცდილობდა საქართველო საერთაშორისო არენაზე. ამ მიზნით გაემგზავრა საქართველოს ოფიციალური დელეგაცია პარიზში, სადაც 1919 წლის 18 იანვარს დაიწყო საზავო კონფერენცია. ჩვენი ოფიციალური წარმომადგენლები აქტიურად ჩაერთვნენ კონფერენციის მუშა პროცესებში. „1919 წლის 16 იანვარს, პარიზში ჩასვლის პირველსავე დღეს,

საქართველოს მემორანდუმით მიმართეს კონფერენციის გენერალურ მდივან დიუტასტს, რომლის კაბინეტის უფროსმა არნავონმა, ქართველებს ურჩია ჯერჯერობით მოლაპარაკება ეწარმოებინათ საფრანგეთის საგარეო საქმეთა პოლიტიკურ განყოფილებასთან, რაც მეორე დღესვე სისრულეში იქნა მოყვანილი.

იმავე დღეს, ამ ამბებამდე ცოტა ხნით ადრე, ლონდონში ფრანგების ელჩთან - პოლ კამრონისთან ზურაბ ავალიშვილის მიერ მიღწეული შეთანხმების თანახმად, ქართველმა ემისრებმა საფრანგეთის მთავრობასა და ყველა დიდ სახელმწიფოთა დელეგაციებს გადასცეს დოკუმენტების პაკეტი, რომელშიც განმარტებული იყო:

1. ოსმალეთთან და გერმანიასთან საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორიული მიმოხილვა.
2. ჩვენი ქვეყნის ურთიერთობა თავის გეოგრაფიულ მეზობლებთან
3. რა პოზიცია უჭირავს საქართველოს სამხრეთ რუსეთისა და ყუბანის თეთრგვარდიული მთავრობების მიმართ.

ყოველივე ამის შემდეგ პარიზის სამშვიდობო მოლაპარაკებებში მონაწილე დელეგაციათა კანცელარიებში გაიხსნა საქმე სახელწოდებით „საქართველო““ (გ. შარაძე. იქვე გვ. 162).

ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო სამართლის სრულფასოვან სუბიექტად აღიარების საკითხში მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნებოდა საქართველოს გაწევრიანება იმდროისათვის ახლად შექმნილ ერთა ლიგაში. როგორც მკვლევარი გ. შარაძე აღნიშნავს: „ ამ მიზნით... ჟენევაში მივლინებულ იქნა ეროვნული მთავრობის დიპლომატიური მრჩეველი - ზურაბ ავალიშვილი, რომელიც შვეიცარიაში საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელთან მიხეილ სუმბათიშვილთან ერთად უფლებამოსილი გახლდათ ეწარმოებინა მოლაპარაკებები საქართველოს გასაწევრიანებლად ერთა ლიგაში, რომლის პირველი საერთო კრება 1920 წლის 15 ნოემბრისთვის იყო მოწვეული. ორგანიზაციის დამფუძვნებელი აქტის ძალით ლიგაში შედიოდნენ: პირველი-ძირითადი წევრები, ანუ პირველ მსოფლიო ომში

გამარჯვებული მოკავშირე 32 სახელმწიფო, რომლებმაც ხელი მოაწერეს „ვერსალის ხელშეკრულებას“, მეორე - ომის დროს ნეიტრალიტეტის დამცველი 13 ქვეყანა მიპატიჟებული ლიგის მიერ, რათა განსაზღვრულ დროში გაეზიარებინათ დამფუძვნებელი აქტი და რომელთაც ისარგებლეს ამ უფლებით.

დანარჩენი ახლადაღმოცენებული სახელმწიფოებისთვის, დომინიონებისა თუ კოლონიებისათვის, გაერთიანების წევრად დაწესებული იყო განსაკუთრებული რიგი. 1920 წლის 15 ნოემბერს მოწვეული ერთა ლიგის პირველი საერთო კრების პროგრამაში სხვა საკითხებთან ერთად შედიოდა სწორედ მთელი რიგი ასეთი არაწევრი ქვეყნების შუამდგომლობის გარჩევა, ორგანიზაციის წევრად მიღების თაობაზე, მათ შორის საქართველოსი.“ (გ. შარაძე. იქვე, გვ. 168.) იმავე თემასთან დაკავშირებით ძალზედ საყურადღებო ფაქტორი გახლდათ ის გარემოება, რომ ერთა ლიგის წესდების თანახმად, ლიგის წევრი სახელმწიფოს მიმართ გამოჩენილი აგრესიის შემთხვევაში, ერთა ლიგის ყველა წევრი იღებდა ვალდებულებას დახმარებოდა სამხედრო თუ სხვა საშუალებებით საკუთარი ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოს: - „ ახლადშექმნილი საერთაშორისო გაერთიანების მიმართ განსაკუთრებული იმედის მზერა ჰქონდათ მიპყრობილი და დიდ ინტერესს იჩენდნენ ყოფილი რუსეთის ტერიტორიაზე აღმოცენებული ახალი სახელმწიფოები. ისინი განსაკუთრებული ნდობით ეკიდებოდნენ ლიგის ცნობილ X მუხლს, რომელიც ორგანიზაციაში წევრად შესვლის მსურველი, „ძლავრი და გაუმაძღარი მეზობლებით გარშემორტყმული სუსტი ქვეყნისთვის“ ერთი შეხედვით საკმაოდ დამაიმედებლად გამოიყურებოდა: „ლიგის წევრები თავის თავს მოვალედ თვლიან პატივით მიეპყრან და ყოველივე გარეშე თავდასხმისგან დაიცვან ტერიტორიული მთლიანობა და სახელმწიფოს ეხლანდელი დამოუკიდებლობა ლიგის ყველა წევრისა. თუ ადგილი ექნა თავდასხმას, მუქარას ან თავდასხმის საშიშროებას, საბჭო მოისაზრებს იმ საშუალებებს, რომელნიც უზრუნველყოფენ მიღებული მოვალეობის სისრულეში მოყვანას“ (გ. შარაძე. იქვე, გვ. 171).

საქართველოს აქტიურობა საერთაშორისო ასპარეზზე ბუნებრივია რუსეთს შეუმჩნეველი არ დარჩენია. მას კარგად ჰქონდა გაცნობიერებული ის გარემოება, რომ თუ საქართველოს მთავრობა მიაღწევდა საწადელს და მოიპოვებდა დასავლეთის ქვეყნების მხარდაჭერას, ამ შემთხვევაში რუსეთს მოუწევდა საკუთარი პოლიტიკური ინტერესებისათვის გადაეხედა და საბოლოოდ ხელი აეღო საქართველოს სუვერენიტეტის შელახვისა და ოკუპაციის განზრახვისგან. რუსეთის ხელისუფლებაში ხედავდნენ და აცნობიერებდნენ, რომ საქართველო თანდათან შორდებოდა რუსულ ორბიტას და ევროპის დიდ ოჯახს უახლოვდებოდა. იმ შემთხვევაში თუ სწრაფად და ეფექტურად არ იმოქმედებდნენ, საბოლოოდ დაკარგავდნენ გავლენას საქართველოზე. სწორედ ამიტომ შემუშავდა ამიერკავკასიის და კერძოდ საქართველოს ოკუპაციის გეგმა. შეიძლება ითქვას, რომ ამ გეგმის ნაწილი იყო რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება, რომლითაც 1920 წლის 7 მაისს რუსეთმა აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა. ეს იყო ტაქტიკური უკან დახევა, რადგან რუსეთს პოლონეთთან დაძაბული ვითარების გამო არ სურდა სამხრეთითაც გაერთულებინა სიტუაცია. ყოველივე ამის შესახებ ძალზედ საინტერესოა თვითმხილველისა და საქართველოს მხრიდან ხელშეკრულების ხელმომწერის, გრიგოლ ურატაძის მოგონებები, სადაც იგი აღწერს იმ ვითარებას თუ რა წიაღსვლები ახლდა თან რუსეთის მხრიდან საქართველოს აღიარების ფაქტს. კერძოდ, იგი წერს: „მატარებლით ჩავედი მოსკოვში. პირველ ყოვლისა, ვინახულე ლენინი და ჩემი მისია გავაცანი. ქართველი მენშევიკები - მიპასუხა მან, - სულ სხვა ხალხი ხართ, თქვეთან მუშაობა შეიძლება, მაგრამ იმ აუცილებელი პირობით, რომ თქვენი ტერიტორია არ იქნება გამოყენებული უცხო ჯარების მიერ საომარ ბაზად ჩვენს წინააღმდეგ. მე მივეცი სათანადო განმარტება, რის შემდეგ პირადი მდივნის პირით აცნობა საგარეო საქმეთა კომისარს - ჩიჩერინს დაეწყო ჩემთან მოლაპარაკება და რაც შეიძლება დაჩქარებით დაესრულებია. მისგან ასე ადვილად დათანხმება მოლაპარაკებებზე შეიძლება აიხსნას ერთი მხრით იმით, რომ ბაქო თავისი ნავთით უკვე მის ხელში იყო

და აღარ სურდა გაერთულებია მდგომარეობა კავკასიაში, მით უფრო რომ კარზე ედგა ომი პოლონეთთან.

მეორე ღამეს ვინახულე ჩიჩერინი...ჩიჩერინმა თავისი მოადგილე კარახანი დანიშნა თავის წარმომადგენლად და დავიწყე მასთან მოლაპარაკება. ხელშეკრულების ტექსტის შედგენა ადვილად მოხერხდა. არც საზღვრების საკითხს გამოუწვევია დიდი დავა, შეიძლება იმიტომ - როგორც შემდეგ ერთმა გლეხმა მითხრა ციხეში - „რატომ დაგიწყებენ დავას, თურმე, მთელი საქართველოს ერთად წაღებას ფიქრობენო!“

ზავის შეკვრის დროს ორჯონიკიძე უკვე აზერბაიჯანში იყო თავისი ჯარებით და ყველაფერს შვრებოდა, რომ მოსკოვი საქართველოს დაპყრობის ფაქტის წინაშე დაეყენებია. ეს ჩემთვის სავსებით ნათელი გახდა, როცა გავიგე, რომ წითელი ჯარები იბრძვიან საქართველოს საზღვარზე აზერბაიჯაინს მხრიდან. მაშინვე მივმართე ლენინს პროტესტით და განვაცხადე, რომ თუ არ მიიღებდა საჭირო ზომებს, იძულებული ვიქნებოდი შემეწყვიტა მოლაპარაკება. ლენინმა ტელეფონით უბრძანა კარახანს დაუყოვნებლივ გადაეცა ორჯონიკიძისთვის, რომ თუ საქართველოსთან წითელ ჯარებს შეტაკება მოუხდებოდა, პასუხისმგებელი პირადად ორჯონიკიძე იქნებოდა. ღამის ოთხ საათზე მე და კარახანმა პირდაპირი მავთულით გადავეცით ორჯონიკიძეს ლენინის ეს განკარგულება ბაქოში. ორჯონიკიძემ გვიპასუხა:“არ ვეთანხმები, მაგრამ ვემორჩილებიო!“

შვიდ მაისს ხელი მოვაწერეთ ხელშეკრულებაზე. ბოლშევიკების გულწრფელობა არასდროს გვწამდა, მათ ბუნებას ჩვენ კარგად ვიცნობდით, ვიცოდით, რომ მათი ნდობა არ შეიძლებოდა, მაგრამ თუ ასე ცინიკურად დაარღვევდნენ ხელშეკრულებას და ისიც ისე მოკლე ხანში - ამის დაჯერება კი ძნელი იყო. საბჭოთა მთავრობამ თავის მოვალეობად გაიხადა, რომ ის არასგზით არ ჩაერეოდა ჩვენს შინაურ საქმეებში, მაგრამ გულში მაინც ინახავდა და აღვივდებდა ჩვენი ქვეყნისადმი მტრობას.“ (გ. შარაძე. იქვე, გვ. 196.)

გრიგოლ ურატაძის ძალზედ მნიშვნელოვან ცნობაში მოყვანილი ფაქტები ცხადყოფს, რომ რუსეთი შექმნილ ვითარებას უწევდა ანგარიშს და არ ჩქარობდა საქართველოს ანექსიას, თუმცა ამ განზრახვისგან ხელი არ აუღია. იგი მუდმივად ჰკრებდა ცნობებს საქართველოს სამხედრო შეიარაღებული ძალების შესახებ და მხოლოდ ხელსაყრელ დროს უცდიდა, რათა საქართველოში საბჭოთა წყობილება დაემყარებინა. ამის შესანიშნავი მაგალითია, მეთერთმეტე არმიის სარდლის, გენერალ ჰეკერის მოხსენება „კავკასიის რევოლუციურ-სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე, სერგო ორჯონიკიძისადმი:-

„1920 წლის 18 დეკემბერი. საიდუმლო.

თქვენი წერილის, №1753, საპასუხოდ ქვემოდ მოგახსენებთ მოსაზრებებს თუ რა პირობებში უნდა მოხდეს საქართველოში შეჭრა და რა უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული ამისთვის:

1. საერთაშორისო მდგომარეობა, ჩვენი დამოკიდებულება თურქეთთან.

2. ჩვენი ძალების მდგომარეობა, რომელთა გადაჯგუფება განსაზღვრულ ვადაში შეიძლ;ება თავდასხმის პუნქტებზე.

3. ქართული ჯარის მდგომარეობა და რიცხვობრივი ძალა.

4. მდგომარეობა ჩვენს ზურგში.

როგორც უკვე მოგახსენეთ, „მე-11 არმიის რევოლუციურ-სამხედრო საბჭოს“ კრებაზე ამა წლის 1920 3 დეკემბერს, საქართველოს წინააღმდეგ ოპერაციები შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობებში, თუ კიაზიმ კარაბეკირის (ქემალისტური თურქები) ჯარები დაიცავენ გარკვეულ მეგობრულ ნეიტრალიტეტს, რადგან იმ შემთხვევაშიც, თუ ამ ოპერაციისთვის დაინიშნებიან მეთერთმეტე არმიის გარდა, მთლიანად მეცხრე არმია და მეორე არმიის კავალერია, ჩვენს კომანდობას არ ეყოლება საკმარისი ძალები თურქების წინააღმდეგ ჯებირი რომ შევქმნათ. ჩვენი უწყების ცნობების მიხედვით, კიაზიმ კარაბეკირის ძალები, სარაკამიშ-ალექსანდრეპოლის

ხაზზე აღწევს 22-24000 რეგულარულ ჯარისკაცს და 14-16000 ქურთ და თათარ კავალერისტს. ვიღებთ რა მხედველობაში სომხურ ჯარის სისუსტეს, რომელიც სრული დაშლის კრიზისს განიცდის და, რომელიც საფუძვლიან რეორგანიზაციას მოითხოვს, ჩვენ თურქების შესაკავებლად უნდა დავაყენოთ ჯარები, რომლებიც ერთ ქვეით. დივიზიაზე და ერთ კავალერიის ბრიგადაზე მცირე არ იქნება. ამ შემთხვევაშიც კი ჩვენი ოპერაცია ყაზახ-წითელი ხიდის მიმართულებით და შორსაც, თბილისისაკენ, შეფერხებული იქნება. ქართული ჯარის ნაწილების მიერ სერიოზული წინააღმდეგობის შემთხვევაში, ჩვენი ჯარები შეიძლება კატასტროფიულ მდგომარეობაში ჩავარდნენ.

ამგვარად, მე არ ვხედავ შესაძლებლობას ასეთი ჯიბრის მოსაწყობად, მითუმეტეს სამხედრო ოპერაციების დასაწყისში ვერ გავბედავ, გამოვიყენოთ ჯარები, რომლებიც დაკავებული არიან ლენქორანში, დაღესტანში, ჯავუშირში და ყარაბახში.

ასეთი პირობებში, ჩემი ღრმა რწმენა არის, რაც წერილობით უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი ურთიერთობის თურქებთან წინასწარი მოგვარების გარეშე საშიში იქნება საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციების დაწყება.

თუ მეთერთმეტე არმიის რევოლუციური-სამხედრო საბჭო მიიღებს რეალურ გარანტიებს იმისას, რომ კიაზიმ კარაბეკირის ჯარები ჩვენს მიმართ მეგობრულ განწყობილებას დაიჭერენ, საქართველოს ოკუპაციის პრობლემა, და, უპირველესად თბილისის, უფრო რეალური გახდება. საქართველოს წინააღმდეგ სრულიად უსაშიშრო ოპერაციის ჩასატარებლად მე მიმაჩნია საჭიროდ შემდეგი ძალების თავმოყრა: ყაზახ-წითელი ხიდის ხაზზე ორი ქვეითი დივიზია და ორი კავალერიის დივიზია, ფოილოსაკენ ქვეითი ჯარის ერთი დივიზია და კავალერიის ორი დივიზია, აღასტაფა, ელიზავეტოპოლის ხაზზე ორი დივიზია. სულ 6 დივიზია ქვეითი ჯარისა და 5 კავალერიისა. სრული ნამდვილი რიცხვით: 25 ათასი ხიშტი და 4000 ხმალი.

გენერალ ჰეკერის საიდუმლო მოხსენებიდან კარგად ჩანს თუ სინამდვილეში რა განზრახვა ამოძრავებს რუსეთის ბოლშევიკურ ხელისუფლებას: იგი სრული

რესურსების მობილიზებას ცდილობს, რათა საკუტარი გავლენა აღადგინოს საქართველოზე. სწორედ ამ გეგმის ნაწილია 1918-1920 წლებში ცხინვალის რეგიონში განვითარებული მოვლენები, როდესაც ოსმა ბოლშევიკებმა რუსეთის წაქეზებით არაერთი აჯანყება მოაწყო საქართველოს ეროვნული მთავრობის დასასუსტებლად. 1918-1920 წლებში ოსთა კარგად შეიარაღებული რაზმები დაძრწოდნენ და ანადგურებდნენ როგორც ადგილობრივ ქართულ მოსახლეობას, ასევე მათი მეშვეობით ოსი რევოლუციონერები და ქართველი მოღალატე ბოლშევიკები: ს. ორჯონიკიძე, ფ. მახარაძე, ა. გეგეჩკორი და სხვები ცდილობდნენ გაემწვავებინათ ვითარება და პოლიტიკურ ჭრილში აეყვანათ სამხრეთელ ოსთა საკითხი: „რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მითითებით 1919 წლის 12 ივნისს ჯავაში შეიკრიბა არალეგალური პარტიული კონფერენცია, რომელმაც შექმნა რკბ (ბ) სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტი, ამ ორგანოს დავალება მიეცა „დაერაზმა ოსი მოსახლეობა“ დემოკრატიული საქართველოს მთავრობის დამხობისათვის. 1920 წ. მაისშო სამხრეთ პსეთი ამ რაზმებმა დროებით წარმატებას მიაღწიეს და საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. შეიქმნა სამხრეთ ოსეთის რევკომი, რომელმაც 8 ივნისს გამოსცა ასეთი ბრძანება“: :ცხადდება საბჭოთა ხელისუფლება ტერიტორიაზე ონიდან დუშეთამდე... მთელი ძალაუფლება ეკუთვნის სამხრეთ ოსეთის რევკომს... ეცნობოს რსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს, რომ სამხრეთ ოსეთის მშრომელთა სურვილია რუსეთთან შეერთება.“ (ა. სურგულაძე, პ. სურგულაძე. საქართველოს ისტორია. თბილისი 1992. გვ. 210)

ამ უკანონო მოქმედებებიდან ნათელია, რომ ისთა მიგრაციამ საქართველოში შეიძინა უკვე აშკარა პოლიტიკური ხასიათი, რაც სავსებით ჯდებოდა რუსეთის სახელმწიფო ინტერესებში. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე საქართველოს მთავრობამ ნოე ჟორდანიას ხელმძღვანელობით მიმართა საქართველოში მყოფ საფრანგეთის, ინგლისის, აშშ-სა და იტალიის დიპლომატიურ წარმომადგენლებს და მიაწოდა მათ შექმნილი უმძიესი ვითარების შესახებ ამომწურავი ინფორმაცია:

„...ჩვენ მივიღეთ ფაქტიური აღიარება, რისთვისაც მადლიერნი ვართ, მაგრამ მხოლოდ შიშველი აღიარება არავითარ უპირატესობას არ გვანიჭებს ჩვენი თავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი არსებობის საბოლოოდ დაცვის საქმეში. ჩვენი საზღვრები არა მხოლოდ დაუცველია, არამედ აღიარებულიც არ არის...

განსაკუთრებით გვანცვიფრებს ანტანტის ქვეყნების დამოკიდებულება საქართველოს ჩრდილოეთ საზღვრებისადმი, რომლებისკენაც ბოლშევიკები მიილტვიან ჩვენი სახელმწიფოს გასანადგურებლად. ჩვენ არაერთხელ გთხოვეთ მხარდაჭერა ამუნიციითა და სურსათით, დახმარება აღგვითქვეს, მაგრამ დღემდე არ მიგვიღია არც ერთი ვაზნა, არც ერთი ფუნტი პური. ახლა კი დადგა დრო, როდესაც ლოდინი უკვე შეუძლებელია და ვეღარ დავკმაყოფილდებით მხოლოდ დაპირებებით. ჩვენ მარტონი დავრჩით ან იმიტომ, რომ თქვენი მთავრობები არ არიან საკმარისად ინფფორმირებულნი, ან კი ბოლშევიკური რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის განადგურებას არ თვლიან აღმოსავლეთში თავისი ინტერესების ხელყოფად.

ამგვარ ვითარებაში ჩვენი ხალხის ინტერესები საქართველოს მთავრობას იძულებულს ხდის თქვენი დახმარების გარეშე, დაუყოვნებლივ გამონახოს გადარჩენის გზები. ძნელი სათქმელია, რა მსხვერპლის ფასად დაუჯდება ეს საქართველოს, მაგრამ იგი დიდი რომ იქნება, უეჭველია.

გაცნობებთ რა ამას დროულად, ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი გადაწყვეტილება მიღებული იქნება არა როგორც თქგვენგან განდგომა, არა როგორც მუქარა, არამედ ჩვენგან დამოუკიდებელი ვითარებით გამოწვეული ნაბიჯი.

ამასთანავე, საქართველოს მთავრობა იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას ამიერკავკასიაში ჩვენი პოლიტიკური გზების აცდენით გამოწვეულ შესაძლო მოვლენათა გამო.“ (ა. ბაქრაძე, ო. ჩუბინიძე. კრებული ოსთა საკითხი. თბილისი. 1996. გვ.280-281.)

ბოლშევიკური რუსეთის საქართველოში შემოჭრას ნოე ჟორდანია ყოველთვის სკეპტიკურად აფასებდა, თუმცა უაღრესად საყურადღებოა ნოე ჟორდანიას განცხადება დამფუძვნებელ კრებაზე 1921 წლის 21 თებერვალს და გთავაზობთ მისი გამოსვლის სრულ სტენოგრაფიულ ჩანაწერს:

„მოქალაქენო ახლა თანდათან ირკვევა ომის გამომწვევი მიზეზი და აგრეთვე ის მიმართულება, რომელსაც ომი ახლო მომავალში მიიღებს.

ირკვევა, რომ საბჭოთა მთავრობას დიდი ხნიდან ჰქონია განზრახვა საქართველოში გადატრიალება მოეხდინა და საბჭოთა ხელისუფლება გამოეცხადებია, მაგრამ მათ აქამდე ვერ შეძლეს ამის განხორციელება, რადგან არ ჰქონდათ საკმარისი საბაბი. ხოლო ამ ათი დღის წინ იპოვეს ეს საბაბი ლორის რაიონში. იქ მათ გამოაცხადეს ადგილობრივი საბჭოთა ხელისუფლება და აი, ვითომ მის დასახმარებლად მოდის რუსის ჯარი.

სწორედ ამ თვის თხუთმეტს გაიცა ბრძანება აზერბაიჯანში და სოხმეთში მყოფ ჯარებისადმი და ეს ბრძანება ჩაგვივარდა ჩვენ ხელში ტყვეების საშუალებით. ამ ბრძანებაში ნათქვამია, რომ გადაწყვეტილია თბილისის აღება და საქართველოს საბჭოთა სისტემაზე გადაყვანა. იქ ჩამოთვლილია თუ რომელ ჯარის ნაწილმა რა უნდა გააკეთოს, როდის უნდა იქნას აღებული ესა თუ ის დაბა, ქალაქი თუ სოფელი. ბოლოს ნათქვამია, რომ 19 თებერვალს უნდა იქნას აღებული თბილისი.

ამ ჯარის პირველი შემოტევა, როგორც იცით, იყო უეცარი, მოულოდნელი, სრულიად მუხანათური და, აი, ამ უეცარმა და მოულოდნელმა შემოტევამ შეარყია ჩვენი ჯარის მდგომარეობა იქ, საცა ეს ჯარი იდგა. და შეარყია იმ ზომამდე, რომ იყო მომენტი, როცა ბორჩალოს მაზრაში საზღვარზე მდგარმა ჯარებმა სრულიად ვერ შეძლეს წინააღმდეგობის გაწევა. მაგრამ საბედნიეროდ უნდა ითქვას, რომ ჯარმა და აგრეთვე ჩვენმა ხალხმა სწრაფად შეიგნეს მდგომარეობა, გამოსწორდნენ და დროზე შეუდგნენ საორგანიზაციო სამხედრო მუშაობას.

ეს სწრაფი აღდგენა მდგომარეობისა, წინათ დასუსტებული ჯარების ეს ახალი შეჯგუფება, ეს სწრაფი თავის მოყრა ჯარების და მათი სწრაფი შეკავშირება, არის მიზეზი, რომ ჩვენ დღეს აქ (თბილისში) ვიმყოფებით. ეს ჩვენ ლორიდან დავიწყეთ, როცა შევამჩნიეთ, რომ ერთი მხრით, ამ მუხანათურმა თავდასხმამ შეარყია ჩვენი ჯარი, ხოლო, მეორე მხრით, მოსალოდნელი იყო , რომ აზერბაიჯანიდანაც დაგვსხმოდნენ თავს. ჩვენი მიზანი შეიქნა გამოგვეყვანა ეს დასუსტებული ჯარი ბორჩალოს მაზრიდან და უკეთესი პოზიციები დაგვეკავებია. უკან დახევა ალაგ-ალაგ წარმოებდა წესიერათ, ალაგ-ალაგ არ ხდებოდა წესრიგით, როგორც ეს უკანდამხევ ჯარს შეეფერება. საერთოდ კი, იქ მდგომ ჯარის დიდმა ნაწილმა დაიხია წესიერად, ან გამოვიდა ნაწილ-ნაწილად. გამოსულები დაღლილი იყვნენ, მაგრამ არა საბოლოოდ გატეხილი. მათ მხოლოდ ერთი-ორი დღის დასვენება ესაჭიროებოდათ, რომ ისეთივე ჯარისკაცები გამხდარიყვნენ, როგორც ახალგამოყვანილი მოემრები. აქ არ მომხდარა ის, რაც ჩვენ ვნახეთ ბათომში 1918 წელს. საკვირველი ისაა, რომ, მიუხედავად უეცარი თავდასხმისა, მიუხედავად მოულოდნელი გამოსვლისა, დეზერტირობას ადგილი არ ჰქონია.

ამგვარად, ამ დროის განმავლობაში ჩვენ შევძელით გამოგვეყვანა მტრის წინააღმდეგ კარგად გაწვრთნილი, შეიარაღებული და ერთსულოვნებით განმსჭვალული ჯარი.

პირველი დიდი ბრძოლა, რომელიც ჩვენ მტერს მივეცით, ეს იყო 19 თებერვლის ღამით. ბრძოლა ხდებოდა დიდ ფრონტზე, დაახლოებით ასი ვერსის მანძილზე. 18 და 19 თებერვალს ადგილი ჰქონდა მტრის შემოტევას მთელი ამ ფრონტის სივრცეზე და თქვენ გახსოვთ ეს დიდი ბრძოლა. 19-ს დილით გამოირკვა, რომ ჩვენ შევძელით მტრის ცენტრის გარღვევა და ის სავსებით დამარცხდა. შემდეგ, 19 თებერვალს დილით მოხდა ბრძოლა ჩვენს მარცხენა ფლანგზე. იქ ყარაიაზის მიდამოებში, მტერმა ნამეტანი წამოიწია წინ, მივიდა მარტყოფში, ლილოში და აქ, 19 თებერვალს, მოხდა ჩვენი მასთან შეტაკება; ჩვენ ვაიძულეთ ის უკან დაეხია, გავრეკეთ ყარაიაზში.

მხოლოდ დღეს, 21-ს და წინა ღამით, მოხდა დიდი ბძოლა მარჯვენა ფლანგზე. აქ ბრძოლა თითქმის ისეთივე მწვავე იყო, როგორც ცენტრში. უნდა ითქვას, რომ საბჭოთა ჯარი შეტევას აწარმოებს დიდი გაფართოებით, მტკიცედ და დისციპლინასაც იჩენს. გასულ ღამით, კოჯორის მიდამოებში მდგარ ჩვენს ჯარებს თავს დაესხნენ და მოინდომეს გაერღვიათ ერთი ადგილი, რომელიც არ იყო საკმარისად დაცული. აქ მათ დახვდნენ იუნკერები და თქვენ იცით, რომ გაიმართა დიდი ბრძოლა, გრანატებით და ხიშტებით, მაგრამ აქაც მათ სასტიკი დამარცხება განიცადეს. მტრის ჯარს რამდენიმე ისეთი მაღლობი ეჭირა, რომ ზედ ზარბაზნები დაედგათ, შეიძლებოდა მთელი თბილისის განადგურება. გუშინ მივიღეთ ჩვენ ზომები ამ მაღლობების წასართმევად. ეს იყო ჩვენი გამარჯვების პირველი ნაბიჯი და უნდა ითქვას, რომ ასეთი მიუდგომელი ადგილები, ასეთი მაღლობები, სადაც მტერი იყო გამაგრებული, ჩვენი გვარდიის ნაწილებმა იერიშით აიღეს ისე, რომ ერთი კაციც არ დაუკარგავთ ამ ომში გამოირკვა, რომ საბჭოთა ჯარი ვერ უძლებს შეტევას. თვით ის მხნედ უტევს, მაგრამ მის წინააღმდეგ წარმოებულ შეტევას ის ვერ უმკლავდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას რომ მოგერიების უნარი ჰქონდეს, ასეთ სიმაღლეებს ის არ დასტოვებდა.

უნდა ითქვას, რომ ჩვენი ჯარი და გვარდია სამაგალითო მხნეობას იჩენენ, მე მგონია, რომ ჩვენს ხალხში გაიღვიძა, აჩქეფდა ჩვენი წინაპრების სისხლი, იმ წინაპრების, რომელნიც შემოჭრილ მტრის ურდოებს პატარა რაზმებით ამარცხებდნენ.

ახლა მინდა მოგახსენოთ თუ ვისი თაოსნობით წარმოებს თავდასხმა და ვინ წინამძღოლობს ამ საბჭოთა ძალებს საქართველოს წინააღმდეგ. იცით ალბათ, რომ აქ გამოგზავნეს და დაარიგეს ფურცლები, სადაც სწერია, რომ შულავერში შედგა „საქართველოს მთავრობა“ , და ეს შულავერში შეყენებული მთავრობა ყოფილა თურმე ჩვენი ხალხის ნამდვილი ხელისუფლება, რომელიც მოუწოდებს ჩვენ ხალხს, დამფუძვნებელ კრებას, გადააყენონ თავიანთი ხელისფლება. გადააგდონ იგი და

იცნონ „შულავერის მთავრობა“. ეს ის ხალხია, რომელიც ესწრაფვის უცხო ქვეყნის ხიშტების საშუალებით დააწესოს თავისი ხელისუფლება, თავისი მმართველობა. ესენი არიან:

მახარაძე ფილიპე, ორახელაშვილი მიმია, მდივანი ბუდუ, ელიავა შალვა, ოკუჯავა მიშა, დუმბაძე ლადო, ნაზარეტიანი ომარი, გეგეჩკორი ალექსანდრე და კვირკველია. და, აი, ბატონებო, ამ ქართველთ, ამ ჩვენ ქვეშევრდომთა სურვილს, რომელნიც მტერს მოუძღვიან და ცდილობენ ცეცხლითა და მახვილით მოსპონ ქართველი ხალხი და გახდნენ საქართველოს ტირანები, მათ ამ სურვილს ქართველი ხალხი არასოდეს არ მიიღებს. ამ სირცხვილს ქართველი ხალხი არასოდეს, არავითარ გზით თავის თავზე არ აიღებს. იმისთვის ხომ არ უშრომია, იმისთვის ხომ არ გადმოუგდია მას პეტერბურგის მთავრობა, რომ „შულავერის მთავრობა“ მიეღო. მე ვამბობ, როცა ქართველი ხალხი გაიგებს, რა ვაჟბატონები აპირებენ მის გათელვას, ქართველი ხალხის სულიერი განწყობილება კიდევ უფრო განმტკიცდება და ის იტყვის: „ან სიკვდილი, ან გამარჯვება!“ (ა. სურგულაძე, პ. სურგულაძე. საქართველოს ისტორია. თბილისი 1992. გვ. 392-395.)

მიუხედავად ქართული არმიის და ქართული საზოგადოების მიერ გაწეული წინააღმდეგობებისა, რუსულმა სამხედრო მანქანამ უხეშად გათელა ქართველი ერის ნება დამოუკიდებლობის და სუვერენიტეტის შესახებ. რუსეთმა განახორციელა საქართველოს სრული ოკუპაცია და 1921 წლის 21 თებერვალს დაიკავა საქართველოს დედაქალაქი.

საქართველოს ანექსიის პროცესში, ბუნებრივია, ოსთა აჯანყებები სერიოზულ ზიანს აყენებდა ქართულ სახელმწიფოებრივობას. გარდა მეთერთმეტე რუსული არმიისა და ტურქეთის საჯარისო ფორმირებებისა, რომელთა ერთობლივად წარმოებულმა საომარმა მოქმედებებმა ძლიერ დაასუსტა ქართული სამხედრო წინააღდეგობის ხარისხი. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ოსებმაც გახსნეს სრულმასშტაბიანი საომარი ფრონტი და მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენეს

საქართველოს დამოუკიდებლობას. ეს ფაქტი შემდგომში სერიოზულ როლს ითამაშებს სამხრეთელი ოსებისთვის პოლიტიკური ავტონომიის მინიჭების საკითხში თანაც იმაზე უფრო ადრე, ვიდრე ოსების ისტორიულ სამშობლოში, ჩრდილოეთ ოსეთში. მხოლოდ აღნიშნული ფაქტიც კი საკმარისია იმ დასკვნის გასაკეთებლად, რომ ოსთა მიგრაციამ საქართველოში და სოციალურ-ეკონომიკური ხასიათიდან წმინდა პოლიტიკური სახე მიიღო.

დასკვნა

1.ქართულ ისტორიოგრაფიაში არაერთი თაობა იკვლევდა ქართულ–ოსურ ურთიერთობების საკითხებს.

ისტორიული წყაროებით ირკვევა, რომ შუა საუკუნეებამდე ოსთა მასიურ გადმოსახლებას ცენტრალური საქართველოს ანუ შიდა ქართლის მთიანეთში ადგილი არ ჰქონია. ისტორიას არ შემოუნახავს არანაირი დოკუმენტი, რომელიც საქართველოში, ოსური ახალშენების შექმნას დაადასტურებს უძველეს დროში.

2. XIII-XIV საუკუნეებში ოსებმა იწყეს მიგრაცია ჩრდილოეთ კავკასიის ვიწრო ხეობებში. ამის ძირითადი მიზეზი იყო მონღოლ–თათართა გამანადგურებელი ლაშქრობები რუსეთის სახმრეთ სტეპებში. გადარჩენილ ოსთა დიდმა ნაწილმა ჩრდ. კავკასიის ხეობებს შეაფარა თავი.

XIII საუკუნეში ოსების მხრიდან იყო მცდელობა დამკვიდრებულიყვნენ ქართლში, რაშიც მათ აქტიურად ეხმარებოდნენ მონღოლები. ოსებმა ისარგებლეს მძიმე პოლიტიკური პირობებით, რომელიც არსებობდა საქართველოში და სცადეს ქართლში დამკვიდრება. თავდაპირველი წარმატებების მიუხედავად ოსების მცდელობა ჩაშალა გიოროგი ბრწყინვალემ, რომელმაც დაამარცხა და განდევნა საქართველოდან ოსთა რაზმები, ხოლო კავკასიის გადმოსასვლელი გზები საიმედოდ ჩაკეტა.

ამრიგად, ,,XIII-XIV საკუნეებში ოსების არანაირ მირაციას და შიდა ქართლის ტერიტორიაზე დამკვიდრებას ადგილი არ ჰქონია.

3. კავკასიის მთავარი წყალგამყოფი ქედის ჩრდილოეთით მდებარე ისტორიული დვალეთის ტერიტორიაზე შეღწევა, ოსებმა მეთხუთმეტე საუკუნის დასაწყისიდან დაიწყეს. ამ მოვლენის ძირითადი მიზეზი გახლდათ თემურ–ლენგის გამანადგურებელი თავდასხმები ოსეთზე, რამაც აიძულა ოსური მოსახლეობა თავშესაფარი ეძია საქართველოს განუყოფელი ნაწილის დვალეთის ტერიტორიაზე.

ოსთა დვალეთში შემოსახლებას ხელი შეუწყო მაშინდელი საქართველოს

უაღრესად მძიმე პოლიტიკურმა სიტუაციამ, რის გამოც თავად დვალებმა ოსებს ვერ გაუწიეს წინააღმდეგობა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში განსახლდნენ. ადგილზე დარჩენილმა დვალეთის მოსახლეობამ ოსების მხრიდან სრული ასიმილაცია განიცადა, თუმცა ეს პროცესი ხანმოკლე არ ყოფილა და რამდენიმე საუკუნეს გაგრძელდა, საბოლოოდ კი XVII საუკუნის დასასრულსა და XVIII საუკუნის პირველ ნახევარში დასრულდა, შესაბამისად შეიცვალა ეთნიკური ტერმინები ,,დვალეთი" – ,,ოსეთით" და ,,დვალი" – ,,ოსით", დღემდე არსებობს ოსურ ტოპონიმიკაში დვალეთის ოსური ვარიაცია თუალგომი.

4. ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მთელ ტერიტორიაზე აღმოჩენილ ეპიგრაფიკულ მასალას ერთმნიშვნელოვან დასკვნამდე მივყავართ – აქ მაცხოვრებელი მოსახლეობის აბსოლიტური უმრავლესობა უძველესი დროიდან ქართულია. ისტორიული შიდა ქართლის ტერიტორიაზე, ძველი დროიდან რომ ქართველები ცხოვრობდნენ, ამ ფაქტს ადასტურებს მრავალრიცხოვანი მატერიალური კულტურის ძეგლები.

რეგიონში შემორჩენილი ისტორიული ძეგლები ცხადყოფენ, რომ აქ თავის დროზე მაცხოვრებებლი ხალხი აქტიურ კულტურულ ცხოვრებას ეწეოდა. გამუდმებულმა ომებმა, მიწისძვრებმა, ისტორიული ძეგლების დიდი ნაწილი ნანგრევებად აქცია, მიუხედავად ამისა გადარჩენილი და ჩვენამდე მოღწეული კულტურული მემკვიდრეობა ფასდაუდებელი და მრავლის მეტყველია.

5. შიდა ქართლის ტერიტორიაზე არსებული ტოპონიმიკური მასალა, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ისტორიული სურათის აღდგენის საკითხში. ცენტრალური საქართველოს მთიანეთის მოსახლეობასთან ერთად ჩამოყალიბდა შესაბამისი ქართულენოვანი ტოპონიმები. ამას ადასტურებს ჩვენამდე მოღწეული მრავალრიცხოვანი ისტორიული დოკუმენტი. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ტოპონიმების ცვლილება ნაწილობრივ მაინც მოხდა შიდ ქართლის უკიდურესად ჩრდილო რაიონებში, სადაც ოსურმა ელემენტებმა გვინ საუკუნეებში ჰპოვეს ასახვა, თუმცა ეს გარემოება ოდნავადაც ვერ ცვლის საერთო სურათს.

6. საქართველოში ოსების ჩამოყალიბების საკითხში XVII-XVIII სს–ში ძალზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. სწორედ XVII საუკუნეში დაფიქსირდა შიდა ქართლში პირველი ოსური ახალშენები. ისინი ძირითადად დიდი და პატარა ლიახვის ხეობებში განსახლდნენ,საიდანაც შემდგომში სამხრეთისაკენ მოიწევდნენ. ამავე საუკუნის ბოლოს და მეთვრამეტე საუკუნს დასაწყისში ოსები სრულად ითვისებენ დასახელებულ მდინარეთა ხეობების სათავეს საიდანაც მათი მოძრაობა გრძელდება ქსნის ხეობისაკენ (ჟამური) და მდინარე ჯეჯორის სათავისაკენ (კუდარო).

მე–18 საუკუნის ბოლოსათვის ოსებმა შეძლეს შიდა ქართლის მთიანეთის უმეტესი ტერიტორიების ათვისება, თუმცა მთისწინეთში და ბარის რაიონებში ოსები არ დაფიქსირებულან.

ოსთა მოძრაობას ხელს უწყობდა საქართველოს მძიმე პოლიტიკური მდგომარეობა. გარეშე მტრები და შინააშლილობა, მთის მოსახლეობის გამეჩხერება, ხელს უწყობდა ოსების მიგრაციას. ოსების სამხრეთით მოწოლა ხშირად ბრძოლებითა და შეტაკებებით მთავრდებოდა. ოსები იტაცებდნენ ქართველ გლეხთა სარჩო–საბადებელს, პირუტყვს. ამის გამო ქართველი მოსახლეობა ხშირად სტოვებდა საცხოვრებელ ადგილებს და გამეჩხერებული ბარის რაიონებში სახლდებოდა. მათ ადგილებს კი ოსები ისაკუთრებდნენ. მაშასადამე მე–18 საუკუნის ბოლოს ოსებმა აითვისეს მდინარეების დიდი და პატარა ლიახვის ხეობები, მდ. ქსნის ხეობა და მდ. ჯეჯორის ხეობა. ოსები არ დაფიქსირებულან მდ. ფრონეების, მდ. ლეხურას და მდ. მეჯუდას ხეობებში.

7. XIX საუკუნის დასაწყისში ოსები ძირითადად ინდივიდუალური განსახლების პრინციპით სახლდებიან მდინარეების მეჯუდას, ლეხურასა და ფრონეების ხეობებში. აქ ისინი გადმოდიან ძირითადად დიდი და პატარა ლიახვის ხეობებიდან. XIX საუკუნის პირველ ნახევარში და კერძოდ 1800წ., 1814წ., 1842 წლების კამერალური აღწერების მეშვეობით ცხადი ხდება ოსური მოსახლეობის მიგრაციის მასშტაბები მათი რაოდენობა და საცხოვრებელი ადგილები. ოსები გასული საუკუნის დასაწყისში მკვიდრდებიან მდინარეების: მეჯუდას, ლეხურას, და

ფრონეების ხეობებში. თავდაპირველად მათი გადმოსახლების ტემპები აღნიშნულ ხეობებში ძალზედ მცირე გახლდათ, მაგრამ შემდგომი აღწერები ადასტურებენ, რომ მიგრაციის სისწრაფე და ოსური მოსახლეობის რაოდენობა დასახელებულ ხეობებში საგრძნობლად იზრდებოდა და შესაბამისად ეთნიკური სურათიც იცვლებიდა დასახლებულ ტერიტორიებზე.

8. მე–19 საუკუნის მეორე ნახევარში, განსაკუთრებით 1860–1890 ათიან წლებში, ოსთა ჩამოსახლება როგორც შიდა ქართლში ასევე საქართველოს სხვა რეგიონებში განსაკუთრებულ მასშტაბებს იძენს. ამ მოვლენის ძირითადი მიზეზი იყო საქართველოში ახალი საზოგადოებრივ–ეკონომიკური ფორმაციის ანუ კაპიტალისტურ–ბურჟუაზიული ურთიერთობის დამკვიდრება. ფულად სასაქონლო ურთიერთობის განვითარებამ, სახელმწიფო გადასახადების კომუტაციამ და გლეხთა დიფერენციაციამ, გამოიწვია ქალაქის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ზრდა. ეს პროცესი კი მიმდინარეობდა ძირითადად სოფლის მოსახლეობის ხარჯზე, რაც შიდა ქართლის მთისწინეთისა და ბარის სოფლის გამეჩხერებას იწვევდა. ამით დაუყონებლივ სარგებლობდა მთაში და მთისწინეთში მაცხოვრებელი ოსური მოსახლეობა. ისინი ეპატრონებოდნენ ქართველთა ნასახლარებს და თანდათანობით ბარის რაიონებისაკენ მოიწევდნენ, ხოლო მათ ადგილებზე ოსების ახალ–ახალი მასები გადმოდიოდნენ ისტორიული დვალეთის ტერიტორიიდან. აღსანიშნავია, რომ 1860 წლამდე საქართველოში ოსების რაოდენობა 19 ათასს აღწევდა, ხოლო 1886 წლის აღწერით უკვე 52 ათასს უდრიდა. სახეზეა საქართველოში ოსური მოსახლეობის სამხრეთით მიგრაციის მასშტაბების საგრძნობლად გაზრდით, ეთნიუკრი სურათის შესამჩნევი ცვლილება.

9. XX საუკუნის 20–იან წლებამდე შიდა ქართლში ოსთა მიგრაცია მე–19 საუკუნის მეორე ნახევრის ინერციით გრძელდებოდა, მაგრამ უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ოსთა საქართველოში მყარი დამკვიდრება საბოლოოდ განაპირობა ე.წ. ,,სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ შექმნამ 1922 წლის 20 აპრილს ცენტრით ცხინვალში. აღნიშნული გარემოება გახდა ძირითადი მიზეზი შიდა ქართლის

მთიანეთსა და მთისწინა ზოლში ეთნიკური სურათის მკვეთრად შეცვლისა ოსების სასარგებლოდ. აღნიშნული გარემოება განსაკუთრებით თვალშისაცემი გახდა შემდგომ წლებში , თუმცა ეს საკითხი ცალკე შესწავლასა და გაანალიზებას მოითხოვს.

უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ XX საუკუნეში მთლიანად შეიცვალა ოსთა შიდა ქართლში განსახლების ხასიათი , მან ეკონომიკურის ნაცვლად პოლიტიკური ელფერი შეიძინა, რაც ბოლშევიკური რუსეთის ინტერესებში შედიოდა და იმპერიული წრეების ძალისხმევით ვითარდებოდა მომდევნო პერიოდშიც. ოსთა ჩამოსახლება საქრთველოში წინა საუკუნეებისგან განცხვავებით, მეოცე საუკუნის 20-იანი წლებიდან განსაკუთრებით საბჭოთა რუსეთის მიერ საქრთველოს ოკუპაციის შემდგომ, მკვეთრად იცვლება ოსთა საქრთველოში მიგრაციის ხასიათი. იგი ეკონომიკური მოვლენიდან აშკარად იღებს პოლიტიკურ ელფერს. თვალშისაცემი ხდება ამ მოვლენის გაძლიერება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ჩამოყალიბების შემდგომ პერიოდში,როდესაც ქ.ცხინვალში ისევე როგორც მთლიანად სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ყოველი მომდევნო აღწერის შედეგად განუხრელად ისრდება მხოლოდ ოსური ეთნიკური ჯგუფი. ამის დასადასტურებლად შეგვიძლია 1922წლიდან 1989წლის ჩათვლით ჩატარებული აღწერები,რომლებიც ცხადყოფს, რომ ოსთა განსახლება საქრთველოში ასკარად ხელოვნური ხასიათის მოვლენა გახლავთ. ცხინვალის რეგიონის ტერიტორიაზე,ერთი ეთნიკური ჯგუფის მკვეთრი დაწინაურება სხვა ეროვნების მოსახლეობასთან შედარებით აიხსნება მხოლოდ არაბუნებრივი ანუ ჩარევით. სახეზეა პოლიტიკური ინტერესით განპირობებული საბჭითა რუსეთის მხარდაჭერა ცენტრალურ საქრთველოში ანუ შიდა ქართლში ჩამოსახლებული ოსური მოსახლეობისადმი. ე.წ. სამხრეთ ოსეთსი ხელოვნურად შეიქმნა ოსური ანკლავი, რომლის უპირველესი დატვირთვა გახდა საქართველოზე სამხედრო-პოლიტიკური ზეგავლენის მოხდენა. სამხრეთ ოსეთის გეოგრაფიული მდებარეობა, მისი გაკონტროლება სამხედრო თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანი

უპირატესობის მომტანი იყო რუსეთის სამხედრო ინტერესებისათვის. მასზე განლაგებული ჯარის ნაწილები უმოკლეს დროში შეძლებდნენ საქართველოს ორ ნაწილად გაყოფას. სწრაფი მოქმედების შემთხვევაში შესაძლებელი ხდება აღმოსავლეთ საქართველოს სრულიად მოწყვეტა დასავლეთ საქართველოსგან. რუსეთის კავკასიური და ახლო აღმოსავლური პოლიტიკის ჭრილში, საქრთველოს უდიდესი მნისვნელობა ენიჭებოდა,ხოლო ოსური ბასტიონი ცენტრალურ საქართველოში რუსეთს, თავად საქართველოზე კონტროლის დასამყარებლად ასაჭიროებოდა.ამიტომაც მას უფრო ადრე მიანიჭა ავტონომია ვიდრე ჩრდილოეთ ოსეთს, ოსების ისტორიულ სამშობლოს.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

ა) წყაროები

1. გეორგიკა, ს. ყაუხჩიშვილის რედ. ტ. II , თბ., 1934.
2. ქართლის ცხოვრება, მ. ბროსეს გამოც. ტ. I, თბ., 1849.
3. ქართლის ცხოვრება , ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV , თბ., 1973.
4. ვახუშტი ბაგრატიონი , აღწერა სამეფოსა ქართლისა, ნ. ბეძენიშვილისა და თ. ლომოურის რედ, თბ., 1941.
5. ვახუშტი ბაგრატიონი საქართველოს გეოგრაფია, მ.ბროსეს გამოც., სპბ., 1842.
6. დოკუმენტების საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან ნ. ბერძენიშვილის რედ. თბ., 1940.
7. Акты кавказской археологической комиссией, Тифлис, 1866.
8. ედუარდ აიხვალდი სააქართველოს შესახებ, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებელი დაურთო გ. გეგელაშვილმა, თბ., 2005.
9. იაკობ რაინეგსი მოგზაურობა საქართველოში, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გ. გეგელაშვილმა.

ბ) ლიტერატურა

1. **გ. აბდუშელიშვილი.** ,,ოსები“. ანთროპოლოგიური ნარკვევი. - ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის შრომები; ტ. VI, თბ., 1957
2. **ნ.ანდღულაძე.** თირის მონასტრის წარწერები. ,,მაცნე“. #6, თბ,მ 1969.
3. **ა. ბაქრაძე, ო. ჩუბინიძე.** ოსთა საკითხთა კრებული. თბილისი. 1996.
4. **ნ. ბერძენიშვილი.** საქართველოს ისტორიის საკითხები, თბილისი. 1990.
5. **ნ. ბერძენიშვილი.** საქართველოს ისტორია XIII-XIV სს. - თსუ შრომები, ტ VI, თბილისი. 1938.
6. **ვ. გამრეკელი, ზ. ცქიტიშვილი.** 1770 წლია დემოგრაფიული ნუსხა. მაცნე #1, 1943.
7. **ვ. გამრეკელი.** სავაჭრო კავშირები აღმოსავლეთ საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიას შორის XVIII ს–ში. თბილისი. 1968.
8. **ჯ.გვასალია.** აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები. თბილისი. 1983.
9. **დ. გვრიტიშვილი**. დვალელთა ვინაობისა და ოსთა ჩამოსახლების საკითხისათვის. მიმომხილველი I, თბილისი. 1949.
10. **გ. გობეჯიშვილი.** სტალინირის ნაცარგორა. ,, მიმოხლიველი“, ტ. II.
11. **ნ.თოიძე.** როგორ შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, თბილისი. 1991.
12. **გ. თოგოშვილი.** საქართველო–ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან. სტალინირი, 1958.
13. **გ. თოგოშვილი.** ვახუსტი ბაგრატიონი ოსეთისა და ოსების შესახებ. თბილისი. 1977.
14. **გ. თოგოშვილი.** ქართველი და ოსი ხალხის ურთიერთობა 1901–1921. თბილისი. 1969.

15. **რ. თოფჩიშვილი.** საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები. თბილისი. 1997.
16. **ვ. ითონიშვილი.** ქართულ–ოსური ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი. 1995.
17. **ვ. ითონიშვილი.** ნარკვევები კავკასიის სიტორიიდან, თბილისი. 2002.
18. **მ. კეკელია.** ერეკლე II განჩინებანი სამაჩაბლოში ბოროტმოქმედების აღსაკვეთად. გაზ. საქართველოს რესპუბლიკა #25, 1991.
19. **ი.მეგრელიძე.** გაზ. კომუნისტი. #138, 1981.
20. **ი. მეგრელიძე.** სიძველეები ლიახვის ხეობიდან. ,,მაცნე". ენის სერია. თბილისი. 1984.
21. **გ. მელიქიშვილი.** საქართველოს ისტორია. თბილისი. 1990.
22. **ნ. ოთინაშვილი.** ლიახვის ხეობის ონომასტიკა. თბილისი. 2002.
23. **გ.ოთხმეზური.** მაცნე, ისტორიის სერია. #1, თბილისი. 1986.
24. **ლ. რჩეულიშვილი.** თიღვა, შარვანის დედოფლის თამარის აღმშენებლობა. თბილისი. 1960.
25. საქართევლოს ისტორიის ნარკვევბი. ტ.5. თბილისი. 1970.
26. **გ. სოსიაშვილი.** ქართლის სათავადოების ისტორიიდან. სამაჩაბლო,XV-XIX სს. საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი. თბილისი. 2005. გვ.8-9.
27. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ.4, თბილისი. 1979.
28. **ს. ყუბანეიშვილი.** ძველი ქართული ლიტერატურის ქრსეტომათია. ტ.1, თბილისი. 1996.
29. **გ. შარაძე.** საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა და საგარეო პოლიტიკა. თბილისი. 2003.
30. **დ. შველიძე.** საქართველოს მფარველობა და დაპყრობა რუსეთის მიერ. თბილისი. 2014.

31. **გ. ჩიტაია.** ქსნის ხეობის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მოკლე ანგარიში. მოამბე, IV, თბილისი. 1939.

32. **მ. ცოტნიაშვილი.** ცხინვალის ისტორიისათვის. ცხინვალი, 1961.

33. **მ. ცოტნიაშვილი.** ცხინვალის ისტორია. ცხინვალი, 1986.

34. **კ.ხარაძე.** საქართველოს ისტორიული გეოგრაფია, შიდა ქართლი. თბ., 1992.

35. **კ. ხარაძე.** ჟურნ. სახელმწიფო და სამართალი #4 , 1990.

36. **ივ. ჯავახიშვილი.** ქართველი ერის ისტორია. წიგნი III. თბილისი. 1951.

37. **ო. ჯაფარიძე.** ,,ცხინვალის განძი". აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოსა სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XVI,1950.

38. **З. Ванеев.** к вопросу о времени заселения Юго-осетий. - Изв. ЮОСНИ. Ш, Сталинир, 1936.

39. **Д. Лавровб.** Заметки об осетии и осетинах. вип Щ. Тифлис. 1883.

40. **Г. Кокиев**. Очерки по историиб т. I, Владикавказ, 1926.

41. Сбор. Юго-Осетия.

42. **В. Пфаф**.<< Матерялы для древней истории Осетии>>. вып. IV-V , Тифлис. 1870-71.

43. **Б. Скитский**. <<Очерки по истории осетинского народа с древнейших времён до 1867 года >>. Владикавказ, Изв. СОНИИ, т. XI, 1947.

44. Тизенгаузен сборник материалов, относящихся к историй золотой Орды, т.I

45. Тизенгаузен сборник материалов, относящихся к историй золотой Орды, т.II

46. **С.А.Белокуров**. Сношение Тоши с Кавказом, Москва,1989.

47. **В.И.Абаев.** Осетинский язык и фольклор, М., 1949.

48. **Е.Такаишвили.** Археологические экскурсий,казыскания и заметки, т. V тиф,1915.

49. **З.Д.Цховребова.** топонимия Южной Осетий в писменных источниках, Тб,1979.

50. Очерки историй Юго-Осетинской А.О.Тб,19.

51. **Б.В.Техов.** Позднебронзовая культура Лиахвского басиина. Сталинир, 1957.

გამოყენებული საარქივო მასალა

საქართველოსა სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი

სსცსა,ფონდი 2, ანაწერი I, საქმე #175, ფურცლები. 76,83

სსცსა,ფონდი 2, ანაწერი I, საქმე #32

სსცსა,ფონდი 2, ანაწერი I, საქმე #211, ფურცლები.229

სსცსა,ფონდი 254, ანაწერი I, საქმე #1244, ფურცლები. 204–208

სსცსა,ფონდი 2, ანაწერი I, საქმე #1092, ფურცლები. 19–24

სსცსა,ფონდი 284, ანაწერი I, საქმე #62, ფურცლები. 81